

“ეკონომიკური პროფილი”, #6, 2009, ნოემბერი

აკაკი ბაკურაძე

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ქუთაისის სამართლისა და ეკონომიკის უნივერსიტეტის და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ნაირა ვირსალაძე

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ქუთაისის სამართლისა და ეკონომიკის უნივერსიტეტის და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

დანაშაულობის ეკონომიკურ-სტატისტიკური ანალიზის საკითხისათვის

„დანაშაულობის ღირებულება - ჩვენი თავისუფლების ფასია“
ფ. ადლერი

დანაშაულობის, როგორც რეგისტრირებულ დანაშაულთა (გამოვლენილი და აღრიცხვაზე აყვანილი საზოგადოებისთვის საშიში ქმედება, გათვალისწინებული “საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით”), სამართალდარღვევათა გავრცელების ხარისხს, დიდი გავლენა აქვს ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობის განვითარებაზე. ამასთან, იგი პერიოდულად მოგვევლინა როგორც ერთიანი სამეურნეობო სისტემის „შემადგენელი ნაწილი“ და, შესაბამისად, მისი გავლენაც იგრძნობა ეკონომიკის ყველა სექტორში.

კრიმინოგენური სიტუაციის გაურესება ასევე აისახება „ჩრდილოვანი“ ეკონომიკის გაძლიერებაში, რამაც შეიძლება დამანგრეველი ზიანი მიაყენოს ქვეყნის განვითარების წინასწარ განსაზღვრული კურსს და მოსალოდნელი შედეგებით ნეგატიურად იმოქმედოს მეურნეობრივ სისტემაზე... და სინვესტიციო გარემოზე, რამეთუ იზრდება ე.წ. „დანაშაულებრივი რისკი“, ანუ იგივე დანაშაულობა (დანაშაულის გავრცელების ხარისხი იზომება ‰-ში, რაც ნიშნავს თუ რამდენი ერთეული დანაშაული მოდის 1000 მოსახლეზე, ერთეული/1000კაცი).

ცხრილი №1

დანაშაულობის დინამიკა საქართველოში 2002-2008 წწ. (ერთეული/1000 კაცზე, ‰)

მაჩვენებელი	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008
რეგისტრირებული დანაშაული, ერთეული	15029	15662	16658	17397	24856	43266	62283	54726	44644
დანაშაულობა, ‰	3,39	3,56	3,81	4,01	5,76	10,03	14,41	12,46	10,19
არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულთა რიცხვი	620	662	674	617	557	755	997	674	759

საერთო ჯამში, ქვეყნაში კრიმინალური სიტუაციის გამწვავება შესაძლოა აისახოს ეკონომიკურ ურთიერთობათა „შესუსტებაზე“ და, შესაძლოა, მოშალოს იგი კი, როგორც სახელმწიფოს შიგნით, ისე მის გარეთ. კერძოდ, მან ზემოქმედება შეიძლება მოახდინოს მაკროეკონომიკური პოლიტიკის ეფექტურობაზე, საბიუჯეტო და ფულად-საკრედიტო სისტემაზე, ინვესტიციურ პროცესებზე, ეკონომიკური ზრდის ტემპებზე, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების მასშტაბებზე, საბაზრო მექანიზმების ეფექტიანობასა და კონკურენციულ გარემოზე, საწარმოებში შრომის დანაწილებასა და წარმოების ეფექტურობაზე და ა.შ.

საბაზრო ეკონომიკის გზაზე მდგარ ქვეყნებში, მიუხედავად მათი განვითარების ისტორიული თუ ეროვნული თავისებურებისა, მზარდი ტემპებით მიმდინარეობს დანაშაულობის მატება და, ხშირ შემთხვევაში, უახლოვდება კიდევ ისეთი ქვეყნების მაჩვენებლებს, სადაც დიდი ხანია დამკვიდრებულია ეკონომიკურ ურთიერთობათა ასეთი ტიპი.

ეკონომისტები თანხმდებიან იმ აზრზე, რომ ჯერჯერობით საბაზრო ეკონომიკას ღირსეული ალტერნატივა არა აქვს. იგი, რამდენადაც სოციალურ წინააღმდეგობათა მკვეთრი გამოხატულებაა, იმდენად კრიმინოგენურიც არის. უფრო მეტიც, საბაზრო ეკონომიკა არ შეიძლება განვიხილოთ განვითარების სოციალურ-პოლიტიკურ თავისებურებებთან იზოლირებულად. ის შეიძლება განვითარდეს მხოლოდ ინდივიდუალური, ეკონომიკური და პოლიტიკური თავისუფლების, დამოუკიდებელი აზროვნებისა და ურთიერთობათა დემოკრატიულობისა და პლურალიზმის პირობებში.

არ გვსურს შევეგუოთ, მაგრამ ფაქტია, რომ „თავისუფლება უფრო კრიმინოგენურია...“ ჩვენი ქვეყნის მაგალითზე, დანაშაულობის ზრდის ძირითადი ფაქტორებად შეიძლება დასახელდეს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის „გაწელილი“ პროცესი, 70 წლიანი „ტოტალური კონტროლის“ ნგრევის პროცესი და ურთიერთობათა ახალი სოციალური და დემოკრატიული ფორმების შექმნის მცდელობა და სხვ. მეცნიერები თანხმდებიან იმ აზრზე, რომ სიღარიბე არ ახდენს გადამწყვეტ როლს დანაშაულობაზე, რამეთუ ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში ასე თუ ისე უმკლავდებიან სიღარიბეს, თუმცა არა თუ მცირდება დანაშაულობა, არამედ იზრდება კიდევ [1].

ცხრილი №2

დანაშაულობის დინამიკა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში
2003-2007 წწ. (ერთეული/1000 კაცზე, %)

ქვეყნები	2003	2004	2005	2006	2007
საქართველო, GE	4,01	5,76	10,03	14,41	12,46
აზერბაიჯანი, AZ	1,85	2,03	2,16	2,26	2,19

სომხეთი, AR	3,46	3,14	2,76	3,03	2,62
--------------------	------	------	------	------	------

ისმის კითხვა: რა არის დანაშაულის ჩადენის მოტივი? ანუ რა უბიძგებს ადამიანს დანაშაულისაკენ?

ეკონომიკაში ნობელის პრემიის ლაურიატის ჰ. ბეკერის აზრით: „დამნაშავე, ნებისმიერი ადამიანის მსგავსად, რაციონალურად ეწევა საკუთარი ინტერესების მაქსიმალურად დაკმაყოფილებას, რადგან იგი შეზღუდული არის შემოსავლებითა და ფასებით, რომლებსაც აწყდება ბაზარზე, ან თუნდაც სხვაგან... ისიც ჩვეულებრივ განიხილავს დანახარჯებისა და მოგების ალტერნატიულ ვარიანტებს და იღებს მისთვის მისაღებ, „სასარგებლო“ გადაწყვეტილებას“. მისივე თქმით: „დამნაშავეთა დანახარჯებსა და მოგებაზე მომქმედი ძირითადი ფაქტორებია: მათი დროის ალტერნატიული ხარჯები (ალტერნატიული ღირებულება), რადგან კანონიერი საქმიანობით დაკავების დრო მცირეა, რასაც თან ერთვის მოსალოდნელი დაკავება, გასამართლება და პატიმრობა და ა.შ. და მეორე - დანაშაულებრივი საქმიანობიდან მოსალოდნელი სარგებელი“ [2].

ხანგრძლივმა დაკვირვებებმა და მრავალჯერადმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ რაც უფრო დიდა დაკავებისა და გასამართლების ალბათობა, მით უფრო მცირდება დანაშაულის ჩადენის სიხშირე, ვიდრე სასჯელის ვადიანობის ზრდა. ამდენად, დანაშაულობაზე უარყოფითად მოქმედებს (უკუპროპორციულ კავშირშია) ალტერნატიული ხარჯები, დაკავებისა და დასჯის ალბათობა და მისი სიმკაცრე, ხოლო დადებითად (პირდაპირპროპორციულად) - დანაშაულებრივი საქმიანობიდან სარგებელი [2].

ნათელია, რომ დღეს საქართველოში დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის კონტროლის სოციალურ-სამართლებრივი ზემოქმედება გააქტიურდა, თუმცა ისიც ცხადია, რომ ბევრი რამ ჯერ კიდევ დასახვეწია, მათ შორის: საკანმომდებლო ბაზა, სამართალდამცავ სტრუქტურებში კვალიფიციური კადრების შერჩევა, მათი ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უზრუნველყოფა და, რაც მთავარია, რეალურად უნდა გამოჩნდეს პოლიტიკური ნება (!).

დანაშაულობის ანალიზი, მთლიანობაში, ძალზედ ძნელია, თუმცა ერთი რამ ცხადია - ადამიანები იღებენ გადაწყვეტილებას ჩაიდინონ ისეთი დანაშაული, რომლის მოსალოდნელი სარგებელი და დანახარჯები მისაღები იქნება. ადამიანთა დანაშაულებრივი ქმედება გამომდინარეობს საზოგადოების ეთიკური, ფსიქოლოგიური, სოციალური, ეკონომიკური და სხვა ასპექტებიდან.

დანაშაულის ჩადენიდან სარგებელი ესაა ის ფულადი შემოსავალი, რომელსაც მიითვისებენ დამნაშავენი ე.წ. აკრძალული წესით, ან დანაშაულებრივი მიზნით დახარჯული ღირებულების ზომა

(ჩვენ არ ვითვალისწინებთ იმ შემთხვევებს, როცა დამნაშავე თავისი ქმედებიდან არ ელის ეკონომიკურ სარგებელს, არამედ იღებს ე.წ. „ფსიქოლოგიულ“ კმაყოფილებას).


შედარებით რთულია დანაშაულებრივი საქმიანობის დანახარჯების შეფასება, როდესაც პიროვნება ირჩევს დამნაშავეს კარიერას. ის ნაწილობრივ ან მთლიანად ამბობს უარს ლეგალურ შრომასა და შემოსავალზე, რომელიც მიუთითებს მისი დროის დანახარჯების ალტერნატიულ ღირებულებაზე. ამასთან, გასათვალისწინებელია მოსალოდნელი დაკავება და დაპატიმრება. შესაბამისად, ისინი არიან „რისკიანი“ პირები.

ისიც ცხადია, რომ მართლსაწინააღმდეგო ქმედებიდან რაც უფრო მეტია შემოსავლის ალბათობა (მით უმეტეს, დაუსჯელობის შესაძლებლობის არსებობის პირობებში), მით მეტია დანაშაულის სიხშირე. ამდენად, სარგებლისა და ხარჯების ცვლილება წარმოადგენს იმ მიზეზს თუ რატომ აქვთ ზოგიერთ ინდივიდს, ან სოციალურ ჯგუფს დანაშაულის ჩადენისაკენ მიდრეკილება.

მოგებული დარჩება ჩვენი საზოგადოება, თუ მაქსიმალურად შეამცირებს და შეზღუდავს დანაშაულის გავრცელების ხარისხს და, შესაბამისად, მეტ სარგებელსაც ნახავს თუ მას მიაღწევს „მინიმალური“ დანახარჯებით. ამდენად, საზოგადოების მიზანი უნდა იყოს დანაშაულის არა მხოლოდ აღკვეთა (ელიმინაციონ), არამედ მისი თავიდან აცილებაც, რამდენადაც შესაძლებელი იქნება იგი. ამ მხრივ გაწეული დანახარჯების მოცულობა შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგი ურთიერდამოკიდებულებით: საზოგადოების ერთობრივი დანახარჯები = პრევენციის მიზნით გამოყენებული რესურსების ღირებულება + ყველა დანაშაულიდან მიღებული დანაკარგები (ფულად ფორმაში გამოხატული).

ნახ. 1

დანაშაულობის დინამიკა საქართველოში 2002-2008 წწ. (ერთეული/1000 კაცზე, %)



ამდენად, შეიძლება დავასკვნათ, რომ დანაშაულობა უკუპროპორციულ კავშირშია დანაშაულის გახსნის ინტენსივობასთან (ხარისხთან), სასჯელის სიმკაცრესთან და პირდაპირპროპორციულ კავშირშია სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებთან, როგორცაა შემოსავლების დიფერენცია, უმუშევრობა და სხვ. შესაბამისად, საზოგადოებაში არსებობს დანაშაულობაზე ზემოქმედების სამი „ინსტიტუტი“: „კრიმინალური იუსტიციის“ რესურსი, დასჯის სიმძიმე და მასზე კონტროლის სოციალური პროგრამები [2].

განსაკუთრებულ მიდგომას იმსახურებს დანაშაულთა განმეორებადობა (დანაშაულის რეციდივი), არასრულწლოვანთა დანაშაული (იხილეთ ცხრილი №1) და ეკონომიკური შედეგები, რასაც სიღრმისეული შესწავლა სჭირდება და იმედია, რომ სწრაფად განხორციელდება ამ მიმართულების გამოკვლევები. ამასთან, დიდ პრობლემად რჩება საქართველოში დანაშაულთა აღურიცხვიანობა (მაგალითისათვის, ა.შ.შ.-ში ფაქტიური დანაშაულობა 3-4-ჯერ აღმეტება ოფიციარულად რეგისტრირებულ დანაშაულობათა რიცხვს) და ა.შ. [1]

საინტერესოა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ბოლო წლების დანაშაულობის დინამიკა. ცხრილი №2-დან ჩანს (იხილეთ ასევე ნახ. 2), რომ 2003 წელს კრიმინოგელური სიტუაცია აზერბაიჯანში უკეთესი იყო და დანარჩენ ორ რესპუბლიკაში უფრო მწვავე, რომელიც შენარჩუნდა კიდევ 2004 წელს, მაგრამ 2005 წელს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი ცვლილებების და დანაშაულთა რეგისტრაციის ერთი „მოუწესრიგებელი საკითხის“ გამო (კონკრეტულ წელს რეგისტრირებულ დანაშაულთა რიცხვში ხდება წინა წლებში ჩადენილი დანაშაულებები), რაც ზემოქმედებს რეალური სურათის ცვლილებაზე.

საერთო ჯამში, 2003-2007 წწ. სომხეთში დანაშაულობის საშუალო დონეა 3,00‰, აზერბაიჯანში - 2,10‰ და საქართველოში - 9, 33‰, ანუ სომხეთთან შედარებით საქართველოში იგი 3,11-ჯერ მეტია, აზერბაიჯანთან შედარებით - 4,44-ჯერ.

ნახ. 2

დანაშაულობის დინამიკა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში
2003-2007 წწ. (ერთეული/1000 კაცზე, %)



რაც შეეხება დანაშაულობათა საშუალოწლიური მატებისა და ზრდის ტემპებს, აქაც ჩვენი ქვეყნისთვის სურათი აქაც უარესია. კერძოდ, მითითებულ საანალიზო პერიოდში იგი საქართველოში (GE) იზრდება საშუალოდ წელიწადში 2,11%-ით, აზერბაიჯანში (AZ) - მხოლოდ 0,08%-ით და სომხეთში (AR) - 0,21%-ით.

რა იწვევს საქართველოში, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან შედარებით, ბევრად უარეს დაშაულობის დინამიკას. მიზეზების ძიება და მათი შესაძლო გავლენა დადგენა იგრძნობა პროფესიონალ იურისტთა მიერ. პრობლემის მოგვარებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ასევე ეკონომისტ-სტატისტიკოსთა მდიდარი გამოცდილება.

ანალიზის შედეგების უფრო ზუსტი პარამეტრების დადგენისათვის გავაფართოოთ საანალიზო პერიოდი საქართველოსათვის 2000-2008 წწ. შუალედით (იხილეთ ცხრილი №1 და ნახ. 1). მიუხედავად ბოლო სამ წელიწადში წინა წლებთან შედარებით დანაშაულობის საგრძობი შემცირებისა, იგი მაინც საგანგაშოა. იმედია, რომ მომავალში საზოგადოება და თითოეული მოქალაქე აიღებს პასუხისმგებლობას ამ უაღრესად მტკივნეული პრობლემის სწრაფად მოსაგვარებლად.

თუ ჩავთლით, რომ საზოგადოებაში კანონის უზენაესობის დაცვის კვალდაკვალ ადამიანთა შორის ურთიერთობებში მოქალაქეები გამოიყენებენ „ღვთის მოშიშეობის“ ეთიკურ ნორმებსაც, მაშინ „მართალი კაცი“ უფრო გაუძლებს დანაშაულებრივ ცდუნებასაც, რამეთუ ებრაელთა მეფის, დავით წინასწარმეტყველის სიტყვებით რომ ვთქვათ: „ყრმა ვიყავ და დავბერდიცა და არა ვიხილე მართალი დაგდებულ, არცა თესლი მისი მთხოვნელ პურისა“ (ფს. 36, 35).

წყაროები:

1. www.ecsocman.edu.ru
2. www.corruption.rsuh.ru

3. www.statistics.ge
4. www.polis.ge
5. www.aemstat.ar
6. www.azstat.org

ადამიანის როლი ტრანსფორმირებადი ეკონომიკის პირობებში

გარდამავალ ეპოქაში ძალზე მნიშვნელოვანია სოციალურად მდგრადი საზოგადოების ფორმირების ტენდენცია. ამგვარი საზოგადოების ფორმირებისას გამოიყენება ორგვარი მიდგომა: სოციალური და ვიწრო-ლიბერალური.

სოციალური მიდგომის შესაბამისად მაკროსისტემის სტაბილურობა ქმნის საფუძველს საზოგადოების წევრთა სოციალურად მდგრადი მდგომარეობისა და გარკვეული სოციალური სტაბილურობისათვის. ტრანსფორმირებად ქვეყნებში განსახორციელებელი რეფორმების ძირითადი მიზანია მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება დემოკრატიული საბაზრო საზოგადოების აშენების გზით. საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალი ქვეყნების უმრავლესობამ, გამოხატა ეს თავიანთ კონსტიტუციებში რითაც აღიარეს ეკონომიკის სოციალური ორიენტაცია, რომლის მიზანია ყველა მოქალაქის ცხოვრებისა და კეთილდღეობის სათანადო, მაღალი დონის უზრუნველყოფა.

რადიკალური რეფორმის განხორციელების პროცესში სოციალური დანახარჯები სახელმწიფოსაგან მოითხოვს აქტიური სოციალური პოლიტიკის გატარებას, რომელიც გამიზნული უნდა იყოს ნეგატიური სოციალური ეფექტების ნეიტრალიზაციაზე, ისეთი პირობების შექმნაზე, რომელიც ხელს შეუწყობს ბაზრის სოციალურ უპირატესობათა სრულად გამოვლენას, გარდამავალი პერიოდის არა მიმდინარე, არამედ ფუნდამენტური ამოცანების გადაწყვეტას, რომელთაგან ძირითადი _ მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებაა.

ობიექტურ შეზღუდვებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სოციალური პოლიტიკის და მისი განხორციელების მექანიზმის მიზნობრივ ფუნქციაზე, მიეკუთვნება:

- რეფორმის სოციალური დანახარჯები (მოსახლეობის ცხოვრების დონის დაცემა, მასობრივი სიღარიბე, მასობრივი უმუშევრობა და სხვ.), რომლებიც წარმოიშობა რეფორმის პირველ წლებში და, რომლებიც შემდგომ მყარ, ძნელად რეგულირებად ხასიათს იღებს;
- საგადასახადო-საბიუჯეტო კრიზისით გამოწვეული ფინანსური შეზღუდვები, რომელიც რეალური ხელფასისა და მოგების შემცირების შედეგად საგადასახადო ბაზის მკვეთრ დაცემას იწვევს. ამასთან, აღნიშნულ კრიზისს ბიუჯეტის სოციალური ტვირთის გადიდებაც იწვევს, რაც მოსახლეობის ნაკლებად უზრუნველყოფილი ჯგუფების

(რომლებიც სახლმწიფო დახმარებას საჭიროებენ) ზრდით არის განპირობებული;

- ინსტიტუციური შეზღუდვები: პროფესიონალი მმართველობითი აპარატის უქონლობა, რომელიც ფართო და სარწმუნო ინფორმაციული ბაზის საფუძველზე მომავალი სოციალური პოლიტიკის პროგრამებისა და ღონისძიებების შეემუშავებას შეძლებდა, რათა მიეღო გონივრული მმართველობითი გადაწყვეტილებები და მათი შედეგები განვითარებულ ქვეყნებში არსებულ ახალ მეთოდებთან შედარების საფუძველზე შეეფასებინა; ძლიერი ჯგუფების არსებობა, რომლებიც სოციალურ სფეროში გადაწყვეტილებებზე ზეწოლას ახდენენ და ა.შ. გარდამავალ პერიოდში ამ და სხვა შეზღუდვათა გამო სოციალური პოლიტიკა მოქცეულია გარკვეულ ჩარჩოებში.

გარდამავალი პერიოდის კანონზომიერი შედეგია სიღარიბის მასშტაბების და სიღრმის ზრდა, რაც, თავის მხრივ, არ შეიძლება დარჩეს საზოგადოების, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების ყურადღების მიღმა. ზოგიერთი გარდამავალი ქვეყნის მთავრობამ უარი თქვა სიღარიბის შემცირებისაკენ მიმართული სპეციალური პროგრამების შემუშავებაზე, ჩათვალა რა, რომ ეს კომპლექსური პროგრამაა, რომლის დასაძლევად მიმართულია სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელოვანი ღონისძიებები, რომელთა მასშტაბები მეტყველებს მიმდინარე რეფორმების წარმატების ხარისხზე. ცხადია, რომ გარდამავალი პერიოდის მიზნობრივი ფუნქცია უდგენს მას დროებით ჩარჩოებს, რომელიც დასრულებულად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ მაშინ, როცა მიღწეული იქნება მისი ძირითადი მიზანი – მოსახლეობის კეთილდღეობის მაღალი-მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი დონე.

რუსეთი იყო დსთ-ის პირველი ქვეყანა, სადაც საბაზრო გარდაქმნათა დაწყების შემდეგ, 1992 წელს მიღებულ იქნა სიღარიბის გაზომვის ოფიციალური მეთოდიკა.

აღსანიშნავია, რომ მინიმალური სამომხმარებლო კალათის შემოღება ვერ წყვეტს სიღარიბის დონის შეფასების ყველა პრობლემას, რამდენადაც გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში მისი რაოდენობრივი შეფასება რამდენიმე მიზეზის გამო გამწვანებულია. კერძოდ:

- არაფორმალური სექტორისა და ეკონომიკაში არაფულადი ურთიერთობების ფართო გავრცელება არსებითად აძნელებს ოჯახების შემოსავლების გაზომვის პროცედურას;
- საოჯახო მეურნეობების შემოსავლების მაღალი არასტაბილურობა იწვევს შემოსავლების არარეგულარულობას და შეფერხებას შრომის ანაზღაურებაში;
- მოსახლეობის საშუალო და მაღალშემოსავლიანი ჯგუფების მასობრივი უარი საბიუჯეტო გამოკვლევებში მონაწილეობაზე აძნელებს შემოსავლების განაწილების შესახებ

რეპრეზენტატიული მონაცემების მიღებას;

- სიღარიბის ზღვარის დადგენისა და შემოსავლების დონის შეფასებისათვის სხვადასხვა მეთოდოლოგიური მიდგომების გამოყენება.

არსებობს მსოფლიო ბანკის მიერ შემოთავაზებული სიღარიბის განსაზღვრის მეთოდიკა, რომლის თანახმად ღარიბებს მიეკუთვნებიან პირები, რომლებიც თბილ ქვეყნებში დღეში 1 დოლარზე ნაკლებს ხარჯავენ, ხოლო ჩრდილოეთის ქვეყნებში მსოფლიო ბანკის რეკომენდაციის თანახმად, სიღარიბის ერთდოლარიანი ზღვარის ეკვივალენტად ითვლება სიღარიბის ზღვარი დღეში 2,15 დოლარის დონეზე, რამდენადაც ცივი ბუნებრივ-კლიმატური პირობები მოითხოვს დამატებით ხარჯებს გათბობის, ზამთრის ტანსაცმლისა და კვებისათვის.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში განსაკუთრებით მწვავედ დგას სიღარიბის პრობლემა, საერთაშორისო პრაქტიკის თანახმად, უკიდურესი სიღარიბის მნიშვნელოვანი მაჩვენებელია საკვების უკმარისობა. ამ შემთხვევაში უკიდურესი სიღარიბის მასშტაბი იზომება ისეთი მაჩვენებლებით, როგორცაა წონის უკმარისობის გავრცელება ბავშვებში 5 წელზე ქვევით, მოსახლეობის წილი მინიმალურზე ნაკლები კალორიების მოხმარების დონით და სხვ. მათი შედარება მოხმარების არსებულ ნორმებთან საშუალებას იძლევა შევაფასოთ მოსახლეობის წილი კალორიების მოხმარების მინიმალურზე დაბალი დონით.

სიღარიბის მასშტაბების შეფასებები იმდენად ფართო და მრავალმხრივია, რომ რთულია განვსაზღვროთ ღარიბი მოსახლეობის მხარდასაჭერად აუცილებელი რესურსების ოდენობა. მისი გაზომვის ერთადერთი შესაძლებელი გზაა, როცა სიღარიბესთან ბრძოლის პროგრამების რესურსები განისაზღვრება ზოგიერთი სხვა ინდიკატორებით, ხოლო შემდგომ აიგება დამატებითი ადმინისტრაციული ბარიერები, რომლებიც აბალანსებენ პროგრამების უზრუნველყოფას და მათზე პრეტენდენტების რიცხვს.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების ერთ-ერთი რთული ეთიკური პრობლემაა – რეფორმების ტემპების პრობლემა. ტრანსფორმირებად ქვეყნებში მკაცრი დებატები იმართება რეფორმების განხორციელების ტემპებთან დაკავშირებით. გარდაქმნების თანმიმდევრობის მიმართ სხვადასხვა მიდგომებს შორის კონსერვატიული ვარიანტი ითვალისწინებს თავდაპირველად საბიუჯეტო-საფინანსო პოლიტიკის გამკაცრებას და ფასების რეგულირებას, რომლებიც რეფორმის საწყის ეტაპზე დაექვემდებარება ცენტრალიზებულ კონტროლს, ხოლო ორი-სამი წლის მანძილზე გაგრძელდება ფასებზე კონტროლის გაუქმება. თანამედროვე ეტაპზე რეფორმის ტემპებისადმი ასეთი ტრადიციული მიდგომა იცვლება და ბოლო წლებში უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკური არასტაბილურობის გამო

სულ უფრო მეტი ეკონომისტი მხარს უჭერს რეფორმების სწრაფ განხორციელებას. არსებობს შიში იმისა, რომ თანდათანობითი რეფორმირების პროცესში, სხვადასხვა ჯგუფების პოლიტიკური ზეწოლა, რომელიც მიმართულია რეფორმების წინააღმდეგ ძლიერდება. რამდენადაც ადამიანები უმუშევრობას, ინფლაციას და საერთო ქაოსს საბაზრო ეკონომიკას უკავშირებენ. ზემოთ აღნიშნული მეტყველებს რეფორმის პროცესის რაც შეიძლება სწრაფად გატარებაზე. ზოგიერთი სკეპტიკოსი ამტკიცებს, რომ როცა რეფორმა სწრაფად არ ხორციელდება იგი თავისთავად შეჩერდება და სახელმწიფო სექტორის პრივატიზება ვერასოდეს მოხერხდება.

მიდგომა „შოკური თერაპიის« პოზიციებიდან იწვევს მოსახლეობის უკმაყოფილებას შემოსავლების დონის შემცირების გამო, ხოლო ბევრისათვის – სამუშაოს დაკარგვას. თეორიულად, თანდათანობითი გადასვლა, რომელიც ვარაუდობს საწარმოთა სტრუქტურულ გარდაქმნებს და კვალიფიციური პერსონალის მომზადებას კონკურენციის პირობებში წარმატების რეალური შანსის შესაქმნელად, ითვალისწინებს მშრომელთა კეთილდღეობის საკითხებს და, ალბათ, ეს არის გზა, რომელიც სასურველია ადამიანების მეტი წილისათვის. უკანასკნელ წლებში მოსაზრებები მკვეთრად გაიყო. ეკონომისტთა ერთი ნაწილის აზრით, შედეგების მიუხედავად აუცილებელია სწრაფი რეფორმები, რამდენადაც მისი გაჭიანურებისას მთავარი მიზანი-საბაზრო ეკონომიკის ფორმირება და კეთილდღეობის ამაღლება შეიძლება სრულად არ იქნეს მიღწეული. „შოკური თერაპიის« საშიშროება ისაა, რომ იგი ხელს უწყობს იმ მოსაზრების გავრცელებას, თითქოს საბაზრო ეკონომიკა სასარგებლოა მდიდრებისათვის და სრულიად არ ზრუნავს მოქალაქეთა უმრავლესობაზე.

რეფორმები უნდა იყოს განხილული ერთიანობაში, რამდენადაც ბევრ შემთხვევაში რეფორმა უნდა გატარდეს მანამ, სანამ შესაძლებელი იქნება მეორის დაწყება ან ერთი რეფორმა იწვევს მეორის აუცილებლობას. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების მთავრობებმა უნდა შეიგნონ, რომ მათ აკისრიათ დიდი პასუხისმგებლობა მსოფლიო საზოგადოების წინაშე, მათი მოქმედებები არ უნდა იყოს მოტივირებული მხოლოდ შინაგანი ინტერესებით.

განსახელმწიფოების და საკმაოდ მრავალრიცხოვანი კერძო, სააქციონერო მესაკუთრეების ფენის შექმნის პროცესმა ვერ შეცვალა პოსტსოციალისტური ეკონომიკის (განსაკუთრებით რუსეთში) მონოპოლისტური ხასიათი, ნულამდე დაიყვანა რა პრივატიზაციის პროცესში კონკურენტული საბაზრო გარემოს შექმნით მოსალოდნელი სოციალური ეფექტები. თანაც, გარდამავალი ეპოქის ბევრ ქვეყანაში ეკონომიკის მონოპოლიზაციის ხარისხი რეფორმების მიმდინარეობასთან ერთად (როგორც მეცნიერები აღნიშნავენ) არ მცირდება, მხოლოდ იცვლება მისი ფორმები: სახელმწიფო მონოპოლიას ცვლის კერძო.

ამასთან, არასრულყოფილი კონკურენციის სფეროში კემბრიჯის სკოლის (მისი ცნობილი წარმომადგენლები არიან ჯოან რობინსონი, ნიკოლას კალდორი, პიერო სრაფფა) თეორიულმა გამოკვლევებმა ცხადყო, რომ ნებისმიერი გადახრა იმ პირობებისაგან, რომლებიც უზრუნველყოფენ სრულყოფილ კონკურენციას, იწვევს ბაზრის ალოკაციური ეფექტიანობის დარღვევას, რასაც თან სდევს უარყოფითი სოციალური ეფექტები: ექსპლუატაციის ზრდა, პროპორციების შეცვლა შემოსავლების განაწილებაში მოგების და არა ხელფასის სასარგებლოდ, ხელფასის არაელასტიკურობა ეკონომიკური ზრდის მიმართ, მოსახლეობის შემოსავლების დიფერენციაცია მათი წარმოებაში მონაწილეობის გაუთვალისწინებლად, მომხმარებლის „სუვერენიტეტის“ დარღვევით და სხვ.

არასრულყოფილი კონკურენციის თეორიაში აღწერილი ყველა უარყოფითი სოციალური ეფექტი, რომელიც XX საუკუნის პირველი ნახევრის მონოპოლიზირებული დასავლური ეკონომიკისათვის იყო ნიშანდობლივი სრულად შეიძლება მივაკუთვნოთ XX საუკუნის უკანასკნელი პერიოდის გარდამავალ ეკონომიკას, რამდენადაც მათი გამომწვევი მექანიზმები ერთნაირია.

ისტორიული გამოცდილება ცხადყოფს, რომ სწორი პოლიტიკის გატარების შემთხვევაში საბაზრო ეკონომიკის პირობებშიც კი უმუშევრობა შეიძლება შენარჩუნებულ იქნეს დაბალ დონეზე. უმუშევრობა შესაბამისად დაბალია, როცა დახმარება უმუშევრობისათვის გაიცემა მოკლე ვადით. უმუშევრობისათვის დახმარების მიღებაზე განუსაზღვრელი ვადით უფლების მინიჭება არაგონივრული აღმოჩნდა. რაც უფრო მეტია უმუშევრობისათვის დახმარების მიღების ვადა, მით უფრო მაღალია უმუშევრობა. როცა დახმარების მიღების პერიოდი ხანმოკლეა, უმუშევრები აქტიურ კონკურენციას გასწევენ შრომის ბაზარზე და სწრაფად დაუბრუნდებიან სამუშაოს. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ერთ-ერთი ყველაზე აქტიური პოლიტიკა დასაქმების სფეროში არის უმუშევრების მომზადება კონკურენციისათვის. ასეთი პოლიტიკა ძალზე მნიშვნელოვანია გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის, სადაც მუშებს არ აქვთ დიდი შესაძლებლობა გადავიდნენ ერთი სახის შრომითი საქმიანობიდან მეორეზე, ამასთან ახალ პირობებში თავს რამდენადმე დაუცველად გრძნობენ. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებმა მიზანშეწონილია გაითვალისწინონ შრომის ბაზრის რეგულირების პროგრამის შექმნა შვედური პროგრამის მსგავსად, რომელიც უკანასკნელი სამი ათეული წლის განმავლობაში ყველაზე წარმატებულია ევროპაში. იგი მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

- გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების კურსების ორგანიზებას;
- შრომითი მოწყობის კარგად დაკომპლექტებულ სამსახურებს, რომლებსაც შეუძლიათ დახმარება გაუწიონ უმუშევრებს;

- სუბსიდიების გაცემას სამუშაოს დამკვეთებზე,

გარდამავალი ეკონომიკის შრომითი ურთიერთობების ასეთი წინააღმდეგობრივი ნიშნების ნაკრები არ შეიძლება აიხსნას მხოლოდ ცენტრალიზებულად მართვადი ეკონომიკის მემკვიდრეობით. გარდამავალ ეკონომიკაში შრომითი ურთიერთობების სპეციფიკის განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს შრომის ბაზრის მონოპოლიზაცია მყიდველთა მხრიდან (შრომის მონოპსონური ბაზარი), რომელიც, თავის მხრივ, განპირობებულია საქონლის ბაზრის მონოპოლიზაციით.

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის და გარდამავალი ხანის „წარმატებული“ ქვეყნების გამოცდილება ადასტურებს, რომ თვითდაზღვევის ყველაზე საუკეთესო საშუალება – შრომაა. ამიტომ შემოსავლების მხარდაჭერის პოლიტიკა უნდა იყოს დაკავშირებული დასაქმების პოლიტიკასთან, როცა სოციალური დახმარების ღონისძიებები დაკავშირებულია ახალი სამუშაო ადგილების შექმნასთან და იმ პირების შემოსავლების მიღებასთან, ვინც დარჩა უმუშევარი ან ელოდება პერსონალის შემცირებას. სახელმწიფომ, ერთი მხრივ, უნდა დაადგინოს შესაბამისობა მინიმალურ ხელფასსა და საარსებო მინიმუმს შორის, მეორე მხრივ კიმიუახლოვოს ხელფასის დონე შრომისნაყოფიერებას.

თუ პირველი პირობის შესრულება მთლიანად დამოკიდებულია სახელმწიფოს სოციალურ გარანტიებზე, მეორე უნდა განხორციელდეს სახელმწიფოს, მეწარმეებსა და მუშაკებს შორის სამხრივი მოლაპარაკების საფუძველზე. საწარმოთა შემოსავლების უფრო სამართლიანი განაწილების თაობაზე სახელმწიფოს მეშვეობით შრომით კოლექტივებსა და მეწარმეებს შორის უნდა ამოქმედდეს ტრიპარტიზმის ისეთი მექანიზმი, რომელიც სამუშაოს მიმცემს არ მისცემს საშუალებას ისარგებლოს ბაზარზე თავისი მონოპოლიური მდგომარეობით და შეაფერხოს (შეაჩეროს) ხელფასის ზრდა მისი ობიექტურად მოცემული პარამეტრებისაგან (მუშაკის შრომის ნაყოფიერების, მათი კვალიფიკაციის, სამუშაო ძალის კვლავწარმოებითი დანახარჯების) დამოუკიდებლად. თუ სახელმწიფო წინანდებურად ეცდება თავი აარიდოს მოსახლეობის დაბალი შრომითი შემოსავლების პრობლემის გადაწყვეტას, იგი იძულებული იქნება წავიდეს სოციალური ტრანსფერტების ხარჯზე შრომითი შემოსავლების კომპენსაციის გზით.

ჯერ ერთი, შრომის ბაზრის მონოპსონური ფორმა გარდამავალ ეკონომიკაში წარმოადგენს პროდუქციისა და კაპიტალის ბაზრების მონოპოლიზაციის შედეგს, რომელსაც მივყევართ შრომის ბაზრის გეოგრაფიულ და პროფესიულ ლოკალიზაციამდე, ზოგჯერ მათზე ერთადერთი მყიდველის არსებობით მოსახლეობის რეალური შემოსავლების დაცემის პირობებში შრომის ბაზარზე პროფესიული და გეოგრაფიული ბარიერების გადალახვის მაღალი დანახარჯები სისტემატურად

წარმოქმნიან ექსპლუატაციის მონოპსონურ ფორმას, როცა სამუშაოს მიმცემი შრომის ბაზარზე მონოპსონიის გამოყენებით ადგენს ხელფასს უფრო დაბალ დონეზე, ვიდრე მუშაკის ზღვრული შრომის ნაყოფიერებაა.

მეორე, პირველთან მჭიდროდაა დაკავშირებული ხელფასის შემცირების პირობებში შრომის მიწოდების დაბალი ელასტიურობა, რომელიც ძლიერდება შრომის ბაზრის დათრგუნული მდგომარეობით ეს საშუალებას აძლევს მეწარმეებს და სახელმწიფოს განახორციელონ ფასობრივი დისკრიმინაცია მუშაკების მიმართ – დაადგინონ მუშაკების ხელფასი ადამიანურ კაპიტალში დაბანდებისაგან დამოუკიდებლად, სხვადასხვა მწარმოებლური შრომა აანაზღაურონ ხელფასის ერთნაირი განაკვეთით.

მესამე, სასაქონლო ბაზარზე პროდუქციაზე მოთხოვნის არაელასტიურობა, რომელიც რეფორმის წლებში გამოიხატება პირადი სამომხმარებლო ხარჯების, მთლიანი ინვესტიციების, სახელმწიფო ხარჯების შემცირებაში, ამცირებს წარმოების ფაქტორების, მათ შორის შრომის ზღვრულ შემოსავლებს; გარდამავალ ეკონომიკაში მოქმედებს ჯ. რობინსონის მიერ აღმოჩენილი ურთიერთკავშირი ექსპლუატაციის ხარისხსა და პროდუქციაზე მოთხოვნის ელასტიურობას შორის: ცალკეულ საქონელზე რაც უფრო ნაკლებია მოთხოვნის ელასტიურობა მით უფრო მაღალია წარმოების ფაქტორთა ექსპლუატაციის ხარისხი.

მეოთხე, მუშაკთა დამოუკიდებელ პროფკავშირებში გაერთიანების დაბალ დონეს მივყავართ მათი ფასობრივი დისკრიმინაციის გაძლიერებამდე, როცა დაქირავებით ურთიერთობებში სამუშაოს მიმცემს საქმე აქვს არა მუშაკთა ისეთ გაერთიანებასთან, რომლებიც კოლექტიურად იცავენ თავიანთ ინტერესებს, არამედ ცალკეულ მუშაკებთან. მათგან ერთ ნაწილს შეუძლია მიაღწიოს ხელფასის გაზრდას და შრომის პირობების გაუმჯობესებას მეწარმეებთან ან სახელმწიფოსთან მოლაპარაკების გზით (მაღაროელთა გაფიცვები, რომელიც ორგანიზებული შეიძლება იყოს სამთოელთა დამოუკიდებელი პროფკავშირების მიერ), მეორე ნაწილს კი არა (მასწავლებლები, ექიმები, კულტურის მუშაკები).

სამუშაო ძალის სიჭარბის დროს ხელფასს არა აქვს ქვედა ზღვარი და შეიძლება დაეცეს ინდივიდუალური კეთილდღეობის ზღვრული დონის ქვემოთ, რომლის იქით არ შეიძლება განხორციელდეს სამუშაო ძალის კვლავწარმოება. ეს კი ნიშნავს იმას, რომ ადამიანი მონოპსონური ექსპლუატაციის შედეგად, მისი შრომის ნაყოფიერების მიუხედავად, რომელიც გაპირობებულია სამუშაო ძალის პროფესიული მონაცემებით, კვალიფიკაციით, განათლებით და რომლებიც ადასტურებენ მის მონაწილეობას წარმოებაში, შეიძლება აღმოჩნდეს სიღარიბის ზღვარს მიღმა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. რ. კაკულია, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის თეორიისა და პრაქტიკის პრობლემები, თბილისი, 2003.
2. ვ. პაპავა, პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომიკა და საქართველოს ეკონომიკა, თბილისი, საქ. მეცნიერებათა აკადემია. 2002.
3. ვ. პაპავა, პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკა, თსუ-ს გამომცემლობა, თბილისი, 2005.
4. ჭითანავა ნ., გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, თბილისი, გამომცემლობა „ეს პსკი“. 1999.
5. О.С.Белокрылова, Теория переходной экономики, Ростов на Дону, Феиикс, 2002.
6. А.В. Бузгалин, А.И. Колганов, Теория социально-Экономических Трансформации. Прошлое, настоящее и будущее экономики «Реального социализма» в глобальном постиндустриальном мире, Теис, Москва, 2003.
7. Г.М. Гукасян, Экономическая теория: проблемы «Новой Экономики»; Питер, Москва, Санкт Петербург, 2003.
8. И.П. Николаев; Теория переходной экономики; Юнити. Издательство политической литературы «Единство», Москва, 2001.
9. И.П. Николаев; Экономическая теория: Трансформирующая Экономика, Юнити, Издательство политической литературы «Единство», Москва, 2004.
10. Папава В.Г., Беридзе Т.А., Очерки политической экономии посткоммунистического капитализма, Опыт Грузии Москва, «Дело и Сервис», 2005.
11. Экономика переходного периода: сборник избранных работ, Москва, Дело. 2003.
12. Anticorruption in Transition. A Contribution in the Policy Debate. Washington, The World Bank, 2000.
13. Klaus V. Promoting Financial Stability in the Transition Economies of Central and Eastern Europe. In: Maintaining Financial Stability in a Global Economy. A Symposium Sponsored by The Federal Reserve of Kansas City. Jacson Hole. Wyoming, August 28-30, 1997.
14. Jochem A. Monetary Stabilization in Countries in Transition. // International Advances in Economic Research, 1999, Vol. 5, No. 1.
15. Wolfenson J.D. A Proposal for a Comprehensive Development Framework (A Discussion Draft). Washington, The World Bank, 1999.

ვირტუალური ეკონომიკა და გადასახადები

კაპიტალის მობილურობის ფართომასშტაბიან ზრდას, რომელიც წარმოადგენს გლობალიზაციის ერთ-ერთ საყოველთაოდ აღიარებულ შედეგს, ადგილი აქვს მთელ მსოფლიოში სრულიად განსხვავებული საგადასახადო რეჟიმების არსებობის პირობებში. პროტექციონისტული ბარიერების შემცირებას ან გაქრობას მიყვება კონკურენციის ზრდისკენ. მზარდზე დარჩენის შანსი გააჩნია მხოლოდ იმას, ვისაც შეუძლია უზრუნველყოს თავისი საქონლისა და მომსახურების წარმოება მინიმალური დანაკარგებით (სხვა დანარჩენ პირობებში). შესაბამისად, იმისთვის რომ გადარჩეს, კომპანიამ უნდა მოახდინოს თავისი გადასახადების მინიმიზირება. ნორბერგი მიუთითებს, რომ კორპორაციებისათვის არ არის აუცილებელი «დაუყოვნებლივ გადავიდნენ ყველაზე დაბალი გადასახადების მქონე ქვეყნებში. ისინი მიემართებიან იქ, სადაც მათი აზრით არსებობს კეთილდღეობის სათანადო მაჩვენებელი, მათ მიერ

გადახდილი გადასახადების სანაცვლოდ.» [2. “Norberg J.”Protection of global capitalism”]. მართლაც, კორპორაციის აქტივების ფიზიკური განთავსება და მისი იურისდიქცია სხვადასხვაა. ორი სრულიად განსხვავებული ცნებებია. კომპანიები, კონკურენციის წნეხის ქვეშ, რა თქმა უნდა ცდილობენ იქცნენ ყველაზე დაბალი გადასახადების მქონე ქვეყნების საგადასახადო რეზიდენტებად და იმავდროულად დარჩნენ იმ ქვეყნებში, სადაც მათ გააჩნიათ ბიზნესისთვის უკეთესი პირობები. რატომ გადაიხდის კომპანია გადასახადებს, თუკი მას გააჩნია შანსი გახდეს «ფრი რაიდერი» და გადასცეს გადასახადების ტვირთი ნაკლებად მობილურ გადასახადების გადამხდელებს? სუკვე აღარ არის ეფექტიანი მოწოდება ბიზნესის პასუხისმგებლობის შესახებ, არც ხანგრძლივი მსჯელობები იმაზე, რომ «გადახდილი გადასახადები მიიძღვრება განათლებაზე, საავადმყოფოებზე, ბიზნეს-ინფრასტრუქტურის განვითარებასა და საყოველთაო კეთილდღეობის მქონე სახელმწიფოს შექმნაზე», აღარც ისეთი იაფფასიანი სოციალური რეკლამებია საინტერესო, როგორცაა: «გადაიხადეთ გადასახადები და იძინეთ მშვიდად», ან «გადასახადები ასაზრდოებენ ჩვენს მოხუცებს». გლობალური კონკურენციის მქონე სივრცეში, თუ კომპანია გადაიხდის გადასახადებს, ის დაკარგავს საბაზრო ნიშას უფრო სწრაფად, ვიდრე მის მიერ გადახდილი გადასახადები მიღწევენ სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშამდე.

ამ კონკურენტულ გარემოში აღარ არიან მოქმედი არც დამსჯელი სპეცრაზმები და არც ინფორმაციის მოპოვების მრავალფეროვანი საშუალებები. შეიარაღებული ადამიანები ვერსად ვერ შეიჭრებიან და ვერც ვერაფრის კონფისკაციას ვეღარ მოახდენენ. სხვადასხვა ტიპის სპეცსამსახურები უძლურები არიან ჩვეულებრივი PGP-ს. ელექტრონული ფულის, სტრუქტურირებული ოფციონური კონტრაქტებისა და ოფშორული კორპორაციების ანონიმური მფლობელების წინააღმდეგ.

აღნიშნულის გაზიარება ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში მცხოვრებთათვის განსაკუთრებით ძნელია. მათთვის ხომ გადასახადებისათვის თავის არიდება გათანაბრებული იყო «ფსევდო მეწარმეობასთან» და «ფიქტიურ» სტრუქტურებთან. მხოლოდ განსაკუთრებული უმცირესობა რისკავს გაიტანოს თავისი ფული ამ საეჭვო ოფშორებში. ბევრ ქვეყანაში სახელმწიფო საგადასახადო ტერორიზმი იქცა ჩვეულებრივ მოვლენად, დაწოლა ბიზნესზე ძლიერდება. მიუხედავად ამისა ყალიბდება სერიოზული კონკურენცია და ბაზარი. ფული, რომელიც არ არის ჩადებული წარმოების განვითარებაში, ფუჭია. ფულის დამკარგავი ფირმა ბაზრის მიერ ისჯება სწრაფად და სასტიკად. სწორედ ასეთ საწარმოებს აღარ ეყოფა სახსრები ახალი მოწყობილობების შესაძენად ან ბანკში მორიგი დავალიანების დასაფარავად. თუკი ფირმის მიერ შექმნილ დამატებით ღირებულებაში გადასახადების ხვედრითი წილი ტოლია ან აღემატება საკუთრივ საწარმოს მიერ მიღებულ მოგებას, მაშინ გადასახადებით დაბეგვრისაგან გაქცევა ნიშნავს საწარმოო რენტაბელობის ორმაგ გაზრდას, ფირმის აქციების 100%-იან ზრდას. რეინჟინერინგს, ხარისხისათვის ბრძოლას, სიგმებისა და balanced scorecards არანაირ რაოდენობას, სარეკლამო კომპანიებს და სოციალურ პასუხისმგებლობას არ შეუძლია უზრუნველყოს ასეთი სწრაფი ეფექტიანობის ზრდა. ბაზარი მიესალმება უფრო ეფექტიან კამპანიებს, და შესაბამისად, ბუნებრივი საბაზრო გადარჩევა მიმდინარეობს იმ კომპანიების სასარგებლოდ, რომლებიც არ იხდიან გადასახადებს. იმ მოსაზრებას, რომ მომავალი ეკუთვნის იმ საწარმოებს, რომლებიც არ იხდიან გადასახადებს, ადასტურებს ემპირიული ფაქტებიც. ინვესტიციების ზრდის ტემპები ოფშორულ ზონებში გაცილებით უსწრებს წინ ტემპებს მთელს დანარჩენ მსოფლიოში. სწორედ ოფშორებშია დარეგისტრირებული მსოფლიოს უმსხვილესი ბანკები. Bბევრი კომპანია, მდიდარი კერძო პირები გადადიან ოფშორებში ან უკიდურეს შემთხვევაში ნომინალურად ირიცხებიან იქ საგადასახადო რეზიდენტებად.

როგორც უკვე ავღნიშნეთ, ყველაზე რენტაბელურ კომპანიებს გააქვთ თავიანთი მოგება ოფშორებში და სწორედ გადასახადებისგან თავის არიდება აძლევს მათ შანსს შეინარჩუნონ მაღალი რენტაბელობა, მოახდინონ ტექნოლოგიური გადაიარაღებები და გაიღონ თავიანთი თანხები სახელმწიფო ბიუროკრატების ხელფასებისთვის და არაეფექტიან welfare state-ის შესანახად. სწორედ

ოფშორულ რეზიდენციებს უკავიათ წამყვანი ადგილები უცხოური ინვესტორების ტოპ-რეიტინგებში მსოფლიოს ბევრი ქვეყნის ეკონომიკაში, მათ შორის ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებშიც. ასეთ ქვეყნებს შორის თავისი ადგილი უკავია კვიპროსს, ვირჯინიის კუნძულებს და ა.შ. ეს ნიშნავს, რომ უცხოური ინვესტიციების დიდი ნაწილი ბევრი ქვეყნისათვის ეს არის სამამულო კომპანიების ფული, რომლებიც თავის დროზე გადატანილ იქნა უგადასახადო ოფშორებში და შემდგომში ისინი ბრუნდებიან საკუთარ ან მსგავს საწარმოებში უცხოური ინვესტიციების ფორმით. რასაკვირველია, გადასახადებისაგან თავის არიდება არ ამოიწურება ოფშორების არსებობით. ვიტო ტანზი [Vito Tanzi, inter-American development bank, Paper on 15-th international scientific conference] გამოყოფს რამოდენიმე ფინანსურ «ტერმინს». [3. ოფიციალური ტერმინი. იხ. [http://www. Infopark.ru/press/article](http://www.Infopark.ru/press/article)]. სწორედ ასე უწოდებს იგი თანამედროვე გლობალური ეკონომიკისათვის დამახასიათებელ მოვლენას, რომელიც ახასიათებს დაბეგვრის ახლად ჩამოყალიბებულ ტექნოლოგიებს. მათ პირველ რიგში მიეკუთვნება ინტერნეტ-ვაჭრობა, რომელიც ძალიან ართულებს საგადასახადო ორგანოების მუშაობას - ადვილია ელექტრონული ტრანსაქციების დამალვა ან ფალსიფიცირება. ამასთან, ვაჭრობის განვითარებამ ისეთი ციფრული მექანიზმებით, როგორცაა მუსიკალური ჩანაწერები, საგანმანათლებლო მომსახურებები და ა.შ. გაართულა თვითონ ვაჭრობის ფაქტის თუ გადასახადის გადამხდელის კონკრეტული ქვეყნისთვის მიკუთვნების დადგენა.

ის სახელმწიფოები, რომლებიც მიმართავენ საგადასახადო დაწოლის გაძლიერებას, უფრო ხშირად ეჯახებიან საგადასახადო კრიზისის პრობლემებს. იქმნება ჩაკეტილი წრე, სადაც უფრო მობილური კომპანიების გადასახადებისაგან გაქცევას შედეგად მოყვება ის, რომ სახელმწიფო აძლიერებს საგადასახადო ზეწოლას ნაკლებად მობილურ საგადასახადო რეზიდენტებზე. ეს კი თავის მხრივ, აიძულებს მათ ეძიონ გზები საგადასახადო თანხების მინიმუმის მიზნით. საგადასახადო დრო უფროდაუფრო დიდი წილით გადანაწილდება ნაკლებად მობილურ გადასახადების გადამხდელებზე. მაღალეფექტური საგადასახადო განაკვეთები ზრდიან გადასახადებისაგან გაქცევის სტიმულებს და ზრდის მანამდე არამობილური გადასახადების გადამხდელების ეფექტიანობას. ყეს თავის მხრივ, კიდევ უფრო ამძიმებს საგადასახადო ტვირთს. ამ პრობლემების გადაწყვეტის შემდეგი გამოსავალი არსებობს: საგადასახადო ზეწოლის შემცირება, სახელმწიფოს downshifting-ის განხორციელება, welfare state-ის დემონტაჟი, ძირითადი სახელმწიფო ფუნქციების ლიბერალიზაცია და მარკეტიზაცია. უკიდევ უფრო უკეთესი გამოსავალია ერთიანი მსოფლიო საგადასახადო განაკვეთების სისტემის შექმნა საქონლის მობილური სახეობებისთვის, მოკლევადიანი კაპიტალისთვის და წარმოების ფაქტორებისთვის. საგადასახადო სისტემების ჰარმონიზირება უნდა

გადაეცეს მსოფლიო საგადასახადო ორგანიზაციას, რომელმაც უნდა შეიძინოს ისეთივე მნიშვნელობა, როგორც გააჩნია საერთაშორისო სავალუტო ფონდს და მსოფლიო ბანკს. სამი გეოეკონომიკური პოლუსის ფორმირება – ჩრდილო-ამერიკულის, ევროპულის და აზია-წყნარი ოკეანის აუზის ქვეყნების – შესაძლებელს ხდის ამ ვარიანტის განხორციელებას საკმაოდ ხანმოკლე პერიოდში. წამყვანი მსოფლიო ცენტრების ძალისხმევას შეუძლია აიძულოს დანარჩენი მსოფლიო მოახდინოს საგადასახადო კანონმდებლობის ჰარმონიზირება და ნიველირება გაუკეთის ტრადიციულ ოფშორებს. თუმცა, როდესაც მსოფლიო მშპ-ის დიდი ნაწილი იქმნება არამატერიალურ და არა უბრალოდ არამატერიალურ, არამედ ციფრულ ანუ ვირტუალურ სფეროში, ოფშორების ფუნქციები თანდათან ევოლუციურად ერწყმის ინტერნეტს.. ყოველგვარი მცდელობა ინტერნეტში ტრანსაქციების გაკონტროლებისა უძლურია ებრძოლოს კერძო ანონიმურ ელექტრონულ ფულად სისტემებს, რომლებიც უკვე წარმატებით ფუნქციონირებენ.

სახელმწიფო მოხელეებს შეუძლიათ გააფორმონ მრავალმხრივი საგადასახადო შეთანხმებები და სრულყონ საგადასახადო ინფორმაციის საერთაშორისო მასშტაბით შეკრება და გაცვლა. Aარსებობს მოსაზრება, რათა განისაზღვროს იმ ქვეყნების ჩამონათვალი, რომლებიც ეწევიან უპატიოსნო ან დამლუპველ საგადასახადო კონკურენციას; მიზანშეწონილია გადასახადების შემოღება ოფშორულ გარიგებებზე გაზრდილი განაკვეთებით. ეს წესი. უკვე მოქმედებაშია რეალურად, მაგალითად, უკრაინაში. მმინც როგორია გადასახადების მომავალი გლობალიზაციის პირობებში? აშკარაა, რომ სახელმწიფო ამა თუ იმ ფორმით იარსებებს მომავალშიც. სახელმწიფოს საქმიანობა უნდა დაფინანსდეს და ამ დაფინანსების წყაროდ კვლავინდებურად დარჩება ალბათ გადასახადები. ეს გადასახადები ალბათ არსებითად შეიცვლებიან. მმოგებაზე გადასახადის ადგილს ალბათ დაიკავებს ის გადასახადები, რომელთა დაბეგვრის ობიექტები ნაკლებად მობილურები არიან – ესენია საკუთრება და მოხმარება. შეუძლებელია ოფშორში გადაიტანო სახლი ან იარო ავტომანქანით, რომელიც რეგისტრირებულია ტაივანში. შესაბამისად მოსალოდნელია საგადასახადო განაკვეთების გაზრდა უძრავ ქონებაზე. შესაძლებელია გადასახადები ხელფასებზეც გაიზარდოს ყოველ შემთხვევაში მათთვის, ვინც დაკავებულია რეალურ ეკონომიკაში, რაც კიდევ უფრო გააძლიერებს სამუშაო ძალის მიგრაციას ვირტუალურ ეკონომიკაში.

ვირტუალური ეკონომიკის გადასახადებით დაბეგვრის ეფექტური სისტემა ჯერჯერობით არ გამოუგონიათ. ასეთი სისტემის დანერგვის მცდელობას ალბათ მოყვება ბიზნესის საქმიანობის გამწვავება. კერძო ფული უფლებას აძლევს მის მფლობელებს შექმნან სახელმწიფოსაგან სავსებით

დამოუკიდებელი პარალელური ეკონომიკური სისტემა, რომელსაც სახელმწიფო უბრალოდ არ სჭირდება. შემღებელია ამ სისტემის კონტროლირება და მით უმეტეს გადასახადებით დაბეგვრა.

რადგან ვირტუალური ეკონომიკის ხვედრითი წილი მშპ-ის სტრუქტურაში იზრდება, და როგორც მოსალოდნელია კიდევ უფრო გაიზრდება, დასაბეგრი ბრუნვის ხვედრითი წილი შესაბამისად შემცირდება. ეს კი ავტომატურად შეამცირებს იმ მშპ-ის ხვედრით წილს, რომელიც გადანაწილდება სახელმწიფოს მიერ ბიუჯეტის საშუალებით. იმის მცდელობა, რომ მოხდეს დაბეგრილი მშპ-ის ხვედრითი წილის შემცირება საგადასახადო განაკვეთების გაზრდის ხარჯზე, კარგს არაფერს არ მოიტანს – ქონებაზე გადასახადების გადაჭარბებული გაზრდა დაამუხრუჭებს ახალ მშენებლობებს და დაანგრევს უძრავი ქონების ბაზარს. ბიუჯეტის საშუალებით გადანაწილებული მთლიანი შიდა პროდუქტის ხვედრითი წილის შემცირება ბუნებრივად გამოიწვევს სახელმწიფოს ჰიპერტროფირებული ფუნქციების შეცვლას და ამ ფუნქციების კონცენტრაციას თავისი საქმიანობის ძირითად ასპექტებზე. გლობალიზაციის მიერ გამოწვეული თვითრეგულირების ასეთი მექანიზმი გადააქცევს სახელმწიფოს უფრო ეფექტურ და ნაკლებად პარაზიტულ წარმონაქმნად. ამრიგად, სწორედ ტრადიციული საგადასახადო სისტემის კრიზისი, რომელიც გამოწვეულია გლობალიზაციით, ობიექტურად მიგვიყვანს უფრო ლიბერალურ მსოფლიომდე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Norberg J. “ Protection of Global Capitalizm” M. 2007. pp. 245.
2. [http:// www.infopark.ru/Press/article](http://www.infopark.ru/Press/article)
3. Vito Tanzi, Inter-American Development Bank. 1981-2001 წწ.საერთაშორისო სავალუტო ფონდის საგადასახადოდეპარტამენტის დირექტორი. Mმე-15 საერთაშორისო ფინანსური კონფერენციაზე მოხსენება.
4. [http:// cato.ru](http://cato.ru). RadchenkoV. European instituteof social-Economicresearches; Issues of Glibalizationand Development.

ვირტუალური ეკონომიკა და გადასახადები

კაპიტალის მობილურობის ფართომასშტაბიან ზრდას, რომელიც წარმოადგენს გლობალიზაციის ერთ-ერთ საყოველთაოდ აღიარებულ შედეგს, ადგილი აქვს მთელ მსოფლიოში სრულიად განსხვავებული საგადასახადო რეჟიმების არსებობის პირობებში. პროტექციონისტული ბარიერების შემცირებას ან გაქრობას მიყვება კონკურენციის ზრდისკენ. მზარდ დარჩენის შანსი გააჩნია მხოლოდ იმას, ვისაც შეუძლია უზრუნველყოს თავისი საქონლისა და მომსახურების წარმოება მინიმალური დანაკარგებით (სხვა დანარჩენ პირობებში). შესაბამისად, იმისთვის რომ გადარჩეს, კომპანიამ უნდა მოახდინოს თავისი გადასახადების მინიმიზირება. ნორბერგი მიუთითებს, რომ კორპორაციებისათვის არ არის აუცილებელი «დაუყოვნებლივ გადავიდნენ ყველაზე დაბალი გადასახადების მქონე ქვეყნებში. ისინი მიემართებიან იქ, სადაც მათი აზრით არსებობს კეთილდღეობის სათანადო მაჩვენებელი, მათ მიერ

გადახდილი გადასახადების სანაცვლოდ.» [2. “Norberg J.”Protection of global capitalism”]. მართლაც, კორპორაციის აქტივების ფიზიკური განთავსება და მისი იურისდიქცია სხვადასხვაა. ორი სრულიად განსხვავებული ცნებებია. კომპანიები, კონკურენციის წნეხის ქვეშ, რა თქმა უნდა ცდილობენ იქცნენ ყველაზე დაბალი გადასახადების მქონე ქვეყნების საგადასახადო რეზიდენტებად და იმავდროულად დარჩნენ იმ ქვეყნებში, სადაც მათ გააჩნიათ ბიზნესისთვის უკეთესი პირობები. რატომ გადაიხდის კომპანია გადასახადებს, თუკი მას გააჩნია შანსი გახდეს «ფრი რაიდერი» და გადასცეს გადასახადების ტვირთი ნაკლებად მობილურ გადასახადების გადამხდელებს? სუკვე აღარ არის ეფექტიანი მოწოდება ბიზნესის პასუხისმგებლობის შესახებ, არც ხანგრძლივი მსჯელობები იმაზე, რომ «გადახდილი გადასახადები მიიძღვება განათლებაზე, საავადმყოფოებზე, ბიზნეს-ინფრასტრუქტურის განვითარებასა და საყოველთაო კეთილდღეობის მქონე სახელმწიფოს შექმნაზე», აღარც ისეთი იაფფასიანი სოციალური რეკლამებია საინტერესო, როგორცაა: «გადაიხადეთ გადასახადები და იძინეთ მშვიდად», ან «გადასახადები ასაზრდოებენ ჩვენს მოხუცებს». გლობალური კონკურენციის მქონე სივრცეში, თუ კომპანია გადაიხდის გადასახადებს, ის დაკარგავს საბაზრო ნიშას უფრო სწრაფად, ვიდრე მის მიერ გადახდილი გადასახადები მიღწევენ სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშამდე.

ამ კონკურენტულ გარემოში აღარ არიან მოქმედი არც დამსჯელი სპეცრაზმები და არც ინფორმაციის მოპოვების მრავალფეროვანი საშუალებები. შეიარაღებული ადამიანები ვერსად ვერ შეიჭრებიან და ვერც ვერაფრის კონფისკაციას ვეღარ მოახდენენ. სხვადასხვა ტიპის სპეცსამსახურები უძღურები არიან ჩვეულებრივი PGP-ს. ელექტრონული ფულის, სტრუქტურირებული ოფციონური კონტრაქტებისა და ოფშორული კორპორაციების ანონიმური მფლობელების წინააღმდეგ.

აღნიშნულის გაზიარება ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში მცხოვრებთათვის განსაკუთრებით ძნელია. მათთვის ხომ გადასახადებისათვის თავის არიდება გათანაბრებული იყო «ფსევდო მეწარმეობასთან» და «ფიქტიურ» სტრუქტურებთან. მხოლოდ განსაკუთრებული უმცირესობა რისკავს გაიტანოს თავისი ფული ამ საეჭვო ოფშორებში. ბევრ ქვეყანაში სახელმწიფო საგადასახადო ტერორიზმი იქცა ჩვეულებრივ მოვლენად, დაწოლა ბიზნესზე ძლიერდება. მიუხედავად ამისა ყალიბდება სერიოზული კონკურენცია და ბაზარი. ფული, რომელიც არ არის ჩადებული წარმოების განვითარებაში, ფუჭია. ფულის დამკარგავი ფირმა ბაზრის მიერ ისჯება სწრაფად და სასტიკად. სწორედ ასეთ საწარმოებს აღარ ეყოფა სახსრები ახალი მოწყობილობების შესაძენად ან ბანკში მორიგი დავალიანების დასაფარავად. თუკი ფირმის მიერ შექმნილ დამატებით ღირებულებაში გადასახადების ხვედრითი წილი ტოლია ან აღემატება საკუთრივ საწარმოს მიერ მიღებულ მოგებას, მაშინ გადასახადებით დაბეგვრისაგან გაქცევა ნიშნავს საწარმოო რენტაბელობის ორმაგ გაზრდას, ფირმის აქციების 100%-იან ზრდას. რეინჟინერინგს, ხარისხისათვის ბრძოლას, სიგმებისა და balanced scorecards არანაირ რაოდენობას, სარეკლამო კომპანიებს და სოციალურ პასუხისმგებლობას არ შეუძლია უზრუნველყოს ასეთი სწრაფი ეფექტიანობის ზრდა. ბაზარი მიესალმება უფრო ეფექტიან კამპანიებს, და შესაბამისად, ბუნებრივი საბაზრო გადარჩევა მიმდინარეობს იმ კომპანიების სასარგებლოდ, რომლებიც არ იხდიან გადასახადებს. იმ მოსაზრებას, რომ მომავალი ეკუთვნის იმ საწარმოებს, რომლებიც არ იხდიან გადასახადებს, ადასტურებს ემპირიული ფაქტებიც. ინვესტიციების ზრდის ტემპები ოფშორულ ზონებში გაცილებით უსწრებს წინ ტემპებს მთელს დანარჩენ მსოფლიოში. სწორედ ოფშორებშია დარეგისტრირებული მსოფლიოს უმსხვილესი ბანკები. Bბევრი კომპანია, მდიდარი კერძო პირები გადადიან ოფშორებში ან უკიდურეს შემთხვევაში ნომინალურად ირიცხებიან იქ საგადასახადო რეზიდენტებად.

როგორც უკვე ავღნიშნეთ, ყველაზე რენტაბელურ კომპანიებს გააქვთ თავიანთი მოგება ოფშორებში და სწორედ გადასახადებისგან თავის არიდება აძლევს მათ შანსს შეინარჩუნონ მაღალი რენტაბელობა, მოახდინონ ტექნოლოგიური გადაიარაღებები და გაიღონ თავიანთი თანხები სახელმწიფო ბიუროკრატების ხელფასებისთვის და არაეფექტიან welfare state-ის შესანახად. სწორედ

ოფშორულ რეზიდენციებს უკავიათ წამყვანი ადგილები უცხოური ინვესტორების ტოპ-რეიტინგებში მსოფლიოს ბევრი ქვეყნის ეკონომიკაში, მათ შორის ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებშიც. ასეთ ქვეყნებს შორის თავისი ადგილი უკავია კვიპროსს, ვირჯინიის კუნძულებს და ა.შ. ეს ნიშნავს, რომ უცხოური ინვესტიციების დიდი ნაწილი ბევრი ქვეყნისათვის ეს არის სამამულო კომპანიების ფული, რომლებიც თავის დროზე გადატანილ იქნა უგადასახადო ოფშორებში და შემდგომში ისინი ბრუნდებიან საკუთარ ან მსგავს საწარმოებში უცხოური ინვესტიციების ფორმით. რასაკვირველია, გადასახადებისაგან თავის არიდება არ ამოიწურება ოფშორების არსებობით. ვიტო ტანზი [Vito Tanzi, inter-American development bank, Paper on 15-th international scientific conference] გამოყოფს რამოდენიმე ფინანსურ «ტერმინს». [3. ოფიციალური ტერმინი. იხ. [http://www. Infopark.ru/press/article](http://www.Infopark.ru/press/article)]. სწორედ ასე უწოდებს იგი თანამედროვე გლობალური ეკონომიკისათვის დამახასიათებელ მოვლენას, რომელიც ახასიათებს დაბეგვრის ახლად ჩამოყალიბებულ ტექნოლოგიებს. მათ პირველ რიგში მიეკუთვნება ინტერნეტ-ვაჭრობა, რომელიც ძალიან ართულებს საგადასახადო ორგანოების მუშაობას - ადვილია ელექტრონული ტრანსაქციების დამალვა ან ფალსიფიცირება. ამასთან, ვაჭრობის განვითარებამ ისეთი ციფრული მექანიზმებით, როგორცაა მუსიკალური ჩანაწერები, საგანმანათლებლო მომსახურებები და ა.შ. გაართულა თვითონ ვაჭრობის ფაქტის თუ გადასახადის გადამხდელის კონკრეტული ქვეყნისთვის მიკუთვნების დადგენა.

ის სახელმწიფოები, რომლებიც მიმართავენ საგადასახადო დაწოლის გაძლიერებას, უფრო ხშირად ეჯახებიან საგადასახადო კრიზისის პრობლემებს. იქმნება ჩაკეტილი წრე, სადაც უფრო მობილური კომპანიების გადასახადებისაგან გაქცევას შედეგად მოყვება ის, რომ სახელმწიფო აძლიერებს საგადასახადო ზეწოლას ნაკლებად მობილურ საგადასახადო რეზიდენტებზე. ეს კი თავის მხრივ, აიძულებს მათ ეძიონ გზები საგადასახადო თანხების მინიმუმის მიზნით. საგადასახადო დრო უფროდაუფრო დიდი წილით გადანაწილდება ნაკლებად მობილურ გადასახადების გადამხდელებზე. მაღალეფექტური საგადასახადო განაკვეთები ზრდიან გადასახადებისაგან გაქცევის სტიმულებს და ზრდის მანამდე არამობილური გადასახადების გადამხდელების ეფექტიანობას. Yეს თავის მხრივ, კიდევ უფრო ამძიმებს საგადასახადო ტვირთს. ამ პრობლემების გადაწყვეტის შემდეგი გამოსავალი არსებობს: საგადასახადო ზეწოლის შემცირება, სახელმწიფოს downshifting-ის განხორციელება, welfare state-ის დემონტაჟი, ძირითადი სახელმწიფო ფუნქციების ლიბერალიზაცია და მარკეტიზაცია. სკიდევ უფრო უკეთესი გამოსავალია ერთიანი მსოფლიო საგადასახადო განაკვეთების სისტემის შექმნა საქონლის მობილური სახეობებისთვის, მოკლევადიანი კაპიტალისთვის და წარმოების ფაქტორებისთვის. საგადასახადო სისტემების ჰარმონიზირება უნდა

გადაეცეს მსოფლიო საგადასახადო ორგანიზაციას, რომელმაც უნდა შეიძინოს ისეთივე მნიშვნელობა, როგორც გააჩნია საერთაშორისო სავალუტო ფონდს და მსოფლიო ბანკს. სამი გეოეკონომიკური პოლუსის ფორმირება – ჩრდილო-ამერიკულის, ევროპულის და აზია-წყნარი ოკეანის აუზის ქვეყნების – შესაძლებელს ხდის ამ ვარიანტის განხორციელებას საკმაოდ ხანმოკლე პერიოდში. წამყვანი მსოფლიო ცენტრების ძალისხმევას შეუძლია აიძულოს დანარჩენი მსოფლიო მოახდინოს საგადასახადო კანონმდებლობის ჰარმონიზირება და ნიველირება გაუკეთის ტრადიციულ ოფშორებს. თუმცა, როდესაც მსოფლიო მშპ-ის დიდი ნაწილი იქმნება არამატერიალურ და არა უბრალოდ არამატერიალურ, არამედ ციფრულ ანუ ვირტუალურ სფეროში, ოფშორების ფუნქციები თანდათან ევოლუციურად ერწყმის ინტერნეტს.. ყოველგვარი მცდელობა ინტერნეტში ტრანსაქციების გაკონტროლებისა უძლურია ებრძოლოს კერძო ანონიმურ ელექტრონულ ფულად სისტემებს, რომლებიც უკვე წარმატებით ფუნქციონირებენ.

სახელმწიფო მოხელეებს შეუძლიათ გააფორმონ მრავალმხრივი საგადასახადო შეთანხმებები და სრულყონ საგადასახადო ინფორმაციის საერთაშორისო მასშტაბით შეკრება და გაცვლა. Aარსებობს მოსაზრება, რათა განისაზღვროს იმ ქვეყნების ჩამონათვალი, რომლებიც ეწევიან უპატიოსნო ან დამლუპველ საგადასახადო კონკურენციას; მიზანშეწონილია გადასახადების შემოღება ოფშორულ გარიგებებზე გაზრდილი განაკვეთებით. ეს წესი უკვე მოქმედებაშია რეალურად, მაგალითად, უკრაინაში. მმინც როგორია გადასახადების მომავალი გლობალიზაციის პირობებში? აშკარაა, რომ სახელმწიფო ამა თუ იმ ფორმით იარსებებს მომავალშიც. სახელმწიფოს საქმიანობა უნდა დაფინანსდეს და ამ დაფინანსების წყაროდ კვლავინდებურად დარჩება ალბათ გადასახადები. ეს გადასახადები ალბათ არსებითად შეიცვლებიან. მმოგებაზე გადასახადის ადგილს ალბათ დაიკავებს ის გადასახადები, რომელთა დაბეგვრის ობიექტები ნაკლებად მობილურები არიან – ესენია საკუთრება და მოხმარება. შეუძლებელია ოფშორში გადაიტანო სახლი ან იარო ავტომანქანით, რომელიც რეგისტრირებულია ტაივანში. შესაბამისად მოსალოდნელია საგადასახადო განაკვეთების გაზრდა უძრავ ქონებაზე. შესაძლებელია გადასახადები ხელფასებზეც გაიზარდოს ყოველ შემთხვევაში მათთვის, ვინც დაკავებულია რეალურ ეკონომიკაში, რაც კიდევ უფრო გააძლიერებს სამუშაო ძალის მიგრაციას ვირტუალურ ეკონომიკაში.

ვირტუალური ეკონომიკის გადასახადებით დაბეგვრის ეფექტური სისტემა ჯერჯერობით არ გამოუგონიათ. ასეთი სისტემის დანერგვის მცდელობას ალბათ მოყვება ბიზნესის საქმიანობის გამწვავება. კერძო ფული უფლებას აძლევს მის მფლობელებს შექმნან სახელმწიფოსაგან სავსებით

დამოუკიდებელი პარალელური ეკონომიკური სისტემა, რომელსაც სახელმწიფო უბრალოდ არ სჭირდება. შემღებელია ამ სისტემის კონტროლირება და მით უმეტეს გადასახადებით დაბეგვრა.

რადგან ვირტუალური ეკონომიკის ხვედრითი წილი მშპ-ის სტრუქტურაში იზრდება, და როგორც მოსალოდნელია კიდევ უფრო გაიზრდება, დასაბეგრი ბრუნვის ხვედრითი წილი შესაბამისად შემცირდება. ეს კი ავტომატურად შეამცირებს იმ მშპ-ის ხვედრით წილს, რომელიც გადანაწილდება სახელმწიფოს მიერ ბიუჯეტის საშუალებით. იმის მცდელობა, რომ მოხდეს დაბეგრილი მშპ-ის ხვედრითი წილის შემცირება საგადასახადო განაკვეთების გაზრდის ხარჯზე, კარგს არაფერს არ მოიტანს – ქონებაზე გადასახადების გადაჭარბებული გაზრდა დაამუხრუჭებს ახალ მშენებლობებს და დაანგრევს უძრავი ქონების ბაზარს. ბიუჯეტის საშუალებით გადანაწილებული მთლიანი შიდა პროდუქტის ხვედრითი წილის შემცირება ბუნებრივად გამოიწვევს სახელმწიფოს ჰიპერტროფირებული ფუნქციების შეცვლას და ამ ფუნქციების კონცენტრაციას თავისი საქმიანობის ძირითად ასპექტებზე. გლობალიზაციის მიერ გამოწვეული თვითრეგულირების ასეთი მექანიზმი გადააქცევს სახელმწიფოს უფრო ეფექტურ და ნაკლებად პარაზიტულ წარმონაქმნად. ამრიგად, სწორედ ტრადიციული საგადასახადო სისტემის კრიზისი, რომელიც გამოწვეულია გლობალიზაციით, ობიექტურად მიგვიყვანს უფრო ლიბერალურ მსოფლიომდე.

გამოყენებული ლიტერატურა:

5. Norberg J. “ Protection of Global Capitalizm” M. 2007. pp. 245.
6. [http:// www.infopark.ru/Press/article](http://www.infopark.ru/Press/article)
7. Vito Tanzi, Inter-American Development Bank. 1981-2001 წწ.საერთაშორისო სავალუტო ფონდის საგადასახადოდეპარტამენტის დირექტორი. Mმე-15 საერთაშორისო ფინანსური კონფერენციაზე მოხსენება.
8. [http:// cato.ru](http://cato.ru). RadchenkoV. European instituteof social-Economicresearches; Issues of Glibalizationand Development.

ჯაბა ბიწამე

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, აკაკი წერეთლის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ნანა ბენიძე

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, აკაკი წერეთლის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის დეპარტამენტის მასწავლებელი

გლობალიზაციისა და ადამიანთა კეთილდღეობის მაკროეკონომიკური მაჩვენებელი

საზოგადოებრივი განვითარების ყველა ეტაპზე ცენტრალურ პრობლემას წარმოადგენს ადამიანის კეთილდღეობის საკითხი. თანამედროვე გლობალიზაციის პროცესი ადამიანთა კეთილდღეობის ძირითად მაჩვენებლად მიიჩნევა კვების პროდუქტებისა და სასმელი წყლის მოხმარებას, ბავშვთა შრომის გამოყენებაზე უარის თქმას და განათლებას. თანამედროვე მოწინავე ეკონომისტთა აზრით, ყველა ეს მაჩვენებელი იზრდება სიმდიდრის ზრდასთან ერთად. ამ უკანასკნელს კი თავის მხრივ უზრუნველყოფს ტექნოლოგიური ინოვაციები. ამრიგად, ტექნოლოგიები, სიმდიდრე და ადამიანთა კეთილდღეობა ურთიერთგანმსაზღვრელი ეკონომიკური მაჩვენებლებია.

უკანასკნელი 60 წლის განმავლობაში მსოფლიო სიმდიდრისა და ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად გაიზარდა ადამიანის კეთილდღეობის მაჩვენებელიც. დღეს საშუალო სტატისტიკური ადამიანი ცხოვრობს უფრო დიდხანს, ის უფრო ჯანმრთელია, ნაკლებად მშვიერი, უფრო განათლებული, ვიდრე ის იყო მეოცე საუკუნის დასაწყისში. ღარიბებს დღეს გაუჩნდათ შესაძლებლობა ისარგებლონ ტექნოლოგიებით (მაგალითად, უფრო იაფი წამლებით, სურსათით, ტანსაცმლით). მსოფლიო პრაქტიკაში ადამიანთ ცხოვრების დონე განისაზღვრება სამომხმარებლო კალათით. სამომხმარებლო კალათა - ადამიანის ჯანმრთელობის შენარჩუნების და სიცოცხლისუნარიანი საქმიანობის უზრუნველსაყოფად აუცილებელი სამომხმარებლო საქონლის და მომსახურების ფიქსირებული ჩამონათვალია. იგულისხმება: კვების პროდუქტების მინიმალური ჩამონათვალი, რომელიც ითვალისწინებს დიეტოლოგიურ შეზღუდვებს და კალორიების მინიმალურად საჭირო რაოდენობას; მასში შედის აგრეთვე არასასურსათო საქონელი, მომსახურება და აუცილებელი გადასახადები.

საარსებო მინიმუმი - ეს არის სამომხმარებლო კალათის ღირებულებითი გამოსახულება, აუცილებელი გადასახადების, ანარიცხებისა და მოსაკრებლების ჩათვლით. ეროვნული ბანკისა და

სტატისტიკის დეპარტამენტის გათვლებით, ბოლო წლებში საქართველოში ჩამოყალიბდა საარსებო მინიმუმის ღირებულების ძალზე არასახარბიელო სურათი. (იხ. ცხრილი ¹¹)

ცხრილი ¹¹

საარსებო მინიმუმის დინამიკა საქართველოში 2004-2007 წლებში

საარსებო მინიმუმი პერიოდის ბოლოსათვის	ზომის ერთეული	2004	2005	2006	2007
შრომისუნარიანი მამაკაცისათვის	ლარი	96,2	97,6	118,0	121,4
საშუალო მომხმარებლისთვის	ლარი	85,2	86,4	104,5	107,5
საშუალო ოჯახისთვის	ლარი	161,4	163,7	197,9	203,6

ამ მონაცემებიდან ნათლად ჩანს საარსებო მინიმუმის „გაძვირების“ დინამიკა, რომლის გამოსაკვლევადაც აუცილებელია საქართველოს ეკონომიკის მაკროპარამეტრების გავლენის ანალიზი ძირითად სოციალურ მაჩვენებლებზე. ინფლაცია, გარდა იმისა, რომ აფერხებს ეკონომიკურ ზრდას, ამცირებს მოსახლეობის რეალურ შემოსავლებს, რაც ძალზე უარყოფითად მოქმედებს ცხოვრების საერთო დონეზე. საქართველოში ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას, რადგან სამომხმარებლო ფასების ზრდის გამო მყიდველუნარიანობა ეცემა - ხალხს აღარა აქვს შესაძლებლობა შეიძინოს საქონელი და მომსახურება ჩვეული ჩამონათვალისა და ხარისხის ფარგლებში. შესაბამისად მცირდება მოხმარების საერთო დონე და ეს განსაკუთრებით მწვავედ აისახება დაბალშემოსავლიან მოქალაქეებსა და ოჯახებზე. კერძო ბიზნესი ინფლაციის მატებას არანაკლებ ნეგატიურდ აღიქვამს, რადგან მისი უმართაობა გაურკვევლობას იწვევს და პროგნოზირების შესაძლებლობას ამცირებს. ეს, თავის მხრივ, დაბლა წევს ინვესტიციების დონეს და შესაბამისად, ეკონომიკურ ზრდას. განვითარებადი საქართველოს წინა წლების გამოცდილებიდან გამომდინარე, არაერთხელ დადასტურდა, რომ 6%-ზე მაღალი წლიური ინფლაცია აფერხებს ეკონომიკურ ზრდას. იგივე დასკვნამდე მივიდნენ მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტებიც. საქართველოში კი ეროვნული ბანკის მონაცემებით 2008 წლის საშუალო წლიურმა დონემ 9,4 პროცენტი შეადგინა. ქვეყანაში დღევანდელ სამომხმარებლო ბაზარზე შექმნილი ვითარების ანალიზი გვიჩვენებს, რომ არსებული ინფლაცია გამოწვეულია არა საქონლის რამოდენიმე კონკრეტულ სახეობაზე ფასის ზრდით, არამედ ზოგადად მოთხოვნის ზრდით. სახვაგვარად რომ ვთქვათ, კერძო ბიზნესის, მოსახლეობის და განსაკუთრებით მთავრობის მხრიდან გაიზარდა მოთხოვნა საქონელსა და მომსახურებაზე, რამაც ფასების ზრდაც გამოიწვია. რა იწვევს საქონელსა და მომსახურებაზე ზემოთხოვნის ზრდას? ჩვენი აზრით 2007-2008 წლებში დაფიქსირებული მაღალი ინფლაცია ძირითადად გამოწვეული იყო ფულის მიწოდების სწრაფი ზრდით. გარკვეული ზეგავლენა მოახდინა

ავვისტოს მოვლენებმა, მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა და სამთავრობო ხარჯებმა. განსაკუთრებით ყურადსაღებია საბანკო კრედიტების ზრდა, რაც ფულის მიწოდების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. მიუხედავად მსოფლიო ფინანსური კრიზისისა და ავვისტოს მოვლენებისა, კომერციული ბანკების მიერ გაცემული კრედიტების მოცულობა 2009 წლის 1 თებერვლისთვის გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით 25%-ია. (იხ. www.banksandfinance.ge) მეორეს მხრივ, საქართველოში არაპროგნოზირებადი პოლიტიკური ვითარება და მომავლის ნეგატიური მოლოდინი აისახება მომხმარებლებისა და ინვესტორების სიფრთხილეში, რაც ქვეყნის ეკონომიკის ზრდაზე უარყოფითად იმოქმედებს. გაზრდილი სახელმწიფო ხარჯები აისახება ბიუჯეტის დეფიციტებში (ბოლო წლებში 2-3 %) და ხელს შეუწყობს მაღალ ინფლაციას. უცხოური პირდაპირი ინვესტიციების შემოდინების მკვეთრი ცვლილება შესაბამისად აისახება ქვეყნის მაკროეკონომიკური გარემოს ანალოგიურად მკვეთრ ცვლილებაში. 2003 წლიდან გაზრდილმა უცხოურმა ინვესტიციებმა და ამით ლარის გამყარების ტენდენციამ, საშუალება მისცა საქართველოს ეროვნულ ბანკს, ლარის კურსის გამყარებით, რეზერვების ოდენობა 1 მრდ. დოლარამდე გაეზარდა. კონვერტირებადი ვალუტის ოდენობის გაზრდამ და შესაბამისად საპროცენტო განაკვეთის შემცირებამ ხელი შეუწყო სამომხმარებლო კრედიტისა და უძრავი ქონების ბუმს, რამაც გაზრდილი ინვესტიციების მოკლევადიანი დადებითი ეფექტი გააძლიერა და დასაქმების და წარმოების ზრდაში აისახა. ამგვარი გარემოება არავითარ შემთხვევაში არ ადასტურებს ქვეყნის ჯანსაღ განვითარებას. ეს ხაზს უსვამს, რომ ბოლო წლების ზრდა, ერთჯერადი უცხოური ინვესტიციების დროებითი და მოკლევადიანი ეფექტია. ყოველივე ეს კი ეკონომიკის ზრდის გამომწვევი ფუნდამენტალური ფაქტორების ნაკლებობას ნიშნავს და არ შეიძლება შეფასდეს ტრანსფორმაციის წარმატებულ პროცესად. უცხოური ინვესტიციების დღევანდელი სავარაუდო შემცირება შესაბამისად აისახება საწინააღმდეგო მიმართულების ეფექტებში, ანუ ეკონომიკის ზრდის ტემპის შემცირებაში, უმუშევრობის დონის და საპროცენტო განაკვეთების ზრდაში. თეორიული ანალიზიც და ბოლო წლების გამოცდილებაც გვიჩვენებს, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის მიზნები, კერძოდ კი ლარის კურსის სტაბილურობა და დაბალი, კონტროლირებადი ინფლაცია.¹ ერთმანეთთან კონფლიქტშია. მყარი კურსის პირობებში ჭარბი ვალუტის შემოდინება (ჭარბი უცხოური ინვესტიციების შემოდინების გამო) აისახება ლარის ოდენობის გაზრდაში და შესაბამისად მაღალ ინფლაციაში. ძლიერი ფუნქციონალური დამოკიდებულება ფართო ფულის ზრდასა და ინფლაციას შორის დადასტურდა ინტერნაციონალური სავალუტო ფონდის მიერ გამოქვეყნებულ ნაშრომში: Dabla-Norris E, Daehaeng K., Billmeier A.,

¹ საქართველოს კანონი “ეროვნული ბანკის შესახებ”, მუხლი 2.

“Modalities of moving to inflation Targeting in Armenia and Georgia. IMF-Working Paper, Washington D.C. (2008).

უმუშევრობა საზოგადოების ცხოვრების დონის ერთ-ერთი უმთავრესი მახასიათებელია. არასრული დასაქმება და უმუშევრობა 21-ე საუკუნეში საერთაშორისო ეკონომიკური სისტემის სერიოზული პრობლემაა. თითქმის ყველა ქვეყანაში ტექნიკური და ტექნოლოგიური პროგრესი ამა თუ იმ ხარისხით ახდენს გავლენას დასაქმების პროცესზე. განვითარებული მრეწველობის მქონე ქვეყნებში უმუშევრობა არათუ შემცირდა, არამედ მნიშვნელოვნად გაიზარდა და დღეისთვის იგი საშუალოდ 5-8%-ს შეადგენს. ზემოთ მოყვანილი ტენდენციები სრული მოცულობით ახასიათებს საქართველოსაც და უმუშევრობის მაღალი დონე კვლავ გადაუწყვეტელ პრობლემად რჩება. ეს პროცესი კიდევ უფრო გაამწვავა 2007-2008 წლებში სახელმწიფო მართვასა და საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებულთა მნიშვნელოვანმა შემცირებამ. ამავე დროს მთავრობის მოლოდინის საწინააღმდეგოდ (დასაქმების სამთავრობო პროგრამა) არასახელმწიფო სექტორში არ შეიქმნა შესაბამისი სამუშაო ადგილები, პირიქით - აქაც ადგილების რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა. მომუშავეთა საერთო რაოდენობაში კვლავ ჭარბობს თვითდასაქმებულთა წილი და იგი 65,7%-ს უტოლდება. კვლავაც თვითდასაქმებულების უმრავლესობა აგრარულ სექტორზე მოდის. თვითდასაქმებული ორგანიზაციები, მათი ფორმირების პერიოდში თავად წარმოადგენენ შრომის ბაზრის და საერთოდ საბაზრო ურთიერთობების „პროდუქტს“. მოთხოვნისა და მიწოდების ასეთი თვითრეგულირება წარმოებს როგორც საკუთარი სამუშაო ადგილების შექმნის საფუძველზე - მომავალი მეწარმეებისთვის, ასევე მოსახლეობის სხვადასხვა ფენების დასაქმების ხარჯზე.

დღევანდელი დეფიციტების დაფინანსებისას უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტად, რჩება განვითარებული ქვეყნების ფინანსური დახმარებები და კრედიტი, რაც რა თქმა უნდა კონფლიქტშია ქვეყნის დავალიანების შემცირების მიზანთან. 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად საგრძნობლად გამწვავდა ქვეყნის არაჯანსაღი განვითარების საშიშროებები. ალბათ გარდაუვალი იქნებოდა ქვეყანაში ანარქიის ჩამოყალიბება, მსოფლიოს ჩარევის, ფინანსური დახმარებებისა და კრედიტის მიღების გარეშე.

ამრიგად, არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემდეგი: აუცილებელია სოციალური პოლიტიკის განმსაზღვრელი გახდეს მოსახლეობის ცხოვრების დონის მაჩვენებლები, რისთვისაც უნდა ჩამოყალიბდეს ცხოვრების დონის მაჩვენებლების სისტემა და მისი სამართლებრივ-ნორმატიული ბაზა; სოციალური პარამეტრების ათვლის წერტილად ნორმატიულად უნდა განისაზღვროს სამომხმარებლო კალათა და კონტროლი დაწესდეს მისი

პარამეტრების დაცვაზე; ძალზე მნიშვნელოვანია შემდეგი სოციალური ჯაჭვის თანმიმდევრობით რეალიზაცია: საარსებო მინიმუმი-სამომხმარებლო კალათა-პენსიები-მინიმალური ხელფასი და მისი სამართლებრივი უზრუნველყოფა; მოსახლეობის შემოსავლების ინდექსაციის სფეროში გაითვალისწინონ მსოფლიოს განვითარებადი ქვეყნების გამოცდილება; საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ სისტემაში მისი ადაპტირება. სახელმწიფო ბიუჯეტში სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლები დაიგეგმოს სხვებთან ერთად თანასწორუფლებიანად: სოციალური პოლიტიკიდან გამომდინარე და არა “ნარჩენების” პრინციპით. შემუშავდეს ცხოვრების დონის ეროვნული კონცეფცია, რაც საფუძვლად დაედება საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ პოლიტიკას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. [http:// www.cato.ru](http://www.cato.ru) - pdf. Indur Goklany. “The Globalization of Human Well-Being.”
2. [www. or- consult.de](http://www.or-consult.de) - ა. ჩხვიშვილი “უკანასკნელი უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მონეტარული და რეალური ეფექტები საქართველოში”
3. <http://banksandfinance.ge>
4. <http://investinggeorgia.org>
5. <http://statistics.ge>

ბადრი გეჩბაია
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ბათუმის
შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ირმა ჩხაიძე
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ბათუმის
შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფირმის ინოვაციური საქმიანობის ანალიზი ინტელექტუალური კაპიტალის მაჩვენებლების საფუძველზე

სტატიაში აღნიშნულია, რომ თანამედროვე ეკონომიკის ძირითადი თვისება მისი ინოვაციური ხასიათია. კომპანიის ინოვაციური დონე ბევრად განსაზღვრავს მის კონკურენტუნარიანობას და უშუალო გავლენას ახდენს მისი საქმიანობის ეფექტიანობაზე. ამავე დროს, ინოვაციური საქმიანობის მართვა შეუძლებელია მისი რაოდენობის შეფასების გარეშე. ჩვენი აზრით, ასეთი შეფასების ყველაზე ეფექტური ინსტრუმენტი ინტელექტუალური კაპიტალია. როგორც ინტელექტუალური კაპიტალის ერთ-ერთი წამყვანი სპეციალისტი ე. ბრუკინგი მიუთითებს, “კომპანიის ნოვატორულ ხასიათსა და საკუთარი ინტელექტუალური კაპიტალის გამრავლების უნარს შორის პირდაპირი თანამიმართება არსებობს”.

Бадри Гечбаия – доктор экономики
Ирма Чхаидзе - доктор экономики

Государственный университет Шота Руставели, г. Батуми

АНАЛИЗ ИНОВАЦИОННОЙ ДЕЯТЕЛЬНОСТИ ФИРМЫ НА ОСНОВЕ ПОКАЗАТЕЛЕЙ ИНТЕЛЕКТУАЛЬНОГО КАПИТАЛА

Существенной характеристикой современной экономики является ее инновационный характер. Инновационный уровень компании во многом определяет степень их конкурентоспособности и оказывает непосредственное влияние на эффективность их деятельности. В тоже время, текущее управление инновационной деятельностью невозможно без ее количественных оценок. На наш взгляд, наиболее

близким инструментом такой оценки является интеллектуальный капитал, ведь как правильно заметила один из ведущих специалистов в области интеллектуального капитала Э. Брукинг «существует прямое соотношение между новаторским характером компании и ее способностью к приумножению своего интеллектуального капитала.²

В соответствии с общепризнанным определением Т. Стюарта³ интеллектуальный капитал представляет собой сумму знания всех работников компании, обеспечивающую ее конкурентоспособность. В количественном выражении интеллектуальный капитал определяется как разность между рыночной и балансовой стоимостью компании.

На наш взгляд, данное количественное определение является трудно применимым, для оценки инновационной деятельности оказывают непосредственное влияние на величину рыночной и балансовой стоимости компании и, следовательно, на величину интеллектуального капитала. Но в тоже время, на данный показатель воздействует целый ряд других факторов, которые также отражаются на его величине. Таким образом, интегральный характер стоимостного показателя интеллектуального капитала, предложенный Т. Стюартом, не позволяет в полной мере оценить инновационную деятельность компании.

Анализ инновационной деятельности грузинских фирм показывает, что основными видами инновации для них являются:

- приобретение современного оборудования;
- приобретение новых технологий;
- разработка продуктов и технологии.

Исходя из этого, можно сделать вывод о том, что в настоящее время инновационная деятельность грузинских предприятий связана с повышением инновационного уровня технологий и продукции. Следовательно, показатели интеллектуального капитала должны оценивать инновационную деятельность по выделенным направлениям.

Нетрудно увидеть, что инновационная деятельность в отношении продукта и технологий оказывает непосредственное влияние на состояние материальных активов компании. В соответствии с этим, предлагаем рассмотреть интеллектуальный капитал в его взаимосвязи с материальными активами компании. Такой подход позволит разработать необходимые количественные оценки интеллектуального капитала, которые могут быть применены для анализа инновационной деятельности предприятия.

Интеллектуальный капитал, созданный фирмами на основе имеющихся у них материальных активов, может быть определен следующим образом:

² Брукинг Э. Интеллектуальный капитал. 2001 – ст. 226.

³ Стюарт Томас А. Интеллектуальный капитал . Новый источник богатства организаций. М.,2007.

Интеллектуальный капитал фирмы – это дополнительная стоимость, возникающая при формировании структуры материальных активов экономической системы, образованных для достижения целей системы на основе реализованного выбора элементов и схем организации этих активов.

Таким образом, интеллектуальному капиталу, воплощенному в стоимости активов компании, присущи следующие характеристики:

1. Его наличие создает превышение рыночной стоимости актива над его балансовой стоимостью.
2. Оно образуется в результате реализованного выбора.
3. Он носит целевой характер.

Выделенные характеристики интеллектуального капитала требуют несколько иного подхода к его классификации. Так как в данном исследовании мы рассматриваем взаимосвязь между стоимостью интеллектуального капитала и стоимостью активов компании, то достаточно естественным предложением является разделение интеллектуального капитала на два вида (по аналогии с классификацией активов компании на основные и текущие в зависимости от формы участия в процессе производства):

- основной интеллектуальный капитал – это долгосрочный вид интеллектуального капитала, характеризующийся превышением рыночной стоимости основного капитала компании над его балансовой стоимостью;
- текущий интеллектуальный капитал – это краткосрочный вид интеллектуального капитала, характеризующийся превышением рыночной стоимости выпускаемого компанией продукта над его балансовой стоимостью (себестоимостью).

Введенные стоимостные характеристики основного и текущего интеллектуального капитала могут быть использованы при анализе инновационной деятельности предприятий. Так как инновационный уровень продукции может быть оценен на основе анализа состояния текущего интеллектуального капитала, а инновационный уровень технологий – на основе состояния основного интеллектуального капитала.

Стоимость основного интеллектуального капитала представляет собой разность между рыночной и балансовой стоимостью интеллектуальных основных средств. Для оценки инновационного уровня технологий отдельной компании необходимо сравнить стоимость ее основного интеллектуального капитала других компании или со среднеотраслевой стоимостью основного интеллектуального капитала. Возможны следующие варианты:

- стоимость основного интеллектуального капитала совпадает со среднеотраслевыми показателями;
- стоимость основного интеллектуального капитала ниже среднеотраслевых показателей;
- стоимость основного интеллектуального капитала выше среднеотраслевых показателей;

В случае, когда стоимость основного интеллектуального капитала выше среднеотраслевых показателей, можно сделать вывод о высоком инновационном уровне технологий. В других случаях,

инновационный уровень технологий либо имеет среднеотраслевой уровень, либо ниже его, что свидетельствует о необходимости активизации инновационной деятельности в отношении используемых технологий.⁴

Стоимость текущего интеллектуального капитала представляет собой разность между рыночной стоимостью реализованной продукции и ее себестоимостью. В результате сравнения стоимости текущего интеллектуального капитала и фактического уровня прибыли конкретной компании со среднеотраслевыми значениями данных показателей могут возникнуть следующие ситуации:

- высокая стоимость текущего интеллектуального капитала и высокий уровень рентабельности. В данном случае компания обладает преимуществами в отношении цены и себестоимости, что характеризует высокий инновационный уровень выпускаемой компанией продукции.

- высокая стоимость текущего интеллектуального капитала низкий уровень рентабельности, но при этом у нее отсутствует ценовое преимущество. Необходимо проводить дополнительный анализ тех факторов, которые способствуют возникновению данной ситуации.

- низкая стоимость текущего интеллектуального капитала и высокий уровень рентабельности наблюдается тогда, когда компания не обладает преимуществами в издержках, но при этом имеет возможность влиять на цену.

- низкая стоимость текущего интеллектуального капитала и низкий уровень рентабельности: высокая себестоимость выпускаемой продукции не позволяет снижать цены, ценовое преимущество отсутствует. Продукт не является инновационным. Такой компании может грозить финансовый кризис. Инновационный уровень продукции низкий.

Таким образом, одной из основных характеристик инновационной деятельности является характеристика инновационного уровня продукции и технологий компании, которые могут быть оценены на основе анализа показателей стоимости текущего и основного интеллектуального капитала. Состояние данных видов интеллектуального капитала показывает необходимость внедрения продуктовых и технологических инноваций в организации, и, следовательно может рассматриваться как фактор активизации инновационной деятельности современных предприятий.

⁴ Гечбая Б. Роль человеческого капитала в экономическом росте. Журнал «Региональная экономика», №1. ст. 42-43.

მოტივაციის თანამედროვე თეორიების გამოყენების ზოგადი ასპექტები


მოტივაცია საქმიანობისაკენ საკუთარი თავისა და სხვა პირების სტიმულირების პროცესია პირადი ან ორგანიზაციის მიზნების მისაღწევად. მოტივაციაზეა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებული საწარმოების ეფექტიანად მუშაობა. შეიძლება ფირმას ჰქონდეს ოპტიმალური სტრუქტურა, მაგრამ არ იყოს ეფექტიანი იმის გამო, რომ ხელმძღვანელობას არ შეუძლია მუშაკთა შრომის წარმართვა დასახული მიზნისაკენ.

მოტივაცია არის რაიმეს გაკეთების მიზეზი. მოტივაცია ეხება იმ ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენდნენ ადამიანის გარკვეულ ქცევებზე. მოტივაციის კომპონენტებია:

- _ მიმართულება _ რის გაკეთებას ცდილობს ადამიანი;
- _ ძალისხმევა _ რამდენად ცდილობს ადამიანი;
- _ მდგრადობა _ რამდენ ხანს ცდილობს ადამიანი.

კარგად მოტივირებული ადამიანი არის ნათლად გამოკვეთილი მიზნებით, რომელიც იწყებს მოქმედებას და დარწმუნებულია, რომ ამ მიზნებს მიაღწევს. ორგანიზაციამ უნდა უზრუნველყოს ის პირობები (ატმოსფერო), რომლითაც შესაძლებელი იქნება მოტივაციის მაღალი დონის მიღწევა სტიმულის, სწავლის შესაძლებლობებისა და კვალიფიკაციის ამალღების გზით.

მოტივაციის პროცესი გამოისახება ისე, როგორც ეს დიაგრამა 1-ზეა მოცემული. ესაა



ნახ. 1 – მოტივაციის პროცესი

მოთხოვნილებასთან დაკავშირებული მოდელი და ის გადმოგვცემს, რომ მოტივაცია იწყება დაუკმაყოფილებელი მოთხოვნილებების შეგნებული თუ ქვეცნობიერი აღიარებით. ეს მოთხოვნილებები აღძრავს სურვილს მიაღწიოს ან მიიღოს რამე. შემდეგ ჩამოყალიბდება მიზნები, რომლებიც უეჭველად დააკმაყოფილებს ამ მოთხოვნილებებსა და სურვილებს და ქცევის ის გზები,

რომლებიც მიგვიყვანს მიზნამდე. თუ მიზანი მიღწეულია, მოთხოვნილება დაკმაყოფილებული იქნება და შემდეგ ეს ქცევა განმეორდება მაშინაც, როდესაც მსგავსი მოთხოვნილებები გაჩნდება. თუ მიზანი არაა მიღწეული, მაშინ ასეთი ქცევა ნაკლებ სარწმუნოა, რომ განმეორდეს.

ადამიანის ორგანიზმი, როგორც ყველა სხვა ცოცხალი ორგანიზმი, მუდმივად წონასწორობის მდგომარეობაშია. იგი გამოყოფს ენერგიას, რომ ცოცხალი გადარჩეს და ახდენს ასევე ამ ენერგიის აღდგენას. არსებობს ავტომატური საშუალებები ორგანიზმის ტემპერატურის შესანარჩუნებლად. ამას ეწოდება ჰომეოსტატიკის პრინციპი და საფუძვლად უდევს ყველა ქცევასა და მოტივაციას. დაუკმაყოფილებელი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება გააქტიურებულია წონასწორობისაკენ მუდმივი მოძრაობით.

ადამიანებზე გამიზნული ზემოქმედების აუცილებლობა ცნობილი იყო გაცილებით ადრე, ვიდრე სიტყვა «მოტივაცია» გაჩნდებოდა მენეჯმენტის ლექსიკონში. ადამიანებზე გავლენის მოსახდენად ყველაზე პირველად გამოიყენეს მათრახისა და თაფლაკვერის პოლიტიკა. მეფეები ადამიანებზე ან მახვილს აღმართავდნენ, ან ჯილდოს გადასცემდნენ მათ. ასეთი მიდგომა ჩვეულებრივი მოვლენა იყო XIX საუკუნის ბოლოსაც კი.

მართვაში ფსიქოლოგიური მოტივების აცილებლობის აღიარება დაკავშირებულია ელტონ მეიოს სახელთან. იგი იყო ერთ-ერთი იმ მცირერიცხოვანი აკადემიური განათლების მქონე ადამიანებიდან, რომელიც ფლობდა როგორც მეცნიერული მართვის თეორიას, ისე ფსიქოლოგიას. ე. მეიო ცნობილი გახდა 1923-1924 წლებში ფლადელფიაში, ტექსტილურ ფაბრიკაში ჩატარებული ექსპერიმენტით. ფაბრიკის სართავ უბანზე საწარმოს ხელმძღვანელობამ ვერ შეძლო კადრების დენადობის შეჩერება. მატერიალური სტიმულირების გამოყენებით და დახმარებისათვის მიმართეს მეიოს და მის მეგობრებს. მათ სიტუაციის შესწავლით და შრომის პირობების შეცვლით შეძლეს პრობლემის მოგვარება. ე. მეიომ დაადგინა მგრეხავებისათვის ექსპერიმენტის სახით ორი ათწუთიანი შესვენება, რის შედეგად მკვეთრად შემცირდა სამუშაო ძალის დენადობა და გაიზარდა შრომის მწარმოებლურობა. როცა ინსპექტორმა შესვენებები გააუქმა, მდგომარეობა ისევ ადრინდელი გახდა. დამტკიცდა, რომ ე. მეიოს ექსპერიმენტმა საგრეხ უბანზე გააუმჯობესა მდგომარეობა. ამ ექსპერიმენტმა გააღრმავა რწმენა, რომ ხელმძღვანელისათვის აუცილებელია მუშაკთა ფსიქოლოგიაში გარკვევა.

მუშაკთა სამუშაო ადგილზე ქცევის პირველ ფუნდამენტურ გამოკვლევას წარმოადგენდა ე. მეიოსა და მისი მიმდევრების ქ. ხოტორნში ჩატარებული ექსპერიმენტი, რომელიც დამთავრდა იმის გაცნობიერებით, რომ ადამიანისეული ფაქტორები, განსაკუთრებით კი სოციალური

ურთიერთქმედება და ჯგუფური ქცევები მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს ინდივიდუალურ შრომის მწარმოებლურობაზე. ამ ექსპერიმენტის შედეგად ჩამოყალიბებულმა დასკვნებმა საფუძველი ჩაუყარა მენეჯმენტის ახალ მიმართულებას – «ადამიანურ ურთიერთობათა კონცეფციას». ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ხოტორნის ექსპერიმენტმა არ გამოავლინა მოტივაციის მოდელი, რომელიც ახსნიდა შრომისკენ წამბიძგებლურ მოტივებს. შრომის მოტივაციის ფსიქოლოგიური თვისებები წარმოიშვა გაცილებით უფრო გვიან, XX საუკუნის 40-იან წლებში და მათი განვითარება დღევანდელ დროშიც გრძელდება.

მოტივაციის თანამედროვე თეორიები შეიძლება დაიყოს ორ კატეგორიად: მოტივაციის შინაარსობრივი თეორიები და მოტივაციის პროცესუალური თეორიები. მოტივაციის შინაარსობრივი თეორიები ეფუძნება იმ შინაგან მოთხოვნილებებს, რომლებიც აიძულებენ ადამიანებს იმოქმედონ ასე და არა სხვაგვარად; რაც შეეხება მოტივაციის პროცესუალურ თეორიებს, მათი საფუძველია ადამიანთა ქცევა, მოვლენების აღქმისა და შემეცნებისაგან დამოკიდებულებით.

მოტივაციის შინაარსობრივი თეორიების ფუძემდებლები არიან ა. მასლოუ და დ. მაკკლელანდი. ა. მასლოუს შრომებიდან ცნობილი გახდა, რომ ადამიანთა მოთხოვნილებები იყო რთული და გავლენას ახდენდა მოტივაციაზე. მან მოთხოვნილებები დაჰყო ხუთ კატეგორიად: ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები – საკვების, წყლის, დასვენების, საცხოვრებლის მოთხოვნილებები; მომავლის რწმენის და უსაფრთხოების მოთხოვნილებები – რომელთაც უნდა დაიცვან ადამიანი ფიზიკური და ფსიქოლოგიური საშიშროებისაგან და მისცენ მას მომავალში ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების რწმენა;

სოციალური მოთხოვნილებები – მაშის იგულისხმება რისიმე ან ვისიმე კუთვნილების გრძნობა, ერთგულება და მხარდაჭერა;

პატივისცემის მოთხოვნილება – მოიცავს როგორც საკუთარი თავის, ისე გარშემომყოფთა პატივისცემის მოთხოვნილებებს;

თვითგამოხატვის მოთხოვნილებები – რომელშიც გულისხმობს მუშაკის საკუთარი პოტენციური შესაძლებლობების რეალიზაციას.

ა. მასლოუს მოთხოვნილებათა იერარქიით უნდოდა ეჩვენებინა, რომ ადამიანი ცდილობს, პირველ რიგში, დაიკმაყოფილოს უფრო დაბალი დონის მოთხოვნილებები.

ა. მასლოუს თეორიას ძირითადად აკრიტიკებენ იმის გამო, რომ მან ვერ შეძლო გაეთვალისწინებინა ადამიანთა მოთხოვნილებებში ინდივიდუალური გასხვავებანი, რომელთა გამოც ერთი ადამიანი შეიძლება უფრო მეტად დაინტერესდეს თვითგამოხატვით, მეორე – აღიარებით,

მესამე კი – სოციალური მოთხოვნილებებით. კარგმა ხელმძღვანელმა უნდა შეძლოს ხელქვეითთა სწორი მოტივაცია, მათი ინდივიდუალური მოთხოვნილებების გაცნობიერების გზით.

მოტივაციის მეორე თეორია ეკუთვნის დ. მაკკლელანდს, რომლის მიხედვით ადამიანებს ახასიათებს სამი სახის მოთხოვნილება, კერძოდ, ძალაუფლების, წარმატებისა და თანამონაწილეობის მოთხოვნილებები. ამ თეორიის შესაბამისად ძალაუფლების მოთხოვნილება გამოიხატება სხვა ადამიანებზე ზემოქმედების მოხდენის სურვილში. ა. მასლოუს მოთხოვნილებათა იერარქიული სტრუქტურის ჩარჩოებში ძალაუფლების მოთხოვნილება თავსდება პატივისცემისა და თვითგამოხატვის მოთხოვნილებებს შორის.

ადამიანები წარმატების მოთხოვნილებებით რისკავენ ზომიერად, უყვართ სიტუაციები, რომლებშიც შეუძლიათ თავისთავზე აიღონ პრობლემის გადაჭრის პასუხისმგებლობა და სურთ მათ მიერ მიღწეული შედეგების სათანადო წახალისება.

თანამონაწილეობის მოთხოვნილების მიხედვით ადამიანი აცნობიერებს, რომ ის არ არის ჩაკეტილი ერთეული და იგი უნდა ჩაერთოს ადამიანური გარემოს პროცესებში.

მოტივაციის პროცესუალური თეორიის მიხედვით ადამიანთა ქცევა არ განისაზღვრება მხოლოდ მოთხოვნილებებით. ადამიანის ქცევას განსაზღვრავს აგრეთვე აღქმა, მოლოდინი, შერჩეული ქცევის შესაძლო შედეგები. განასხვავებენ სამ ძირითად პროცესუალურ თეორიას, კერძოდ, მოლოდინის თეორიას, სამართლიანობის თეორიას და პორტერ-ლოულერის მოდელს.

მოლოდინის თეორიის მიხედვით ადამიანს უნდა ჰქონდეს იმედი, რომ მის მიერ არჩეული ქცევის ტიპი მართლაც მიიყვანს მას სურვილის დაკმაყოფილებისაკენ. თუ მუშაკი იგრძნობს, რომ არ არსებობს პირდაპირი კავშირი დახარჯულ სამუშაო ძალასა და მიღებულ შედეგს შორის, მოლოდინის თეორიის მიხედვით მოტივაცია არაეფექტიანი იქნება.

სამართლიანობის თეორიის თანახმად ადამიანები სუბიექტურად განსაზღვრავენ მიღებული გასამრჯელოს დამოკიდებულებას დახარჯულ სამუშაო ძალასთან და შემდეგ უდარებენ ანალოგიურ სიტუაციაში მომუშავე ადამიანების მიერ მიღებულ გასამრჯელოს. თუ შედარება გამოავლენს უსამართლობას და დისბალანსს, ადამიანი იძაბება ფსიქოლოგიურად – იქმნება ფრუსტრაციული გარემო. აუცილებელია ამ თანამშრომლის მოტივაცია, დამაბულობის მოხსნა, სამართლიანობის აღსადგენად დისბალანსის გასწორება. ამის გარეშე მოსალოდნელია მუშაკთა ნაკლები ინტენსიურობით მუშაობა და შრომის მწარმოებლურობის დაცემა.

სამართლიანობის თეორიის ძირითადი დასკვნა მართვის პრაქტიკისათვის მდგომარეობს შემდეგში: ვიდრე ადამიანები არ ჩათვლიან, რომ ისინი დახარჯული შრომისათვის მიიღებენ

გასამრჯელოს სამართლიან ოდენობას, შეეცდებიან შეამცირონ შრომის მწარმოებლურობა. აღქმა და სამართლიანობა ჩვეულებრივ ატარებს შეფარდებით და არა აბსოლუტურ ხასიათს. ამიტომ, საჭიროა რომ ადამიანებს აუხსნან, თუ რამ განაპირობა მათი გასამრჯელოს დაბალი დონე სხვებთან შედარებით.

პორტერმა და ლოულერმა დაამუშავეს მოტივაციის კომპლექსური პროცესუალური თეორია, რომელიც მოიცავს მოლოდინის და სამართლიანობის თეორიების ელემენტებს. მათ მოდელში ფიგურირებს ხუთი ელემენტი: დახარჯული სამუშაო ძალა, აღქმა, მიღებული შედეგები, გასამრჯელო, დაკმაყოფილების ხარისხი. ამ მოდელის თანხამად მიღწეული შედეგები დამოკიდებულია მუშაკთა მიერ დახარჯულ სამუშაო ძალაზე, მათ უნარსა და დამახასიათებელ თავისებურებებზე, აგრეთვე თავიანთი როლის შეცნობაზე.

მოტივაციის თეორიების განვითარება ატარებს ევოლუციურ და არ რევოლუციურ ხასიათს. ამიტომ, მთელ რიგ საკითხებში განსხვავების მიუხედავად, ისინი არ გამორიცხავენ ერთიმეორეს. მოტივაციის თეორიების გამოყენება ემყარება ადამიანთა მოთხოვნილებებს და მიღებულ გასამრჯელოს.

პირველადი მოთხოვნილებები ადამიანებში ჩადებულია გენეტიკურად, მეორადი კი შეიცნობა გამოცდილებით. მოთხოვნილების არსებობაზე მსჯელობენ მხოლოდ ადამიანთა ქცევის მიხედვით. როცა ადამიანი გააცნობიერებს მოთხოვნილებას, მას უჩნდება მისი დაკმაყოფილების სურვილი, რომელსაც აქვს განსაზღვრული მიმართულება. სურვილი მოთხოვნილების ქცევითი გამოვლენაა და კონცენტრირდება მიზნის მიღწევაზე. მაშასადამე, მიზანი გამოდის მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალების როლში. მიზნის მისაღწევად მოთხოვნილება კმაყოფილდება მთლიანად ან ნაწილობრივ, ან რჩება დაუკმაყოფილებელი. დასახული მიზნის დაკმაყოფილების დონე გავლენას ახდენს ადამიანის ქცევაზე მსგავს სიტუაციაში მოხვედრისას. საერთოდ, ადამიანები ცდილობენ მოიქცნენ ისე, რომ დაკმაყოფილდეს მათი მოთხოვნილებები. მაშასადამე, ადამიანები ცდილობენ პრობლემების გადაჭრას უკვე გამოცდილი ხერხებითა და გზებით.

ადამიანთა მოტივაციაში დიდი როლი ეკისრება გასამრჯელოს. ამ ცნებას მოტივაციისაგან დამოკიდებულებით უფრო მეტი დატვირთვა აქვს, ვიდრე ფული ან სიამოვნებაა, რომლებთანაც ხშირად ხდება მათი ასოცირება.

გასამრჯელო არის ის, რაც ადამიანს მიაჩნია ფასეულად, ღირებულად. ხშირად ის, რაც ერთი ადამიანისათვის ფასეულია, მეორესათვის არ წარმოადგენს საერთოდ არაფერს. ადამიანთა ასეთი დამოკიდებულება ართულებს მათი მეშვეობით მოტივაციის პროცესის პრაქტიკულ რეალიზაციას.

ნებისმიერ ორგანიზაციაში გამოიყენება გასამრჯელოს ორი ტიპი, შინაგანი და გარეგანი გასამრჯელო. შინაგან გასამრჯელოს იძლევა სამუშაო, ასეთია მაგალითად, თავისთავის პატივისცემის გრძნობა, რასაც წარმოშობს შესრულებული სამუშაოს შინაარსი და მნიშვნელობა. შინაგან გასამრჯელოს მიეკუთვნება ასევე მუშაობის პროცესში ჩამოყალიბებული მეგობრული ურთიერთობები. გარეგანი გასამრჯელოა ყოველივე ის, რომელსაც წარმოიდგენს ადამიანი, როცა ესმის სიტყვა «გასამრჯელო». მასში შედის ხელფასი, სამსახურში დაწინაურება, ქება, აღიარება, დამატებითი ანაზღაურება და სხვა. მოტივაციის პროცესში შინაგანი და გარეგანი გასამრჯელოს თანაფარდობა დამოკიდებულია მუშაკთა მოთხოვნილებებზე, რომელნიც უნდა დაადგინოს ადმინისტრაციამ შინაარსობრივი თეორიების გამოყენებით.

ლიტერატურა:

1. ვ. გურაბანიძე, ნ. ქიქოძე, შრომითი რესურსების მენეჯმენტი. ქუთაისი 2006 წ.
2. გ. შუბლაძე, ბ. მღებრიშვილი, ფ. წოწკოლაური, მენეჯმენტის საფუძვლები. თბ: 2008 წ.
3. ნ. პაიჭაძე, პერსონალის მართვა. თბ: 2003 წ.
4. ე. ბარათაშვილი, ლ. თაკალნაძე ა. აბრალავა, მენეჯმენტი და ადმინისტრირება. თბ: 2007 წ.
5. თ. ხომერიკი, მენეჯმენტის საფუძვლები. თბ: 2007 წ.
6. ვ. ტერეშჩენკო, ეკონომისტის საუბრები (30 წელი ამერიკაში). თბ: 1994 წ.
7. თ. ღამბაშიძე, ნ. ფარესაშვილი, პრაქტიკული მენეჯმენტი. თბ: 2008 წ.

თავისუფალი ეკონომიკური ზონები: მსოფლიო გამოცდილება და საქართველო

საბაჟო პროცედურების გამარტივების და ჰარმონიზაციის შესახებ 1973 წლის 18 მაისს მიღებული კიოტოს საერთაშორისო კონვენციის მიხედვით თავისუფალი ზონა (ზონა-ფრანკო) ესაა ქვეყნის ტერიტორიის ნაწილი, რომელშიც საქონელი განიხილება, როგორც ეროვნული საბაჟო ტერიტორიის ფარგლებს გარეთ მყოფი ობიექტი და ამიტომ არ ექვემდებარება ჩვეულებრივ საბაჟო კონტროლს და დაბეგვრას.

თავისუფალი ეკონომიკური ზონა არის გამოცალკავებული ტერიტორიულ-გეოგრაფიული ანკლავი, ქვეყნის დანარჩენი ეკონომიკური სივრციდან განკერძოების ამა თუ იმ ხარისხით. სამეცნიერო პუბლიკაციებში და სხვა წყაროებში სხვადასხვა სახის ზონების დახასიათებისას ყველაზე ხშირად იყენებენ ტერმინს "თავისუფალი ეკონომიკური ზონა". როგორც წესი, ასეთ ზონებს თან ახლავს სპეციალურად მისთვის მიღებული საკანონმდებლო აქტები, ადმინისტრაციული წესები და ბერკეტები, რომლებიც სულაც არ ათავისუფლებენ აქ მოქმედ სუბიექტებს სამართლებრივი და სამეურნეო რეჟიმისაგან. ადგილი აქვს გარკვეულ, ხშირად ძალიან მნიშვნელოვან შეღავათებს, რომელთა ძირითადი დანიშნულება აღნიშნულ ზონებში მეწარმეობის სტიმულირებაა.

თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნა მიმართულია საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ლიბერალიზაციისკენ და გააქტიურებისკენ. ამ ზონების ეკონომიკას გააჩნიათ გარეშე მსოფლიოსთან ინტეგრაციის მაღალი ხარისხი, ხოლო საბაჟო, საგადასახადო და საინვესტიციო რეჟიმები ხელშემწყობია როგორც შიდა, ისე საგარეო ინვესტორებისათვის. უმსხვილესი ტრანსნაციონალური კორპორაციები ასეთ ზონებს წარმატებით იყენებენ ზემოგების მისაღებად. ისინი თავისუფალ ეკონომიკურ ზონებს მიიჩნევენ საკუთარი ექსპანსიის უმნიშვნელოვანეს მიმართულებად. ნიშანდობლივია, რომ მოგების ნორმა ევროპულ და ამერიკულ თავისუფალ ეკონომიკურ ზონებში 30-35%-ია, ხოლო აზიურში - 40%. დაბანდებების ამოღების ვადები კი 2-3-ჯერ ნაკლებია ჩვეულებრივზე.

ამჟამად თავისუფალი ეკონომიკური ზონები ფართოდ არის გავრცელებული მთელს მსოფლიოში: როგორც ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში, ისე განვითარებად ქვეყნებში. ასეთი ზონები არსებობენ ჩინეთში და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებშიც. ზოგიერთი მათგანი

განთავსებულია შეზღუდულ ფართობზე (რამდენიმე კვ.კმ), ხოლო ზოგიერთი გადაჭიმულია ათეულობით კილომეტრზე.

მსოფლიოში ამჟამად არსებული თავისუფალი ეკონომიკური ზონები საკმაოდ მრავალფეროვანია. ზოგჯერ ჭირს კიდევ ამა თუ იმ წარმონაქმნის ერთმნიშვნელოვნად კლასიფიცირება, რადგან გააჩნიათ ერთდროულად სხვადასხვა ტიპის ზონისათვის დამახასიათებელი ნიშნები. მაინც შეიძლება გამოვყოთ თავისუფალი ეკონომიკური ზონის რამდენიმე ყველაზე მეტად გავრცელებული სახეობა:

- **თავისუფალი ვაჭრობის ზონები** - ესაა ერთგვარი კომერციული ცენტრები (შეზღუდული ტერიტორია პორტებთან ან აეროპორტებთან), რომელთა დანიშნულება არის საქონელბრუნვის დაჩქარება და საგარეო ვაჭრობის სტიმულირება. საბაჟო რეჟიმის თვალსაზრისით ისინი განიხილებიან სახელმწიფო საზღვრის გარეთ.
- **სპეციალური საბაჟო ზონები** - იგივე თავისუფალი ან უბაჟო საბაჟო ზონები. ამ ზონებში, რომლებიც განლაგებულია მსხვილ საერთაშორისო პორტებში, აეროპორტებში და სატრანსპორტო კვანძებში, უცხოური საქონლის შენახვა და ყიდვა-გაყიდვა გათავისუფლებულია საბაჟო გადასახდელებისაგან.;
- **საექსპორტო-სამრეწველო ზონები ანუ ექსპორტის წახალისების სპეციალური ზონები** - ჩვეულებრივ განლაგებულნი არიან მსხვილ პორტებთან. აქ მოწყობილობები, მაკომპლექტებელი ნაწილები და მასალები შემოიზიდება საბაჟო კონტროლის გარეშე. იმპორტირებული ტვირთი ექვემდებარება სამრეწველო გადამამუშავებას და შემდეგ ასევე საბაჟო ჩარევის გარეშე ექსპორტირდება ისევ საზღვარგარეთ. საბაჟო გადასახდელების დაკისრება ხდება მხოლოდ ქვეყნის შიდა საბაჟო სივრცეში საქონლის შეტანისას. ხშირად წახალისებულია ადგილობრივი ნედლეულის გამოყენება და ზონის ფარგლებში დამზადებული საქონლის შიდა ბაზარზე მიწოდება.
- **თავისუფალი სამეცნიერო-ტექნიკური ზონები** - ასევე უწოდებენ ტექნოპოლისებს ან ტექნოპარკებს. ისინი ორიენტირებულია უახლესი და მაღალი ტექნოლოგიების განვითარებაზე, მეცნიერებატევადი პროდუქციის წარმოებაზე. აქ კონცენტრირებულია მნიშვნელოვანი საკადრო, სამეცნიერო და საინჟინრო პოტენციალი, შექმნილია ხელსაყრელი პირობები და რეჟიმი ახალი ტექნოლოგიების, პროდუქციის და მასალების დასამუშავებლად და დასანერგად. ასეთი ზონის ყველაზე ცნობილი მაგალითია ე.წ. "სილიკონის ველი" აშშ-ში.

- **ღია რაიონები** - ამ ტერიტორიებზე შექმნილია ხელსაყრელი საინვესტიციო რეჟიმი უცხოელი კაპიტალის მოსაზიდად. ასეთმა ზონებმა ფართო გავრცელება ჰპოვეს ჩინეთში, სადაც მათ უკავიათ მთელი ზღვისპირა სარტყელი. ამავე ღია რაიონების შიგნით განთავსებულია თავისუფალი სამეცნიერო-ტექნიკური ზონები და ექსპორტის წახალისების სპეციალური ზონები;
- **ოფშორული ზონები** - ამ, როგორც ასევე უწოდებენ "საგადასახადო ნავთსაყუდებელმა" ან "საგადასახადო ოაზისებმა", განსაკუთრებული გავრცელება ჰპოვეს 1970-იანი წლებიდან. ისინი მიმზიდველნი არიან ხელსაყრელი სავალუტო-საფინანსო რეჟიმით, საბანკო და კომერციული საიდუმლოების მაღალი ხარისხით, სახელმწიფო რეგულირების ლოიალურობით. განსაკუთრებით გავრცელებულია ბრიტანეთის თანამეგობრობის ქვეყნებში. ზოგიერთ მათგანში სამრეწველო, სავაჭრო და საბანკო კომპანიები საერთოდ არ იბეგრებიან ან იბეგრებიან მცირე ერთიანი გადასახადით. შეღავათიანი რეჟიმი ასევე გულისხმობს საბაჟო და სავალუტო ბარიერების მოხსნას, მოგების თავისუფალ გატანას. ოფშორული ზონის ორგანიზატორი ქვეყნის სარგებელი მდგომარეობს დამატებითი უცხოური ინვესტიციების მოზიდვაში და ახალი სამუშაო ადგილების შექმნაში. ოფშორული ბიზნესი კონცენტრირებას ახდენს ძირითადად საბანკო, სადაზღვევო და კონსალტინგის სფეროში. ბიზნესისათვის მნიშვნელოვანი მოტივი ასევე შეიძლება იყოს გადასახადის თავიდან არიდება და ე.წ. "ფულის გათეთრება".

მსოფლიო პრაქტიკაში შეიძლება მოიძებნოს თავისუფალი ეკონომიკური ზონების არაერთი წარმატებული მაგალითი. ჩინეთმა ეკონომიკური გარღვევა განახორციელა ძირითადად ეკონომიკური ზონების ეფექტიანი მუშაობის წყალობით და გონივრული სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის გატარებით. როგორც ჩანს, ასევე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ძლიერ სახელმწიფო ხელისუფლებასაც, რომელმაც შეზღუდა თავისუფალი ეკონომიკური ზონებისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი მავნე გავლენა.

ზემოთაღნიშნულისაგან განსხვავებით, რუსეთში თავისუფალმა ეკონომიკურმა ზონებმა ვერ ითამაშეს დადებითი როლი. იქ, ნაცვლად დეპრესიული რეგიონების ეკონომიკის გაჯანსაღებისა და უცხოური ინვესტიციების მოზიდვისა, თავისუფალი ეკონომიკური ზონები გადაიქცნენ "საგადასახადო შავ ხვრელებად" და რიგი კრიმინალური ელემენტების თავშესაფრებად, რომლებიც დაწესებულ შეღავათებს კარგად იყენებდნენ კუთვნილი გადასახადების თავიდან ასარიდებლად და ფულის გასათეთრებლად. რუსეთის თავისუფალი ეკონომიკური ზონებისათვის დამახასიათებელი

გახდა სხვადასხვა შეღავათების რთული იერარქიული პირამიდა. როგორც წესი, აღნიშნული შეღავათები მიიღწეოდა რეგიონალური ხელისუფლებების ცენტრალურ ხელისუფლებასთან მუდმივ ჭიდილში ფედერალური ბიუჯეტის საზიანოდ.

რაც შეეხება თავისუფალ ეკონომიკურ ზონებს საქართველოში, ჩვენი კანონმდებლობით (კანონი თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ) თავისუფალი ინდუსტრიული ზონა არის საქართველოს ტერიტორიის ნაწილი განსაზღვრული საზღვრებით და კანონით მინიჭებული სპეციალური სტატუსით, სადაც მოქმედებს დამატებითი პირობები და რიგი საგადასახადო შეღავათები. მისი მიზანია ეკონომიკური საქმიანობისათვის მიმზიდველი გარემოს შექმნა, აგრეთვე კაპიტალის და ახალი ტექნოლოგიების შემოსვლის ხელშეწყობა.

თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს მთავრობა. თუმცა მისი შექმნის ინიციატივა შეიძლება მოდიოდეს სხვა იურიდიული ან ფიზიკური პირისაგანაც.

მოქმედი კანონმდებლობით თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში საქმიანობის განხორციელება შეუძლია ამ ზონაში კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ საწარმოებს.

სახელმწიფო თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში ამარტივებს რიგ ადმინისტრაციული პროცედურებს, რითაც ცდილობს მაქსიმალურად შეზღუდოს სახელმწიფო ორგანოების ჩარევა აქ რეგისტრირებულ სუბიექტთა საქმიანობაში, კერძოდ:

- თავისუფალი ინდუსტრიული ზონის მართვას ახორციელებს ადმინისტრატორი, რომელიც შეიძლება იყოს ან თვით ზონის ორგანიზატორი ან მისი დანიშნული იურიდიული ან ფიზიკური პირი. იგივე უზრუნველყოფს ზონაში უსაფრთხოების ნორმების დაცვას;
- თავისუფალი ინდუსტრიული ზონის წესებით (წესდებით) შეიძლება დაწესდეს ზონაში წარმოქმნილი დავების გადაწყვეტა აქ მოქმედი საერთაშორისო არბიტრაჟის მეშვეობით, თუ დავის მონაწილე მხარე სახელმწიფო არ არის;
- თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში ანგარიშსწორება დაშვებულია ნებისმიერი ვალუტით;
- თავისუფალი ინდუსტრიულ ზონაზე არ ვრცელდება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილებანი;
- თავისუფალი ინდუსტრიულ ზონაში მოქმედებენ სახელმწიფოს მხოლოდ იმ ორგანოების წარმომადგენლობები, რომლებიც აუცილებელია თავისუფალი ინდუსტრიული ზონის

ფუნქციონირებისათვის. ცალკეული სახელმწიფო წარმომადგენლობები შეიძლება გაერთიანდეს მომსახურების/ზედამხედველობის ერთიან ორგანოში;

– საქართველოს მთავრობის დადგენილებით შესაძლებელია გაუქმდეს აქ განხორციელებულ ცალკეულ საქმიანობებზე ლიცენზიის/ნებართვის აღების ვალდებულება ან შემოღებულ იქნას მისი აღების გამარტივებული წესი;

– საქართველოს მთავრობას შეუძლია ცალკეული საქმიანობის სახეობაზე აკრძალვების და შეზღუდვების დაწესება, მაგრამ მხოლოდ თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნამდე, ე.ი. წინასწარ.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ითვალისწინებს რიგ შეღავათებს თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში ეკონომიკური საქმიანობის წასახალისებლად. კერძოდ:

– თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში უცხოური საქონლის შეტანა არ იბეგრება საბაჟო და დამატებული ღირებულების გადასახადებით;

– ზონაში განხორციელებული ოპერაციები არ იბეგრება დამატებული ღირებულების გადასახადით;

– ზონაში არსებული ქონება გათავისუფლებულია ქონების გადასახადისაგან;

– თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში საშემოსავლო გადასახადს დაქირავებული იხდის შემოსავლის დეკლარირების საფუძველზე (ე.ი. დამქირავებელი გათავისუფლებულია სახელფასო განაცემზე გადასახადის დაკავების ვალდებულებისაგან).

საგადასახადო კანონმდებლობა ასევე გულისხმობს მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებას, მაგრამ მხოლოდ იმ საწარმოებისა, რომლებსაც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული წესით მინიჭებული აქვთ **საერთაშორისო საწარმოს** სტატუსი. ამ სტატუსის სანაცვლოდ საერთაშორისო საწარმოსაც ეკისრება გარკვეული ვალდებულებები. მას ეკრძალება თავისუფალი ინდუსტრიული ზონიდან საქონელის/მომსახურების მიწოდება საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე, ან ზონის შიგნით საერთაშორისო საწარმოს სტატუსის არმქონე პირზე. ასევე იზღუდება (თითქმის იკრძალება) მასზე საქონელის/მომსახურების მიწოდება საერთაშორისო საწარმოს სტატუსის არმქონე საქართველოში რეგისტრირებული გადამხდელის მიერ. ამ შეზღუდვათა დანიშნულებაა მიეცეს სტიმული აღნიშნულ ზონებში ტრანზიტული სავაჭრო-

საწარმოო ოპერაციების განვითარებას მაგრამ ისე, რომ ზონა არ გადაიქცეს დანარჩენ საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოთა მიერ დაბეგვრისაგან თავის არიდების საშუალებად.

საგადასახადო კანონმდებლობა თავისუფალ ინდუსტრიულ ზონას სხვა მხრივაც გამოყოფს ქვეყნის დანარჩენი ეკონომიკური სივრციდან. მაგ, აღნიშნულ ზონაში საქართველოს საქონლის შეტანა განიხილება, როგორც საქონლის ექსპორტი, ხოლო თავისუფალი ინდუსტრიულ ზონიდან საქართველოს სხვა ტერიტორიაზე საქონლის შეტანა - იმპორტად (ე.ი. მის მიმართ გამოიყენება საქართველოს საბაჟო კოდექსით განსაზღვრული საბაჟო დამუშავების ოპერაცია). მაგრამ, თუ ეს საქონელი წარმოებულია თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში, ის, მიუხედავად მისი ოდენობისა, იბეგრება მხოლოდ დამატებული ღირებულების გადასახადით (ე.ი. არ იბეგრება საბაჟო გადასახადით).

ამას გარდა, თავისუფალი ინდუსტრიულ ზონიდან საქონლის სხვა ქვეყანაში გატანა განიხილება, როგორც საქონლის ექსპორტი. ამდენად თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში წარმოებული საქონლის მიწოდება როგორც საქართველოს სხვა ტერიტორიაზე, ისე განსაკუთრებით საზღვარგარეთ იბეგრება მინიმალურად. ეს გარემოება საინტერესო უნდა იყოს პოტენციური ინვესტორებისათვის. ფაქტიურად ასევე წახალისებულია ადგილობრივი რესურსების (მ.შ. ნედლეულის და სამუშაო ძალის) გამოყენება უცხოური კაპიტალის და ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით, ვინაიდან ზონაში საქონლის მიწოდება როგორც უცხოეთიდან, ისე დანარჩენი საქართველოდან პრაქტიკულად თავისუფალია დაბეგვრისაგან.

ამდენად, უნდა ითქვას, რომ თავისუფალი ეკონომიკური (ინდუსტრიული) ზონა შეიძლება გახდეს ეკონომიკის ზრდის, ადგილობრივი რესურსების ინტენსიური გამოყენების და ქვეყნის მეურნეობის მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაციის მნიშვნელოვანი ფაქტორი. ცხადია, რომ აუცილებელია რიგი საკანონმდებლო თუ ადმინისტრაციული ხასიათის ზომებიც ამ ზონებისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი მავნე შედეგის თავიდან ასაცილებლად. მაგრამ, საჭიროა გარკვეული კომპრომისული მიდგომებიც, რადგან თავისუფალ ეკონომიკური ზონაში ბიზნესის მიზიდვის მოტივი შესაძლოა არა იმდენად საგადასახადო შეღავათები, რამდენადაც ბიზნესში სახელმწიფოს ადმინისტრაციული ჩარევის შემსუბუქებაა. მეორე მხრივ, თუ სახელმწიფო საერთოდ მიდის საგადასახადო ლიბერალიზაციის და ბიზნესის სახელმწიფო რეგულირების შემსუბუქების მიმართულებით, მთელი ქვეყნის ეკონომიკა შეიძლება განვითარდეს სწრაფად, თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნის და მასზე დაყრდნობის გარეშეც.

მობილური ტელეფონების ბაზრის სეგმენტაციის საკითხისათვის

ახალი ტექნიკის დანერგვისათვის მისწრაფება და მისთვის ფეხის აწყობა მოსახლეობის სოციალური დიფერენცირების ერთ-ერთ მაჩვენებელს წარმოადგენს. მაგალითად, მობილური ტელეფონების ცალკეული სახეობისათვის დამახასიათებელია მოსარგებლეთა საკუთარი ჯგუფი და მათი შეძენისა და მოხმარების შესაბამისი კულტურა, თუმცა, საქართველოში სხვადასხვა სახეობის მობილური ტელეფონების მოყვარულთა ჯგუფებს შორის განსხვავებანი საკმაოდ მნიშვნელოვანია.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნა: მობილურ ტელეფონებს შორის პოპულარობით ყველაზე პოპულარულია *Nokia*, მეორე ადგილზეა *Samsung*, მესამეზე – *Sony Ericsson*, ხოლო მეოთხე და შემდეგ ადგილებს მცირე სხვაობით ინაწილებენ *Siemens*, *Motorola* და *LG*.

გამოკითხულთა ერთ ნაწილს გააჩნია და სარგებლობს ერთი, რომელიმე ფირმის მობილური ტელეფონით, ხოლო მეორენი უპირატესობას ანიჭებენ სრულებით სხვა ფირმის ტელეფონს. სწორედ ამიტომ, მომხმარებელთა ეს ჯგუფები არა სტაბილურები არიან და ადვილი შესაძლებელია მალე გამოცვალონ ტელეფონი და გადავიდნენ ისეთ ტელეფონებზე, რომლებიც მათ ინტერესებშია.

იმ ტელეფონებიდან, რომლებმაც ბოლო სამი ადგილი დაიკავეს ყველაზე უკეთესი მდგომარეობა გააჩნია *Sony Ericsson*-ს. ამიტომ სეგმენტირებისათვის ავირჩიეთ შემდეგი ძირითადი მარკები მობილური ტელეფონები: *Nokia*, *Samsung*, *Sony Ericsson* და *Motorola*.

შემდეგ მოვახდინეთ საბაზრო სეგმენტების განსაზღვრა, სეგმენტაციის კრიტერიუმად ავიღეთ ასაკი. ყოველივე ამის საფუძველზე მივიღეთ შემდეგი შედეგები (იხ. ცხრილი 1).

ცხრილი 1.

ბაზრის სეგმენტირება ასაკის მიხედვით

ასაკი	სავაჭრო მარკა	Samsung	Nokia	Motorola	Sony Ericsson
20 წლამდე	%	5,0	7,0	2,5	2,5
20_25 წელი	%	8,0	7,5	2,5	5,0
25_35 წელი	%	4,5	7,0	2,0	2,5
35-50 წელი	%	3,0	9,0	3,0	1,0

50-წელზე მეტი	%	2,5	7,0	3,0	1,0
---------------	---	-----	-----	-----	-----

როგორც ცხრილიდან ჩანს *Samsung*-ის სავაჭრო მარკას უპირატესობას ანიჭებენ და უმრავლეს შემთხვევაში სარგებლობენ ძირითადად 25 წლამდე მომხმარებლები (8%), ხოლო ყველაზე ნაკლებად ამ ტელეფონს იყენებენ 50 წელს გადაცილებული მომხმარებლები (2,5%).

Nokia-ს ფირმის მობილური ტელეფონებით სარგებლობს თითქმის ყველა ასაკობრივი სეგმენტის მომხმარებლები (7%-დან 9%-მდე სხვადასხვა ასაკობრივი სეგმენტების მიხედვით. ყველაზე მეტი პოპულარობით *Nokia*-ს ფირმის მობილურ ტელეფონი სარგებლობს 20 წლამდე მომხმარებლებს შორის.

Motorola-ს ფირმის მობილურ ტელეფონებს სარგებლობენ სხვადასხვა ასაკობრივი სეგმენტის მომხმარებლები თითქმის ერთი და იგივე პროცენტული მაჩვენებლებით. ეს მაჩვენებელი მერყეობს 2_3%-ს შორის.

Sony Ericsson-ის ფირმის მობილურ ტელეფონებს ძირითადად იყენებენ პირველი სამი სეგმენტის მომხმარებლები (2_5%), ყველაზე მაღალია 20-25 წლის სეგმენტში (5%). დანარჩენ ჯგუფებში მათი მოხმარება ნაკლებია და გარკვეულ სიტუაციაში შესაძლებელია მათი უგულებელყოფა.

დანარჩენი ფირმების მობილურ ტელეფონებს თითქმის არ იყენებენ, ან თუ ხმარობენ მომხმარებელთა ძალიან მცირე ჯგუფები, რის გამოც მათი ცალკე სეგმენტად გამოყოფა და მათზე ზემოქმედება არამიზანშეწონილად და ზედმეტ დანახარჯებად მიმაჩნია.

მიზნობრივი მომხმარებლები მობილური ტელეფონების მწარმოებელი და გამყიდველი ფირმებისათვის არის მომხმარებელთა ის ჯგუფები, რომლებშიდაც მათი ტელეფონების მომხმარებელთა რაოდენობა მაქსიმუმია.

ცხრილი 2.

ყიდვის დროს მობილური ტელეფონების მახასიათებლების მნიშვნელობების შეფასება

მახასიათებელი	20 წლამდე	20_25 წელი	25_35 წელი	35-45 წელი	45-წელზე მეტი	საშუალო
ხარისხი	4,9	4,5	4,5	4,5	4,3	4,54
დიზაინი	4,7	4,2	3,9	4,1	4	4,18
მახსოვრობის მოცულობა	4,9	3,4	4,3	4,2	3,6	4,08
კამერა	4,8	2,5	3,4	4,1	2,6	3,48
ფუნქციები	4,7	3	3,3	4,1	2,8	3,58
ფასი	4,5	3,8	3,8	3,6	3,5	3,84
ცნობადობა	4,3	3,1	3,1	3,1	2,5	3,22

ამის შემდეგ გავარკვეეთ მომხმარებელთა დამოკიდებულება მობილური ტელეფონების სხვადასხვა მახასიათებლებისადმი, რათა გამოგვეჩვენოთ ის ძირითადი და გადამწყვეტი მახასიათებლები, რომლებიც განსაზღვრავს მყიდველთა, ამა თუ იმ მარკის პოტენციურ მომხმარებელთა ქცევას მობილური ტელეფონების შექმნისას. მიღებული შედეგები წარმოდგენილია ცხრილში. (იხ. ცხრილი 2). მოცემული ცხრილიდან ჩანს, რომ მობილური ტელეფონების მახასიათებლები 20 წლამდე მომხმარებლებისათვისაა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ხოლო უფროსი თაბის მომხმარებლებისათვის, კერძოდ 45 წელს ზემოთ, მობილური ტელეფონების სხვადასხვა მახასიათებელი ნაკლებადაა მნიშვნელოვანი.

საერთო ჯამში, ყველა ასაკის მომხმარებლისათვის ყველა მახასიათებელია მნიშვნელოვანი, მაგრამ ძირითადგანმსაზღვრელი ფაქტორს წარმოადგენს მისი ხარისხი, მეორე ადგილზეა მობილური ტელეფონის დიზაინი, მესამეზე – მახსოვრობის მოცულობა, მხოლოდ ამის შემდეგ მოდის ისეთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი, როგორცაა მობილური ტელეფონის ფასი. ბოლო ადგილზე კი არის სავაჭრო მარკის ცნობადობა.

კომპანია *Samsung*-ისათვის, როგორც ზემოთ აღვნიშნე (იხ. ცხრილი 2) მიზნობრივ ბაზარს წარმოადგენენ მომხმარებლები 25 წლამდე, რომლებიც იყენებენ მაღალი ხარისხის, მახსოვრობის დიდი მოცულობის და კარგი კამერის მქონე ტელეფონებს.

Nokia-სათვის ძირითადი მომხმარებლებია 20 წელს ზემოთ არსებული მომხმარებლები, მათთვის მნიშვნელოვანია მაღალი სამომხმარებლო ხარისხისა და მახსოვრობის დიდი მოცულობის მქონე ტელეფონი. ნაკლებად მნიშვნელოვანია ტელეფონების მრავალფუნქციურობა და მისი კამერის შესაძლებლობები.

Motorola-სათვის მომხმარებელთა მიზნობრივი სეგმენტებია 20-25 წლის და 35-45 წლის მომხმარებელთა სეგმენტები, რომელთათვისაც მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ხარისხი, არამედ მისი დიზაინი, კამერის შესაძლებლობები და მახსოვრობის შეძლებისდაგვარად დიდი მოცულობა. დაახლოებით იგივე მდგომარეობაა *Sony Ericsson*-ის მომხმარებელთა დახასიათებისასაც.

კონკურენტუნარიანობის ანალიზის მიზნით გავაანალიზეთ მომხმარებელთა აზრით ფირმა-კონკურენტების ტელეფონების ის თვისებები, რომლებიც მათ აწყობთ და რომლებიც მათ არ აწყობთ. მათგან მიღებული შედეგები წარმოდგენილია ცხრილში (იხ. ცხრილი 3).

ანკეტირების საფუძველზე მივიღეთ, რომ *Samsung*-ის მომხმარებელთა 53,67%-ს სავსებით მოსწონს და აწყობს საკუთარი მობილური ტელეფონი, მიუხედავად ამისა, მათი $\approx 20\%$ უპირატესობას

მაინც სხვა კონკურენტ ტელეფონს ანიჭებს, კერძოდ *Nokia*-ს ფირმის ტელეფონს. დანარჩენი 47,4% უკმაყოფილონი არიან საკუთარი ტელეფონებით და მზად არიან შეცვალონ საკუთარი ტელეფონები სხვა ფირმის ტელეფონით. მათი 60%-ისათვის მისაღებია *Nokia*-ს ფირმის ტელეფონი, 30% დაკმაყოფილდებოდა *Sony Ericsson*-ის ფირმის ტელეფონით, ხოლო დარჩენილი 10% საბოლოოდ ჯერ კიდევ არაა ჩამოყალიბებული ახალი ტელეფონის ფირმის შესახებ.

ეს შესაძლებელია დაკავშირებული იყოს ჩვენს მიერ მიღებულ შემდეგ მონაცემებთან: შემდეგ *Samsung*-ის მომხმარებელთა 78,9%-ს აკმაყოფილებს მისი მობილური ტელეფონის დიზაინი, ხარისხი შედარებით ნაკლებს – 63,2%. ამასთანავე 63,2%-ს არ აკმაყოფილებს ტელეფონის მახსოვრობის მოცულობა.

ცხრილი 3.

მომხმარებლების მიერ მობილური ტელეფონების დადებითი და უერყოფითი თვისებების (მახასიათებლების) შეფასება

მარკა	მახასიათებელი	ხარისხი	დიზაინი	მახსოვრობის მოცულობა	კამერა	ფუნქციები	სხვა
<i>Samsung</i>	აწყობს	63,2	78,9	631	36,9	67,3	15,3
	არ აწყობს	31,6	12,2	63,2	21,1	36,8	10,5
<i>Nokia</i>	აწყობს	87,2	79,2	45,8	33,3	16,7	20,8
	არ აწყობს	4,2	20,8	20,8	16,7	20,8	16,7
<i>Motorola</i>	აწყობს	70	40	30	10	40	10
	არ აწყობს	10	20	40	60	40	10
<i>Sony Ericsson</i>	აწყობს	85,7	75,4	57,1	33,4	42,9	18,3
	არ აწყობს	14,3	16,3	19,6	18,3	28,6	20,2

Nokia-ს ფირმის მობილური ტელეფონების მომხმარებელთა უმრავლესობა კმაყოფილია მობილური ტელეფონის ხარისხით, დიზაინით და მახსოვრობის მოცულობით. პრაქტიკულად ყველა მომხმარებელი კმაყოფილია აღნიშნული მარკის მობილური ტელეფონით და არ აპირებენ მისი სხვა ტელეფონით შეცვლას, მხოლოდ 7%-ს აქვს სურვილი შეძენისას შეიძინოს *Samsung*-ის მობილური ტელეფონი, და ამას ემატება ნოკიას მომხმარებელთა 2%, რომლებიც უპირატესობას ანიჭებენ *Samsung*-ის მობილური ტელეფონს.

კომპანია *Motorola*-ს მობილური ტელეფონების მახასიათებლებით მომხმარებლები არც თუ ისე კმაყოფილები არიან, ამ დასკვნის გაკეთების საფუძველს გვაძლევს ჩატარებული კვლევა, კერძოდ გამოკითხულთა 60% უკმაყოფილოა ტელეფონის კამერით, 40% – მისი მახსოვრობის მოცულობით და ფუნქციებით. მაგრამ, 70% მაინც კმაყოფილია ტელეფონის ხარისხით. *Motorola*-ს მომხმარებელთა

მხოლოდ 20%-ს სახსრებით აწყობს მისი ტელეფონი. დანარჩენი 80 %-იდან უპირატესობებს ანიჭებენ Nokia-ს (60%), Sony Ericsson-ს (20%) და Samsung-ს (20%).

Sony Ericsson-ის მობილური ტელეფონების მომხმარებლების უმრავლესობას აწყობთ აღნიშნული ტელეფონების თითქმის ყველა მახასიათებლები: 85,7%-ს _ ხარისხი, 71,4%-ს _ დიზაინი, 57,1%-ს _ მახსოვრობის მოცულობა. თითქმის ასეთივე სიტუაციაა სხვა მახასიათებლების შემთხვევაშიც. მიუხედავად ამისა Sony Ericsson-ის მომხმარებელთა 28,5% უპირატესობას ანიჭებენ რომელიმე სხვა ფირმის მიერ ნაწარმოებ ტელეფონებს. სხვა ტელეფონებს სორის, როგორც სხვა შემთხვევების ლიდერობს Nokia-ს ფირმის მიერ წარმოებული მობილური ტელეფონები (60%), შემდეგ მოდის Samsung-ის მიერ წარმოებული ტელეფონები (30%) და შემდეგ სხვები ($\approx 10\%$).

ამრიგად, შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ მობილურ ტელეფონებს შორის, მათი მახასიათებლებით ლიდერის პოზიცია უკავია Sony Ericsson-ს, შემდეგ მოდიან Nokia და Samsung. Motorola კი ბოლო ადგილზეა. ამ კომპანიამ სხვა კომპანიებს კონკურენცია შეიძლება მხოლოდ ტელეფონის ხარისხით გაუწიოს, რაც სწრაფად ზრდად ბაზარზე საკმაოდ რთულია.

მყიდველებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორია მობილური ტელეფონების ფასი. ანკეტირების დროს გამოვლენილი იქნა მომხმარებლის ოჯახის შემოსავალსა და მობილურ ტელეფონზე შესაძლო დანახარჯებს შორის დამოკიდებულება (იხ. ცხრილი 4).

ცხრილიდან ჩანს, რომ რაც უფრო მეტია მომხმარებელთა საშუალო შემოსავალი, მით მეტი თანხის გაღებას აპირებენ ისინი ახალი მობილური ტელეფონის საყიდლად. მაგალითად: მომხმარებლები, რომელთა ოჯახების საშუალო თვიური შემოსავალი 200 ლარზე ნაკლებია, ძირითადად ყიდულობენ მობილურ ტელეფონებს, რომელთა ფასიც მერყეობს 100 ლარამდე, მაქსიმალური ფასი, კი რომლის გადახდაც მომხმარებელთა ამ ჯგუფს შეუძლია, არ აღემატება 500 ლარს.

ცხრილი 4.

მომხმარებლის ოჯახის შემოსავალსა და ახალი ტელეფონის ყიდვაზე შესაძლებელ დანახარჯებს შორის ურთიერთდამოკიდებულება

ტელეფონის ფასი	შემოსავალი	200 ლარზე ნაკლები	200_500 ლარი	500_1000 ლარი	1000 ლარზე მეტი
100 ლარზე ნაკლები	%	44,2	39,9	11,6	4,3
100_300	%	34,2	24,7	22,7	18,4
300_500 ლარი	%	16,5	20,2	33,4	29,9
500_1000 ლარი	%	5,1	15,2	32,3	47,4

200_500 ლარი შემოსავლებით მქონე ოჯახები, კი უკვე ცდილობენ შეიძინონ ტელეფონები, რომელთა ფასი 1000 ლარსაც კი აღწევს, მაგრამ ძირითადად ისინი ყიდულობენ 300_500 ლარის ფარგლებში ფასების მქონე ტელეფონებს.

იმერეთის რეგიონში მომხმარებელთა ოჯახების ყველაზე მრავალრიცხოვანი ჯგუფებია, რომელთა ყოველთვიური შემოსავლებიც მერყეობს 500_1000 ლარის ფარგლებში. მომხმარებელთა ამ ჯგუფისათვისაც ძირითადი ფასი 1000 ლარს არ აღემატება. მიუხედავად ამის საკმაოდ მაღალია შესაძლებლობა, რომ მომხმარებელთა ამ ჯგუფმა შეიძინოს ტელეფონი, რომლის ფასიც 500_1000 ლარს შორის მერყეობს.

მობილური ტელეფონების მწარმოებლებისათვის განსაკუთრებით საინტერესოა მომხმარებელთა ჯგუფი 1000 ლარზე მეტი საშუალო თვიური შემოსავლით, რომლებიც უკვე საკმაოდ ძვირ, 1000 ლარზე უფრო მაღალი ფასის ტელეფონებსაც ყიდულობენ.

მომხმარებლის ოჯახის შემოსავალსა და ახალი ტელეფონის ყიდვაზე შესაძლებელ დანახარჯებს შორის ურთიერთდამოკიდებულების ანალიზი გვიჩვენებს, რომ შემოსავლების ზრდასთან ერთად იზრდება მაღალფასიანი ტელეფონების შეძენის შესაძლებლობები, და შესაბამისად მცირდება დაბალფასიანის შეძენის შესაძლებლობები.

იმისათვის, რომ შეიცვალოს არსებული სიტუაცია კონკრეტული კომპანიისათვის საუკეთესო მხარეს, და მომხმარებლები არ გახდნენ მიჯაჭვულნი ერთ რომელიმე კომპანიას, ფირმა-კონკურენტებმა უნდა განახორციელონ შემდეგი სტრატეგიები:

მობილური ტელეფონების მწარმოებელი ფირმა *Samsung* უნდა შეეცადოს არა მხოლოდ დააკმაყოფილოს არსებული მოთხოვნილებები, არამედ თვითონვე შეუწყოს ხელი მომხმარებლებში ახალი მოთხოვნილებების გაჩენას⁵.

დღევანდელ დღეს *Nokia* წარმატებით ართმევს თავს მობილური ტექნოლოგიების სრულყოფის პროცესს, მობილური ტელეფონების ბაზრის ყველა სეგმენტზე წარმოდგენილი აქვს საკუთარი პროდუქციის ფართო სპექტრი, რომლებსაც შეუძლიათ თანამედროვე მობილური მომსახურებების სრულად უზრუნველყოფა. ე.ი. *Nokia*-ს ყოველდღიური საქმიანობა მიმართულია მომხმარებელთა ცხოვრების გაუმჯობესებისაკენ და მათი ყველა სეგმენტის მოთხოვნილებების სრულად დაკმაყოფილებისაკენ.

Motorolas-ს, როგორც კომპანიის, მიზანს წარმოადგენს ისეთი მობილური სისტემების შექმნა, რომლებიც *Motorolas*-ს მობილური ტელეფონების მფლობელებს საშუალებას მისცემს ინტერნეტის საშუალებით მოახდინონ სავაჭრო ოპერაციები, კერძოდ ინერნეტ-ვაჭრობის შესაძლებლობებს⁶.

კომპანია *Sony Ericsson* აძლიერებს ყურადღებას, როგორც საქართველოს, ისე მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის ბაზარზე. ახალ ტექნიკურ გადაწყვეტილებებთან ერთად *Sony Ericsson* ცდილობს უზრუნველყოს მობილური კავშირგაბმულობის კომპანია-ოპერატორებს მიაწოდოს გარკვეული, მათთვის სასარგებლო ბიზნეს შესაძლებლობები. მთელს მსოფლიოში *Sony Ericsson*-ის, როგორც კომპანიის ძირითად ამოცანას წარმოადგენს, მათ პროდუქციაზე, მომხმარებელთა მრავალფეროვანი და ამასთანავე მუდმივად მზარდი მოთხოვნილებების სრულად დაკმაყოფილება, ამასთან ერთად

⁵ <http://marketing.spb.ru/read/m9.htm>

⁶ <http://www.aup.ru/books/m21/2.htm>

ისეთი ოპტიმალური და კარგად გათვლილი ბიზნესის წარმოება მთელი მსოფლიოს მასშტაბით, რომ ყოველთვის გათვალისწინებული იქნას სხვადასხვა ქვეყნების რეგიონალური სპეციფიკებით⁷.

იმერეთის ბაზარზე წარმოდგენილი, მობილური ტელეფონების მწარმოებელი დანარჩენი ფირმების წილი საკმაოდ მცირეა, შესაბამისად მათი გაყიდვებით, იმერეთის რეგიონში წარმოდგენილი მობილური ტელეფონებით მოვაჭრე ფირმები არც კი ცდილობენ, რომ როგორმე ასეთ პროდუქციაზე შექმნან მოთხოვნილება, ამიტომაც მათი განხილვე, როგორც იმერეთის მობილური ტელეფონების ბაზარზე მოსაქმე ობიექტებისა არც შეიძლება.

⁷ <http://www.ericssonclub.org/vbulletin/showthread.php?t=21259>

ქ. ქუთაისის მოსახლეობის ტურისტულ-რეკრეაციული მოთხოვნილებების შესწავლისათვის

რეკრეაციული მოთხოვნილებები, როგორც საერთოდ ყოველგვარი მოთხოვნილებები, სწრაფად ცვალებადია და მათი დინამიკა სივრცეში და დროში აისახება რეკრეაციული საქმიანობის ტერიტორიული ფორმების ორგანიზაციაზე. ამიტომ რეკრეაციული მოთხოვნილებების შესწავლა აუცილებელია რეკრეაციული რაიონის ტერიტორიული ორგანიზაციის როგორც უკვე არსებული ფორმების შესწავლისას, ისე პერსპექტიული ფორმების კონსტრუირებისათვის.

რეკრეაციული სივრცის ორგანიზაციის კრიტერიუმებს და აგრეთვე რეკრეაციული სივრცის გავლენას რეკრეანტის საქმიანობაზე აქვს აშკარად გამოხატული სოციოლოგიური და სოციალურ-ფსიქოლოგიური ხასიათი. ამიტომ რეკრეაციული მოთხოვნილებების შესწავლისას ფართოდ გამოიყენება სოციოლოგიური მეთოდები, რომელთა შორის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული არის ანკეტური გამოკითხვის მეთოდი⁸.

რეკრეაციული მოთხოვნილებების შესასწავლად ჩვეულებრივ გამოიყენება არჩევითი ზონდაჟის მეთოდი, როცა მთელის შესწავლა ხდება მისი ნაწილის მეშვეობით.

ჩვეულებრივ ანკეტური გამოკითხვები ტარდება ტერიტორიული ნიშნის მიხედვით:

1. სამუშაო ან საცხოვრებელ ადგილზე,
2. დასვენების ან მოგზაურობის ადგილზე.

არჩეულმა ჯგუფმა დაახლოებით უნდა ასახოს მთელი კონტიგენტის მახასიათებლები.

დღესდღეობით არ არსებობს აპრიორული სტატისტიკური ან სოციოლოგიური მეთოდები მისაღები ინფორმაციის მოცულობის განსაზღვრისათვის. ერთადერთი საერთო წესი მდგომარეობს იმაში, რომ რამდენადაც უფრო ერთგვაროვანია გენერალური ერთიანობა, მით უფრო მცირე შეიძლება იყოს არჩევანის მოცულობა და პირიქით⁹.

⁸ Мироненко Н. С. Твердохлебов И. Т. Рекреационная география. 1981.

⁹ ზდრაგომისლოვი ა., სოციოლოგიური გამოკვლევის მეთოდოლოგია და პროცედურა. თბილისი 1975.

ანკეტური მეთოდი საშუალებას გვაძლევს შევისწავლოთ რეკრეაციული მოთხოვნილებების ყველა სახე, დაწყებული ინდივიდუალური, ჯგუფური და მათგან გამომდინარე საზოგადოებრივი მოთხოვნილებებით.

ამჟამად რეკრეაციული მომსახურების ძირითადი მომხმარებელია არა ცალკეული ინდივიდი, არამედ ოჯახი, ამიტომ სოციოლოგიური კვლევის ჩატარებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება სწორედ ოჯახის მოთხოვნილებების შესწავლას.

ანკეტური მეთოდით რეკრეაციული მოთხოვნილებების შესწავლას დიდი ხნის ისტორია გააჩნია. ასეთი გამოკვლევები ტარდებოდა სხვადასხვა პროფილის კვლევითი სამსახურების მიერ სხვადასხვა მიზნით, მაგრამ მათ მიერ წარმოჩენილ ტენდენციებში ბევრია საერთო.

რეკრეაციული მოთხოვნილებების ჩამოყალიბება ხდება ფაქტორების მთელი კომპლექსის გავლენით, რომელიც შეიძლება შემდეგნაირად დავაჯგუფოთ: 1. სოციალურ-ეკონომიკური; 2. დემოგრაფიული; 3. სოციალურ-ფსიქოლოგიური; 4. მედიკო-ბიოლოგიური; 5. ბუნებრივი ფაქტორები (რეკრეაციული)

ამ ფაქტორების მნიშვნელოვანმა ცვლილებებმა ბოლო წლებში გამოიწვია ადამიანის აზრობრივი ცენტრის გადანაცვლება შრომითი სფეროდან თავისუფალი დროის სფეროში. ამასთან, გაიზარდა მოთხოვნა თავისუფალი დროის აქტიურ გამოყენებაზე. თუ რამდენიმე ათწლეულის წინათ მოსახლეობის დიდ ნაწილს სურდა ორგანიზებულად დაესვენა (საგზურების მეშვეობით), ამჟამად გაიზარდა მისწრაფება როგორც უქმე დღეების გამოყენებისადმი, ისე ყოველწლიური შვებულების საკუთარ აგარაკზე ან საბაღე ნაკვეთში ოჯახთან ერთად გატარებისადმი, სადაც რეკრეაციული ხასიათი ეძლევა როგორც წმინდა დასვენების მიზნით საქმიანობას (სეირნობა, ცურვა, მზის აბაზანების მიღება და სხვა), ასევე ბაღში და ბოსტანში მუშაობას, ტყეში ხილისა და კენკროვნების შეგროვებას, საკუთარი გატაცების მიხედვით საქმიანობას¹⁰.

დასასვენებლად ლანდშაფტის არჩევა ბევრდაა დამოკიდებული დამსვენებელთა ასაკზე ახალგაზრდებს უფრო იზიდავს მთები, საშუალო ასაკის მოსახლეობა ტყეში ან ზღვაზე ამჯობინებს დასვენებას, ხოლო საკენსიო ასაკის ადამიანები კი სამკურნალო მინერალურ წყლებს ანიჭებენ უპირატესობას, მაგრამ ყველაზე დიდი მოთხოვნილებით სარგებლობს კონტაქტური ზონები: ტყე-ზღვა, ტყე-მდინარე, ტყე-ტბა და სხვა.

¹⁰ პავლიაშვილი ნ., საქართველოს რეკრეაციული რესურსების ათვისების რეგიონალური სხვაობები თბ. 1988.

რეკრეაციული მოთხოვნების მრავალფეროვნება, მისი სტრუქტურა ბევრად არის დამოკიდებული რეკრეაციული დაწესებულებებით უზრუნველყოფაზე და ამის შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობაზე.

2006-2007 წლებში ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევა იყო ქუთაისის მოსახლეობის რეკრეაციული მოთხოვნების შესწავლის მორიგი ცდა, რომელიც მიზნად ისახავდა პირველ რიგში ხანმოკლე დასვენების ორგანიზაციის ფორმებისა და მისი ძირითადი არეალების გამოვლენას, აგრეთვე სეზონური დასვენების საერთო ტენდენციების დადგენას.

ჩატარებულ კვლევას ჰქონდა წინასწარი, ე. წ. დაზვერვითი ხასიათი, რასაც შემდეგ უნდა მოყვეს აღნიშნული პრობლემის უფრო საფუძვლიანი და ფართო გამოკვლევა. 16 პუნქტიანი ანკეტის პასუხების (პოზიციების) საერთო რაოდენობა 53-ს შეადგენდა. პირველი სამი კითხვა ეხებოდა რესპოდენტის ეროვნებას, ასაკს, სქესს, ოჯახს, განათლებას, დასაქმების სფეროს.

კითხვების დიდი ნაწილი ეხებოდა დასვენების მიზნით გასვლების ინტენსივობას, დასვენების ფორმებს, ადგილს, მოტივს, ხანგრძლივობას, სეზონს და ა. შ.

ანკეტაში იყო აგრეთვე ე. წ. პროექტიული კითხვები, რომლებიც ეხებოდა რესპოდენტის სურვილებს, მომავალში რეკრეაციული მეურნეობის ორგანიზაციის თაობაზე.

ჩვენს მიერ გამოკითხულ რესპოდენტთა საერთო რაოდენობამ მიაღწია 527 კაცს, აქედან უმრავლესობა (332) იყო დროებით უმუშევარი, არასაწარმოო სფეროში დასაქმებულთა საერთო რიცხვმა კი 100 მიაღწია, ვაჭრობაში – 72, სამრეწველო საწარმოებში მომუშავენი კი ყველაზე მცირე – 23.

ასაკობრივი სტრუქტურის მიხედვით გამოკითხულთა დიდი ნაწილი მოდიოდა (73%) ეკონომიკურად აქტიური ასაკის (26-წლიდან 60 წლამდე) მოსახლეობაზე, რომელიც მონაწილეობდა რეკრეაციულ პროცესებშიც. ოჯახის საშუალო შემადგენლობა 4-5 კაცია, შვილების საშუალო რაოდენობა 2.

თითქმის თანაბრად განაწილდა ანკეტირებულთა რაოდენობა სქესის მიხედვით: 47% ქალები, 53% – მამაკაცები.

უმადლესი განათლება აქვს გამოკითხულთა 71%, საშუალო პროფესიული –16,7%. სოციალური შემადგენლობის მიხედვით გამოკითხულთა მეტ ნაწილს შეადგენენ მოსამსახურენი, რომელთა შორის ჭარბობენ პედაგოგები და ინჟინრები.

ასეთია მონაცემები იმ კონტიგენტის შესახებ, რომელიც გამოიკითხა რეკრეაციული მოთხოვნების შესწავლის მიზნით და მიღებული იქნა შემდეგი შედეგები:

– როგორც მოსალოდნელი იყო, ყველაზე ხშირად მოსახლეობა დასვენების მიზნით ქალაქგარეთ გადის ზაფხულსა და შემოდგომის სეზონზე, შესაბამისად 63,4% და 19%. შეადგენს;

– ორგანიზებული დასვენების მსურველთა შორის ყველაზე დიდია მოთხოვნილება საოჯახო სანატორიუმში დასვენებაზე (22,7%), რაც ემთხვევა საერთო ტენდენციას ოჯახური დასვენების პოპულარობის შესახებ. იგივეზე მეტყველებს პასუხები მომდევნო კითხვებზე, როცა ოჯახთან და მეგობრებთან ერთად დასვენებას ამჯობინებს რესპოდენტი თითქმის თანაბარი რაოდენობა – 43,5% და 48,2%, ხოლო მარტო დასვენება სურს მხოლოდ 8,3%-ს;

– ანკეტირებულთა თითქმის ნახევარს (47,3%) შეადგენენ ბუნებაში დასვენების მსურველები, ნათესავებთან სოფელში დასვენება სურს 27,7%-ს, ხოლო საბაღე ნაკვეთებში მხოლოდ 21,1%-ს;

– თუკი ამ მონაცემებს უფრო დეტალურად განვიხილავთ, აღმოჩნდება, რომ საბაღე ნაკვეთები გამოკითხულთა შორის აქვს 20,4%-ს, მათგან იქ დასვენება სურს მხოლოდ 15,7%-ს;

– ხანმოკლე დასვენების სახეების არჩევისას მოსახლეობა ხშირად რამდენიმე სახეს ირჩევდა, ყველაზე ხშირია გასეირნებისა და ისტორიული ძეგლების ახლოს დასვენების შეთანაწყობა.

დასვენებისათვის ხელშემწყობი ფაქტორებიდან თითოეული რესპოდენტი აღნიშნავდა არა ერთ, არამედ რამდენიმე ფაქტორს. უმეტესობა თვლის, რომ კარგი დასვენებისათვის საჭიროა პირობების მთელი კომპლექსი და საკმარისი არც კია პირობების ის რიგი, რომელიც ჩვენ შევთავაზეთ ანკეტაში, მაგრამ მაინც გამოკვეთილად ჩანს ისეთი პირობების მნიშვნელობა, როგორცაა ადგილის კეთილმოწყობის დონე, ლამაზი ლანდშაფტი და სხვა.

კონკრეტული დასახელებული ადგილების მიხედვით შექმნილმა არეალებმა კი ასეთი სურათი მოგვცა: უქმე დღეებში, როგორც წელიწადში რამდენჯერმე, ისე თვეში ერთხელ ქალაქიდან გასული დამსვენებელით ყველაზე უფრო დატვირთულია გელათი, მოწამეთა, ნავენახევი და ქუთაისის ახლო-მახლო შემოგარენი, ხოლო უფრო მოშორებულ არეალებს შორის ლიდერობს რაჭის რეგიონი – ნიკორწმინდის ტაძარი, საყინულე და სხვა ბუნებრივი თუ ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლები.

ამრიგად, თუ გამოკითხვით მიღებულ შედეგებს გავავრცელებთ ქალაქის მთელ მოსახლეობაზე, შეიძლება ითქვას, რომ უქმე დღეებს ქუთაისის მოსახლეობის დიდი ნაწილი ზაფხულის გარდა ქალაქის ახლო შემოგარენში ატარებს, მოსახლეობის მცირე ნაწილი ისვენებს ქალაქის ტერიტორიაზე მდებარე რეკრეაციულ ზონებში – ბაღის კიდეზე, ე. წ. პიონერთა პარკში, გორაზე არსებულ ბარს და სხვა.

ამდენად, რეკრეაციული საქმიანობის რეალური პროცესების შესწავლამ გამოკითხვის გზით საშუალება მოგვცა შეგვეფასებინა მოსახლეობის რეაქცია რეკრეაციული რესურსების და

მატერიალური ბაზის ხარისხზე და მისაწვდომობაზე და გამოგვევლინა მოსახლეობის მიერ სხვადასხვა საკურორტო თუ ტურისტული ზონების ფაქტიური გამოყენების შესაძლებლობები.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების ძირითად მიმართულებათა შესახებ

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა და თავისუფლების მოპოვების შემდეგ, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა აღმოჩნდა უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა, რამაც წარმოშვა უამრავი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა, რომელთა შორის უპირველესია დემოგრაფიული კრიზისი. ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებზე დაყრდნობით 1959 წლიდან 1992 წლამდე ადგილი ჰქონდა მოსახლეობის რაოდენობრივ ზრდას, თუმცა ეს ხდებოდა მოსახლეობის ბუნებრივი მატების განუხრელი კლებისა და გარემიგრაციული უარყოფითი სალდოს პირობებში. 1992 წლიდან მოსახლეობის რაოდენობრივი ზრდა კლების ტენდენციამ შეცვალა. გაიზარდა დეპოპულაცია და მისი მასშტაბები; დეპოპულაციურმა პროცესებმა უფრო მეტად მოიცვა ქართველი მოსახლეობა, რაც სერიოზულ პრობლემას უქმნის ქართველი ერის ფიზიკური უწყვეტობის უზრუნველყოფას. სწრაფად მიმდინარეობს დემოგრაფიული დაბერების პროცესი, რომელიც ერს აღწარმოების პოტენციალს საფრთხის წინაშე აყენებს. უახლოეს მომავალში დემოგრაფიული პრობლემები აუცილებლად წარმოქმნის რიგ პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებსაც.

თანამედროვე ეტაპზე საქართველოს დემოგრაფიული განვითარების ძირითადი პრობლემები შემდეგი სახით წარმოგვიდგება: შობადობის დაბალი დონე და მისი შემდგომი შემცირების ტენდენცია. მოკვდაობის მაღალი დონე განსაკუთრებით რეპროდუქციული და შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობაში ზრდის პერსპექტივით. მოსახლეობის ბუნებრივი შემცირებით დეპოპულაციის ზრდა; მოსახლეობის მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობის დაბალი დონე მსოფლიოს და ევროპის განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით; მოსახლეობის გარემიგრაციის მაღალი დონე; დემოგრაფიული დაბერების მაღალი დონე; ქორწინების დაბალი დონე და სხვა.¹¹

მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ქვეყანაში საჭიროა დროული ეფექტური დემოგრაფიული პოლიტიკის გატარება, რომელიც უნდა დაემყაროს დემოგრაფიული პროცესების ღრმა და ყოველმხრივ ანალიზს. ბუნებრივია იგი გულისხმობს ასაკობრივი, ტერიტორიული,

¹¹ სულაბერიძე ვ., ეპოპულაცია და საქართველოს დემოგრაფიული უსაფრთხოება. ვტორეფერატი თბ.2004 გვ.17-18

საქმიანობის, ეთნიკური, რელიგიური და სხვა ნიშნით განსხვავებული ჯგუფების დემოგრაფიული პროცესების თავისებურებათა გარჩევას.

ცხრილი 11.

საქართველოს ზოგიერთი დემოგრაფიული მაჩვენებელი

მოსახლეობა	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008
მოსახლეობის რიცხოვნობა წლის დასაწყისისათვის, ათასი კაცი	4371,5	4342,6	4315,2	4321,5	4401,3	4394,7	4382,1
დაბადებულთა რიცხოვნობა	46605	48194	49572	48512	47795	49287	_____
გარდაცვლილთა რიცხოვნობა	46446	46055	48793	42984	42255	41178	_____
ქორწინების რიცხვი	12535	12696	14866	18012	21845	24891	_____
განქორწინების რიცხვი	1836	1825	1793	1928	2060	2325	_____

წყარო: სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი

საქართველოს დემოგრაფიულ მდგომარეობაზე მოქმედ ფაქტორთა შორის, (მოსახლეობის დასაქმების პრობლემის გადაჭრა, ხელისუფლების და პენსიების გაზრდა დღევანდელი ინფლაციის შესაბამისად, ახალგაზრდა ოჯახების წახალივასა და მთლიანად საქართველოს მასშტაბის ახალშობილებზე დახმარებების გაცემა, ფეხმძიმე ქალების წახალისება, საარსებო მინიმუმთან მინიმალური ხელფასის შეუსაბამობა, ქალთა უნაყოფობის დონის ზრდა. ქორწინებათა და სასურველ შვილთა ყოლის გადავადება, სოციალურ-დემოგრაფიული და ფრონტალური პროგრამების მწირი დაფინანსება და სხვა) ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს მართლმადიდებლური სარწმუნოებისადმი ხელის შეწყობა. დემოგრაფები მიიჩნევენ, რომ მოსახლეობის მხოლოდ მარტივი კვლავწარმოების შენარჩუნებისათვის აუცილებელია სამი და მეტშვილიანი ოჯახები შეადგენდნენ საერთო რიცხოვნობის ნახევარზე მეტს.

ჯერ კიდევ ექვსი ათეული წლის წინ უდიდესი ამერიკელი მეცნიერები დემოგრაფი ფრენკ ნიუტსტეინი და სოციო-ჰიგიენისტი, რეგინა სტიქსი წერდნენ, რომ „ვერც ერთი ქვეყნის მოსახლეობა დაბალი მოკვდავობის პირობებშიც კი ვერ შეძლებს თავის კვლავწარმოებას, მრავალშვილიანი ოჯახების მნიშვნელოვანი ხვედრითი წილის გარეშე, რათა გააწონასწორონ ქორწინებაში არმყოფები და ისინი, რომლებსაც არ შეუძლიათ ჰყავდეთ ერთ ან ორ შვილზე მეტი. გაანგარიშებები გვიჩვენებენ, რომ კვლავწარმოებისათვის საჭირო ოჯახების 30%-ზე მეტს ჰყავდეს ოთხი და მეტი ბავშვი“. მრავალი

წლის შემდეგ სხვა უდიდესმა ამერიკელმა დემოგრაფმა ენსილი კოულმა ავტორიტეტული მოსაზრებებით ფაქტობრივად დაადასტურა გაანგარიშების მართებულობა.¹²

მართლმადიდებელ მორწმუნეთა საკმაოდ დიდი ნაწილი არა მხოლოდ იცავს იმ აზრს, რომ ოჯახში ოთხი და მეტი შვილის ყოლა აუცილებელია, არამედ დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესებისათვის თავისი რეპროდუქციული ქცევითაც ემსახურება ქვეყანას. ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მიუხედავად, მათი მომავალი შვილების რიცხვი რელიგიური მრწამსითაა განპირობებული. ჭეშმარიტი მართლმადიდებელი ქრისტიანების უმრავლესობა თვლის, რომ კიდევ იმდენ შვილს იყოლებს, რამდენსაც ღმერთი მისცემს.

ყოველივე ზემოთქმული ცხადყოფს, რომ საქართველოს დემოგრაფიული ვითარებისადმი ინტერესი, მდგომარეობის შეფასება, გაუმჯობესების გზებისა და საშუალებების განსაზღვრა, მისი გამაუმჯობესებელი ქმედების განხორციელება მართლმადიდებელ მორწმუნეთა შორის ისეთია, რომ იგი მოსახლეობის გაფართოებულ აღწარმოებას უზრუნველყოფს და თუ დღეისათვის მათ შეკვეცილ აღწარმოებას აქვს ადგილი, ეს იმითაცაა განპირობებული, რომ ქართველთა დიდი უმრავლესობა მართლმადიდებელ მორწმუნეთა ცხოვრების წესით არ ცხოვრობს.

მოსახლეობის დაბალმა შემოსავლებმა, შეზღუდულმა ფისკალურმა რესურსებმა და განუვითარებელმა საბაზრო ინსტიტუტებმა, პოლიტიკურმა არასტაბილურობამ, ეკონომიკის დარგობრივმა კრიზისებმა და დაუბალანსებელმა საგარეო ურთიერთობებმა ხელი შეუწყვეს დასაქმების შემცირებას. დაუსაქმებელ მოსახლეობას ხშირად უწევს მუშაობა მოკლევადიან, მცირედანაზღაურებად სამუშაოზე, რაც ხშირად ვერ უზრუნველყოფს მათ მინიმალურ მატერიალურ მოთხოვნებს. შემწეობის მცირე განაკვეთის გამო კვლავაც მაღალია არარეგისტრირებულ უმუშევართა რიცხვი. აქტიური მოსახლეობის დიდი ნაწილი კვლავ უმუშევარია ან ნაკლებ კვალიფიციურ სამუშაოს ასრულებს. ექსპერტთა შეფასებით, დასაქმების მიხედვით საკმაოდ მძიმე მდგომარეობაა 40-60 წლის ადამიანებში. მათი უმრავლესობა დაუსაქმებელია და არ ხდება მათი კვალიფიკაციის შეცვლა. უმუშევრები განსაკუთრებული რისკის წინაშე დგანან, დროთა განმავლობაში კარგავენ კვალიფიკაციას და ამ მიზეზით საერთო დასაქმების შესაძლებლობას. დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, სახელმწიფომ არ უნდა შეზღუდოს შრომითი მიგრაციის მასშტაბი, რამდენადაც მას გარკვეული პოზიტიური მხარეებიც გააჩნია. შრომითი მიგრაციის მეშვეობით საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი აუმჯობესებს თავისი ცხოვრების დონეს და

¹² ბორისოვი ვ., „დემოგრაფია“, თბილისი, 2001 გვ.256.

ხელს უწყობს მოსახლეობის საერთო მსყიდველუნარიანობის ზრდას. ამასთან დაუშვებელია ამ პროცესის სტიქიური განვითარება და საჭიროა კონტროლი სახელმწიფოს მხრიდან.

სამუშაო ადგილების შექმნა მთლიანად არის დამოკიდებული ახალ ინვესტიციებზე და სახელმწიფო სოციალურ-ეკონომიკურ პოლიტიკაზე. მოსახლეობის ეფექტიანი დასაქმების უზრუნველყოფა უმუშევრობის დაძლევა და სრულყოფილი სამუშაო ძალის ბაზრის ჩამოყალიბება სახელმწიფოსაგან სამუშაო ძალის ბაზარზე მეცნიერულად დამუშავებული და დასაბუთებული მაკროეკონომიკური პოლიტიკის აქტიურ გატარებას მოითხოვს.

ცხრილი 12

დასაქმებისა და უმუშევრობის დონის მაჩვენებლები საქართველოში

დასაქმება	2002	2003	2004	2005	2006	2007
სულ აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა) ათასი კაცი	2104.2	2050.8	2041.0	2023.9	2021.8	1965.3
დასაქმებული, ათასი კაცი	1839.2	1814.9	1783.3	1744.6	1747.3	1704.3
უმუშევარი, ათასი კაცი	265.0	235.9	267.6	279.3	274.5	261.0
უმუშევრობის დონე, პროცენტი	12.6	11.5	12.5	13.3	13.6	13.3
საშუალოთვიური ნომინალური ხელფასი, ლარი	113.5	125.9	156.8	204.2	277.9	-

წყარო: საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი www.statistics.ge.

უმუშევრობის დონე 2007 წელს წინა წელთან შედარებით 0,3%-ით შემცირდა., მთლიანად 2002-2007 წლებში ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით 12.6%-დან 13.3%-მდე გაიზარდა. უფრო მწვავეა ქართველ ექსპერტთა ანალიზის შედეგები, მათი ყველა ლიბერალური შეფასებითაც კი უმუშევრობის რეალური დონე ქვეყანაში 30-35%-ის ფარგლებშია.

მიუხედავად იმისა, რომ 2007-2010 წლებში საქართველოს მთავრობის სამოქმედო გეგმის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად აღიარებულია მდგრადი ეკონომიკური ზრდა და დასაქმების ხელშეწყობა, 2010 წელს 2005 წელთან შედარებით ნავარაუდევია უმუშევრობის დონის მხოლოდ 3%-მდე პროცენტული მუხლით შემცირება, რაც რა თქმა უნდა არსებითად ვერ შეცვლის დასაქმების სფეროში არსებულ სიტუაციას და ვერც სიღარიბის დაძლევის სტრატეგიას წაადგება.¹³

სიღარიბის ძირითად გამომწვევ მიზეზს პირველ რიგში უმუშევრობა და მცირე შემოსავალი წარმოადგენს. ოჯახი ღარიბია თუ ძირითადი მოთხოვნილებანი აღემატება მისი დაკმაყოფილების საშუალებებს. დაბალი შემოსავალი დაბალ მსყიდველობით უნარს და უმუშევრობის მაღალ დონეს იწვევს,

¹³ იხ. დოკუმენტი. საქართველოს მთავრობა: ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2007-2010 წლებში” გვ.14

რაც თავის მხრივ ამცირებს დანაზოგისა და ინვესტიციების წილს, ამას მოჰყვება პროდუქციის საწარმოებლად საჭირო კაპიტალიზაციის უკმარისობა, ერთ სულზე დაბალი შემოსავალი და დგება საბოლოო შედეგი – სიღარიბე. დღესდღეობით საქართველოს მოსახლეობის 50%-ზე მეტი საარსებო მინიმუმზე ნაკლებს მოიხმარს და სიღარიბეში ცხოვრობს.

ცხრილი 13

სიღარიბის დონე საქართველოში

ცხოვრების დონე		2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007
სიღარიბის დონე	%	51.8	51.1	52.1	54.5	24.6	24.1	23.3	21.3
სიღარიბის სიღრმე	%	20.2	19.3	19.8	21.1	8.1	7.6	7.2	6.9
სიღარიბის სიმწვავე	%	10.7	9.9	10.3	11.2	4.0	3.6	3.3	3.2

წყარო: საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი www.statistics.ge.

ოფიციალური მონაცემებით სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის ხვედრითი წილი, ჯერ კიდევ 2003წ. 54,5%-ს შეადგენდა, რაც 5,5-ჯერ აღემატება საერთაშორისო კრიტერიუმებით დადგენილ „ზღვრულ-კრიტიკულ“ დონეს (10%). 2005 წლამდე მინიმუმის გაანგარიშება ხდებოდა ნარმატიულ-სტატისტიკური მეთოდით და იგი ეფუძნებოდა 2500კ/კალორიის სასურსათო კალათის ღირებულებასა და მინიმალურ არასასურსათო ხარჯებს. 2005 წლიდან კი საარსებო მინიმუმის გაანგარიშება ხდება სტატისტიკური მეთოდით, რომელიც ეფუძნება მოსახლეობის ყველაზე უქონელი 10%-ის ფაქტობრივ მინიმალურ მოხმარებას. გაანგარიშების მეთოდიკის ცვლილების შედეგად საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმი 2005 წლის იანვრისათვის 138 ლარიდან 84 ლარამდე, ანუ 39%-ით შემცირდა. ამის მიხედვით კორექტირებულია 2004, 2005, 2006, 2007 წლების მონაცემები და სიღარიბის დონემ აღნიშნულ წლებში შესაბამისად 24,6; 24,1; 23,3 და 21,3% შეადგინა. ფაქტია, რომ აღნიშნულ წლებში სიღარიბის დონე 3,3%-ით შემცირდა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ სახელმწიფოს მხრიდან სერიოზული მუშაობაა საჭირო აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად. 2008 წლის მონაცემების მიხედვით (ოქტომბერი) საარსებო მინიმუმის მაჩვენებლებს შემდეგი სახე აქვს:

ცხრილი 14

საარსებო მინიმუმი საქართველოში 2008 წლის ოქტომბერში (ლარი)

შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმი	132.0
საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმი	116.9
საშუალო ოხაჯის საარსებო მინიმუმი	221.4
ოჯახის ტიპი	

ერთ სულიანი	116.9
ორ სულიანი	187.0
სამ სულიანი	210.4
ოთხ სულიანი	233.8
ხუთ სულიანი	263.0
ექვსი და მეტი	310.9

წყარო: სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი www.statistics.ge

ცხრილის მონაცემები მიუთითებს, რომ მართალია საარსებო მინიმუმი ბოლო წლები ციფრობრივად ხასიათდება ზრდის ტენდენციით, მაგრამ ფაქტობრივად, დღევანდელი ინფლაციის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ ის ხასიათდება ნულოვანი ზრდის ტენდენციით. წარმოდგენილია 6 სულიანი ოჯახისათვის საარსებო მინიმუმი იყო 310 ლარი, ხუთსულიანისთვის 263 ლარი და ა.შ შემოსავლების კონცენტრაციის მაჩვენებელი (2007 წლის) ჯინის ინდექსი ფულადი შემოსავლების მიხედვით 0,53-ია, მთლიანი შემოსავლების მიხედვით – 0,45, ფულადი ხარჯების მიხედვით 0,45; მთლიანი ხარჯების მიხედვით 0,41; მთლიანი მოხმარების მიხედვით 0,39, რაც ლათინური ამერიკის სოციალურად ყველაზე უთანასწორო ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებელს შეესაბამება.

სიღარიბის დაძლევის მნიშვნელოვანი მიმართულება და საშუალებაა შემოსავლების განაწილების სამართლიანი და ეფექტიანი პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება. იგი მოიცავს ისეთი საკითხების რეგულირებას, როგორცაა: მინიმალური ხელფასის დადგენა, შემოსავლების ინდექსაცია, სახელმწიფო სექტორში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარება ხელფასის ოდენობისა და დიფერენციაციის საერთო ჩარჩოების დადგენის გზით, შემოსავლების სამართლიანი სისტემის დანერგვა და ა.შ.

ძალზედ მნიშვნელოვანია სიღარიბის დაძლევის მიზნით მსოფლიო ბანკის საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და ევროკავშირის მიერ საქართველოსთვის გაწეული დახმარება, თუმცა, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, აუცილებელია დახმარებისათვის გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მიზნობრიობის ამაღლება და მონიტორინგის ეფექტიანობის ზრდა. გარდა ამისა, აუცილებელია სახელმწიფო ფინანსური რესურსების მაქსიმალურად უფექტიანად და მიზნობრივად ხარჯვა, საბიუჯეტო ხარჯების სოციალური ორიენტაციის გაძლიერებასთან ერთად აუცილებელია რეალური სექტორის განვითარებისათვის ხელშეწყობა, საბიუჯეტო ხარჯების ინვესტიციური ორიენტაციის გაძლიერება, სახელმწიფო ინვესტიციური პოლიტიკის პრაქტიკული რეალიზაციის ყოველმხრივი განვითარება და საბიუჯეტო ინვესტიციების ეფექტიანობის ამაღლება.

რეფორმებს საჭიროებს სოციალური დაცვის სისტემაც. 2006 წლის მდგომარეობით სახელმწიფო პენსია საშუალოდ მომხმარებლის საარსებო მინიმუმის 35%-ს შეადგენდა. მართალია 2007 წ. მოხდა პენსიების მკვეთრი ზრდა, მაგრამ ინფლაციური პროცესების პარალელურად, მათი რეალური ღირებულება სულ უფრო და უფრო კლებულობს.

საქართველოს მთავრობის 2007-2010 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია, რომ ერთი მხრივ ჰარმონიზებულ და გამარტივებულ საბაჟო კანონმდებლობაზე დაყრდნობით, საგარეო ვაჭრობისა და ტრანზიტის მოყვარულობის გადადება ხელს შეუწყობს ეკონომიკურ ზრდას, მეორე მხრივ კი გამარტივებული საბაჟო პოცედურები არაკეთილსინდისიერი გადამხდელების მიმართ მკაცრი ადმინისტრაციული მექანიზმების ამოქმედება, უზრინველყოფს ლეგალური ბიზნესის მასშტაბის გადიდებას.

ცხრილი 15

საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების მაჩვენებლები

საგარეო ეკონ. ურთიერთ. მლნ აშშ დოლარი	2004	2005	2006	2007	2008
საგარეო სავაჭრო ბრუნვა	2492.5	3355.4	4670.4	6456.9	6531.2
საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი (FOB)	646.9	865.5	992.6	1240.2	1352.0
საქონლის რეგისტრირებული იმპორტი (CIF)	1845.6	2490.0	3677.8	5216.7	5179.2
საგარეო ვაჭრობის ბალანსი	-1198.7	-1624.5	-2685.2	-3976.5	-3827.2
პირდ. უცხოური ინვესტიცია საქართველოში	400.1	440.5	1190.4	2014.8	525.2

წყარო: საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი www.statistics.ge.

როგორც ცხრილიდან ჩანს (იხ. ცხრილი 5), 2004-2008 წლებში ადგილი ჰქონდა როგორც ექსპორტის, ისე იმპორტის ზრდას, მაგრამ უარყოფითი სალდო მაინც რჩება და პირიქით, იზრდება კიდევ, რაზეც მეტყველებს ჩვენი ეკონომიკური მდგომარეობა. გამომდინარე აქედან მიზანშეწონილად მიგვაჩნია სახელმწიფოს მხრიდან პროტექციონისტული პოლიტიკის გატარების მიზნით გარკვეული ღონისძიებების გატარება, რაც თავის მხრივ გარკვეულწილად გამოიწვევს საგარეო ვაჭრობის ბრუნვაში ექსპორტის ხვედრითი წილის გადიდებას და შესაბამისად საგარეო ვაჭრობის უარყოფითი სალდოს შემცირებას. როგორც ცხრილიდან ჩანს QQQQ2004-2008 წლებში აღინიშნება უცხოური ინვესტიციების მნიშვნელოვანი მატება. მკვეთრად გაიზარდა ევროპიდან შემოსული კაპიტალის წილი მთლიან ინვესტიციებში: 2007წ. მისმა ზრდამ ნომინალურ გამოსახულებაში 95%-ი შეადგინა, ანუ წინა წელთან შედარებით თითქმის გაორმაგდა, ხოლო 2008

წელს კიდევ უფრო გაიზარდა შიდა მოთხოვნის, მათ შორის საინვესტიციო საქონელზე მოთხოვნის მნიშვნელოვანმა გატარებამ და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდამ უზრუნველყო ბოლო პერიოდში მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპების შენარჩუნება, რაზეც მეტყველებს შემდეგი სტატისტიკური მაჩვენებლები.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები კიდევ უფრო გააღრმავა 2008 წლის აგვისტოს რუსეთთან ომმა.¹⁴ დაინგრა სამოქალაქო და სამხედრო ინფრასტრუქტურა, მათ შორის აეროდრომები, ხიდები, რკინიგზა, შენობები, ნაგებობები, ავტომაგისტრალები, საპორტო ინფრასტრუქტურა, დიდი ზარალი მიადგა საქართველოს ეკოსისტემას, სოფლის მეურნეობას, საბანკო სექტორს, კერძო მეწარმეებს. იზარალეს საქართველოში მოქმედმა უცხოურმა კომპანიებმაც (ქ. ფოთში არაბულ კომპანიას დაუზიანეს 300 ათასი დოლარის ღირებულების ტექნიკა, იზარალეს არენდატორებმაც – 1 მლნ. დოლარის ზარალი მიადგა ქართულ-თურქულ ნავთობის კომპანია „ჩელენ-ენერჯის“) და სხვა.

გარდა მატერიალურ-ნივთობრივი ზარალისა, ომმა საქართველოს საკმაოდ დიდი რეპუტაციული ზარალიც მიაყენა. უპირველეს ყოვლისა, საფრთხე შეექმნა ნავთობისა და გაზის სატრანზიტო არტერიას საქართველოს ტერიტორიაზე და ტურიზმის სფეროს. ტურიზმიდან შემოსავალი საქართველოში უკანასკნელ 3-4 წელიწადში 5-ჯერ გაიზარდა. აღნიშნული სფეროს მეურნეობა საკმაოდ წარმატებით ვითარდებოდა. ცხადია საომარმა მოქმედებებმა დააფრთხო უცხოელი ტურისტები და მოსალოდნელია, რომ რეპუტაციის შელახვის გამო, მათი ნაკადი არსებითად შემცირდება. აღნიშნული სიტუაციის გამო მოხდა სახელშეკრულებო ვალდებულებების დროში გადაწევა, რაც რა თქმა უნდა მასში მონაწილე მხარეებისათვის ზარალის შემცველია. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ომის შედეგად მიღებული ზარალი შეაფასა დაახლოებით 1 მილიარდი დოლარით, ხოლო საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ ზარალის სიდიდე 3-4 მილიარდით შეფასდა.

მაშასადამე, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში ბევრი ღონისძიებები ტარდება სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი პრობლემების აღმოსაფხვრელად, მაინც სავალალო მდგომარეობაა მოცემულ სფეროებში სისტემურ-სტრუქტურული დეფორმაციებიდან გამომდინარე, რაც მოითხოვს ინოვაციურ მიდგომას აღნიშნული პრობლემების მოსაგვარებლად.

¹⁴ შესხია ი., „ომი და ეკონომიკა“, ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“, №5, 2008 გვ 7-8.

ფინანსური კონტროლი და ინტერესთა კონფლიქტი ფინეთის მუნიციპალიტეტებში¹⁵

ეკონომიკური გამჭირვალეობის საერთაშორისო ორგანიზაციის მიხედვით, ფინეთი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად კორუმპირებული ქვეყანაა. ფინეთის მაღალკონკურენტუნარიანობა მნიშვნელოვანწილად ეფუძნება მისი საჯარო ადმინისტრაციის მიერ უზრუნველყოფილი სამსახურების დონესა და საიმედოობას.

ფინეთის 348 მუნიციპალიტეტში დასაქმებულია 424 ათასი ადამიანი, ხოლო მუნიციპალური საბჭოები კი მთლიანობაში მოიცავს 10 412 წევრს. **საშუალო ზომის მუნიციპალიტეტს ეკუთვნის 15 300 მოსახლე, 1218 მასთან მომუშავე პირი და საბჭოს 30 წევრი.** მუნიციპალიტეტის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს მუნიციპალური საბჭო, რომლის წევრებსაც ადგილობრივი არჩევნების გზით ირჩევენ ყოველ ოთხ წელიწადში. ფინეთის მუნიციპალიტეტების ოფისებს მართავს მუნიციპალიტეტის მენეჯერი, რომელსაც ნიშნავს მუნიციპალური საბჭო. მუნიციპალური საბჭოს გადაწყვეტილებების მომზადებასა და განხორციელებას უძღვება მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი საბჭო, რომელიც შედგება ადგილობრივი პოლიტიკოსებისაგან.

ფინეთის მუნიციპალიტეტებს გააჩნიათ საკუთარი **თვითმმართველობა**, ანუ მუნიციპალიტეტები ფუნქციონირებენ მუნიციპალურ საბჭოთა დახმარებით, რომლებსაც ირჩევენ ადგილობრივი დემოკრატიული არჩევნების გზით. ეს საბჭოები თავად წყვეტენ როგორ მართონ თავიანთი ბიუჯეტი და მომსახურებები. მათ უნდა იმუშაონ მოქმედი კანონების შესაბამისად, მაგრამ ძირითადად **სახელმწიფო ორგანოები არ აკონტროლებენ მუნიციპალიტეტის ფინანსურ მენეჯმენტს**, არც მუნიციპალურ ბიუჯეტს, სამოქმედო გეგმებსა თუ ანგარიშებს. მუნიციპალური შემოსავლების დიდი ნაწილი დამოკიდებულია მუნიციპალური საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებსა და მოქმედ კანონებზე. სახელმწიფო პირების მიერ სახელმწიფო ფულის მუნიციპალიტეტისადმი გადაცემის შესაძლებლობა უკიდურესად შეზღუდულია. სახელმწიფო გრანტები ეფუძნება მათემატიკურ ფორმულებს, რაც საშუალებას არ იძლევა გათვალისწინებული იქნეს ინდივიდუალური მოსაზრებები კონკრეტული მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ. სამხარეო ხელისუფლებას არ შეუძლია ჩაერიოს მუნიციპალიტეტის საკითხებში, გარდა შემთხვევებისა, როცა მუნიციპალიტეტი არღვევს კანონს, ან როცა პიროვნება წერილობითი ფორმით საჩივრით მიმართავს სამხარეო ხელისუფლებას.

გუბერნატორს არ აქვს უფლება გადაწყვიტოს მუნიციპალიტეტისათვის სახელმწიფო გრანტების გადაცემის საკითხი. მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და დოკუმენტები საჯაროა და მუნიციპალიტეტის მოსახლეობას სრული უფლება აქვს გაასაჩივროს ისინი. მოქალაქეებს მარტივად შეუძლიათ შეამოწმონ ნებისმიერი მუნიციპალური გადაწყვეტილების კანონიერება რაიონულ სასამართლოში საჩივრის შეტანის გზით. ფინეთში **მუნიციპალიტეტის კონტროლი ძირითადად ეკუთვნის მოქალაქეებსა და თავად მუნიციპალიტეტს.** ბევრ სხვა ქვეყანაში სახელმწიფო ორგანოები მუნიციპალიტეტებს უფრო მეტად აკონტროლებენ ვიდრე ფინეთში.

ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რაზეც დამყარებულია მუნიციპალური ღონისძიებები, მუნიციპალიტეტის საქმიანობისა და ფინანსების კონტროლი, არის **მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.** მუნიციპალური საბჭო ბიუჯეტს ამტკიცებს ყოველწლიურად მომდევნო წლისათვის, ყოველი კალენდარული წლის ბოლოს. ბიუჯეტი წარმოადგენს მომდევნო სამი წლის ფინანსური გეგმის

¹⁵ იბეჭდება მცირეოდენი შემოკლებით

ნაწილს. ეს დოკუმენტები აგრეთვე უნდა მოიცავდეს მუნიციპალური ღონისძიებებისა ფინანსების მიზნებს გათვლილს დაგეგმილი პერიოდისათვის. ამ გზით მუნიციპალიტეტის ფინანსური და სამოქმედო გეგმა ყოველთვის ფარავს მომდევნო სამ წელიწადს, თუმცა მას ყოველწლიურად ანახლებენ.

ფინურ მუნიციპალიტეტებს გააჩნიათ ფართო ამოცანები და პასუხისმგებლობები. ეს აგრეთვე ნიშნავს იმასაც, რომ მათ აქვთ გაცილებით დიდი ბიუჯეტები. ფინეთის მუნიციპალური ბიუჯეტების საერთო ოდენობა დაახლოებით ისეთივე დიდია, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტი. 2009 წელს ფინეთის მუნიციპალიტეტთა ბიუჯეტი საშუალოდ შეადგენს 6850 ევროს ერთ მოსახლეზე.

ყოველ წელს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა საბჭომ გასული კალენდარული წლის შესახებ უნდა მოამზადოს **ფინანსური ანგარიშები**, რომელსაც დაამტკიცებს მუნიციპალური საბჭო. ფინანსურ ანგარიშებში შედის რამდენიმე დოკუმენტი. ესენია: კალენდარული წლის მანძილზე მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული საქმიანობების ანგარიში, ბიუჯეტის მიმოხილვა, მოგებისა და ზარალის ანგარიში, ფინანსურ მდგომარეობაში ცვლილებების შესახებ ანგარიში, საბუღალტრო ბალანსის უწყისი და დანართები.

ფინანსური ზედამხედველობა და კონტროლი მუნიციპალიტეტებში

თითოეულ მუნიციპალიტეტს უნდა გააჩნდეს საიმედო **ფინანსური კონტროლის სისტემა**. ეს სისტემა შეიძლება დაიყოს შიგა და გარე კონტროლებად.

კონტროლისა და ზედამხედველობის სისტემის ძირითადი პრინციპები ჩამოყალიბებულია “**ადგილობრივი ხელისუფლების შესახებ**” კანონში. თუმცა გათვალისწინებული უნდა იქნეს ასევე “**ანგარიშწარმოების კანონი**” და “**ანგარიშწარმოების დეკრეტი**”. თითოეულ მუნიციპალიტეტს უნდა ჰქონდეს საკუთარი შიგა **წესდებები მუნიციპალური ოფისისა და მუნიციპალური ადმინისტრაციის შესახებ**. ადმინისტრაციული წესდება უფრო მნიშვნელოვანია მუნიციპალური ფინანსების ზედამხედველობის და კონტროლისათვის და შესაძლოა შეიცავდეს შესაბამის მუხლებს. თუმცა ფინეთის მუნიციპალური საბჭოების უმრავლესობას დამტკიცებული აქვს ცალკე **წესდებები ფინანსური კონტროლის შესახებ**.

შიგა კონტროლი. შიგა კონტროლი წარმოადგენს მუნიციპალური საქმიანობებისა და ფინანსების ზედამხედველობისა და უწყვეტი მენეჯმენტის განუყოფელ ნაწილს. შიგა კონტროლის მიზანია:

- სუბრუნველყოს საქმიანობების დადებითი შედეგები;
- სუბრუნველყოს დასახული მიზნების განხორციელება;
- სუბრუნველყოს საბუღალტრო აღრიცხვისა და საინფორმაციო სისტემის საიმედოობა;
- გგაკონტროლოს ქონების მართვა;
- გგაკონტროლოს ფულადი სახსრების გამოყენება;
- სუბრუნველყოს რისკის მართვის სისტემების სათანადო ფუნქციონირება;
- სუბრუნველყოს არსებული წესებისა და ინსტრუქციების დაცვა.

შიგა კონტროლის ობიექტებია: მომარაგება, ხელფასის გადახდა, დღგ-ს შემცირება და შემოსავალი, საინფორმაციო სისტემების უსაფრთხოება და ფინანსური მხარდაჭერისა და დახმარების გადასახადები.

შიგა კონტროლის ორგანიზების პასუხისმგებლობა აკისრია მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ საბჭოს, ხოლო მისი განხორციელება ევალება მუნიციპალიტეტის მენეჯერს. **შიგა სარევიზიო ჯგუფი**

ამზადებს იმ ღონისძიებათა ანალიზს, შეფასებებს, რეკომენდაციებს, რჩევებსა და ინფორმაციას, რომლებსაც თავად აკონტროლებს.

40-100 000 მოსახლეობის მქონე ფინეთის ქალაქებს ჩვეულებრივ 1-3 სრული განაკვეთით დასაქმებული პირი ჰყავთ შიგა სარეზერვო ჯგუფში. უფრო პატარა მუნიციპალიტეტებს, რომლებსაც მიეკუთვნება 40 00-ზე ნაკლები მოსახლე, არ გააჩნიათ ასეთი ჯგუფები. მსგავს ამოცანებს ასრულებს გარე ფინანსური კონტროლის ექსპერტი ან ფირმა. პატარა მუნიციპალიტეტებში შიგა კონტროლს შესაძლოა დასჭირდეს წელიწადში ორი კვირის სამუშაო. მუნიციპალიტეტის ოფიციალურ აუდიტს უფლება არ აქვს შეასრულოს შიგა კონტროლის ამოცანები იმავე მუნიციპალიტეტში.

გარე კონტროლი. გარე კონტროლი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობისაგან დამოუკიდებლად მუშაობს. გარე კონტროლისათვის ფინეთის ყველა მინიციპალიტეტმა უნდა დანიშნოს საკუთარი სააუდიტო კომიტეტი და ფინანსური აუდიტორი, რომელთაგან ორივეს საკუთარი ამოცანები გააჩნია.

სააუდიტო კომიტეტი. მუნიციპალური საბჭო საკუთარი ვალდებულების შესრულების ვადის დასაწყისშივე მთელი მომდევნო ოთხი წლის პერიოდისთვის ნიშნავს **სააუდიტო კომიტეტს**, რათა მან კონტროლი გაუწიოს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციასა და ფინანსებს. მაკონტროლებელი კომიტეტის მოვალეობები გრძელდება მუნიციპალური საბჭოს ბოლო ფინანსური წლის კონტროლის დასრულებამდე. კომიტეტის თავმჯდომარე და თავმჯდომარის მოადგილე უნდა იყვნენ მუნიციპალური საბჭოს წევრები. ფინეთში კომიტეტის წევრთა ადგილები ნაწილდება სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიებს შორის მუნიციპალურ საბჭოში მათი ადგილების წილის მიხედვით. აქედან გამომდინარე, სააუდიტო კომიტეტი, სხვა მუნიციპალურ კომიტეტთა მსგავსად, შედგება სხვადასხვა პარტიების, მათ შორის პატარა პარტიების, წარმომადგენლებისაგან. სააუდიტო კომიტეტის საშუალებით ყველა პარტიის წარმომადგენელი ღებულობს თავიანთი პოლიტიკური კონკურენციისათვის აუცილებელ ინფორმაციას. მუნიციპალიტეტის ფინანსური მენეჯმენტის ირგვლივ გამართული ღია დისკუსიები ავითარებს დემოკრატიას და ხელს უწყობს ღონისძიებათა ღონის გაუმჯობესებას.

სააუდიტო კომიტეტი ჩატარებული შეფასების შესახებ ადგენს **შეფასების ანგარიშს**, რომელიც ეფუძნება მუნიციპალიტეტის ფინანსურ ანგარიშებსა და მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი საბჭოს მიერ მომზადებულ სამოქმედო ანგარიშს.

აუდიტორი. სააუდიტო კომიტეტის წინადადების საფუძველზე მუნიციპალური საბჭო საკუთარი ვადის დასაწყისში მომდევნო ოთხი წლის პერიოდისათვის ნიშნავს ერთ ან რამდენიმე აუდიტორს, რომლებიც განახორციელებენ მუნიციპალური ადმინისტრაციისა და საფინანსო საქმიანობის აუდიტს. მუნიციპალური საბჭოების სამოქმედო ვადა ფინეთში ძირითადად სამწლიანი პერიოდისთვისაა გაწერილი. აუდიტორი უნდა იყოს ინდივიდუალური ექსპერტი ან ორგანიზაცია, რომელთაც ჩარტერს აძლევს აუდიტის ეროვნული საბჭო (ჩარტერული აუდიტორი ან ჩარტერული სააუდიტო ფირმა). თუ აუდიტის პასუხისმგებლობა აღებული აქვს რომელიმე ფირმას მან უნდა დანიშნოს ჩარტერული აუდიტორი, როგორც პასუხისმგებელი აუდიტორი. ფინეთის მუნიციპალიტეტების უმრავლესობას გააჩნია ფინანსების კონტროლის საკუთარი წესები, რომლებიც უნდა დაიცვას ჩარტერულმა სააუდიტო ფირმამ (მაგ., 2004 წლის ბოლოს ჩარტერული აუდიტორების სიაში შედიოდა 216 ჩარტერული აუდიტორი და 11 ჩარტერული სააუდიტო ფირმა).

საჭიროების შემთხვევაში მუნიციპალურ საბჭოსა და სააუდიტო კომიტეტს შეუძლია **მითითებები მისცეს აუდიტორს**. ამ უკანასკნელმა უნდა შეასრულოს ისინი, თუ ეს მითითებები არ ეწინააღმდეგება კანონს, მუნიციპალიტეტის წესდებსა და სააუდიტო პრაქტიკას. აუდიტორმა სამართლიანი აუდიტის პრაქტიკის ფარგლებში უნდა განიხილოს:

- **ადგილობრივი უფლებამოსილება** განხორციელდა თუ არა კანონისა და საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად;

- აადგილობრივი ორგანოს ფინანსური ანგარიშები და კონსოლიდებული ბალანსის უწყისი შედგენილია თუ არა შეკრებილი ფინანსური ანგარიშების წესებისა და დადგენილებების შესაბამისად და იძლევიან თუ არა ისინი ადეკვატურ ინფორმაციას ფინანსური წლის განმავლობაში არსებული ოპერაციების, ფინანსების, ფინანსური განვითარებისა და დავალიანებების შესახებ;
- არის თუ არა სწორი სამთავრობო გრანტების გამოყენების საფუძველზე არსებული ინფორმაცია;
- არის თუ არა ადგილობრივი ორგანოს შიგა კონტროლი სათანადოდ ორგანიზებული.

აუდიტი აგრეთვე მოიცავს მუნიციპალური აქტივების მართვის შეფასებას. მაგალითად, აუდიტორს შეუძლია გააკონტროლოს არის თუ არა მუნიციპალური აქტივების სია სწორი თანმიმდევრობით მოცემული და აღრიცხული ქონება, მოწყობილობები და იარაღები არის თუ არა კარგ სამუშაო მდგომარეობაში.

მუნიციპალიტეტის პასუხისმგებელი ორგანოები. მათში შედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი საბჭო, მუნიციპალიტეტის მენეჯერი და სხვადასხვა დეპარტამენტების ხელმძღვანელები, რომლებიც პასუხს აგებენ დეპარტამენტებში მომსახურე პირების მუშაობაზეც. **ანგარიშების პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება** გულისხმობს მუნიციპალური საბჭოს მიერ ყოველწლიურად მიღებულ გადაწყვეტილებას, რომლის თანახმად ფინანსური წლის მანძილზე პასუხისმგებელი მუნიციპალური ორგანოები მათთვის მისაღები გზით მართავენ მუნიციპალურ ფინანსებს; თუ სააუდიტო კომიტეტი ან აუდიტორი აღმოაჩენს, რომ მუნიციპალურ ფინანსებზე პასუხისმგებელმა პირმა ჩაიდინა **დანაშაული** სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, მათ ეს საქმე დაუყოვნებლივ უნდა გადასცენ პოლიციას გამოსაძიებლად. თუ აუდიტორი ასე არ მოიქცევა, ეს ნიშნავს მოვალეობის უგულვებელყოფას და დანაშაულის დაფარვას. ამ შემთხვევაში აუდიტორიც დამნაშავედ მიიჩნევა და ამაზე შესაძლოა პასუხისმგებლობა დაეკისროს. აუდიტი არ მოიცავს კრიტიკას მუნიციპალური საბჭოს კანონიერად მოქმედი გადაწყვეტილებების შეუსაბამობის წინააღმდეგ. თუმცა აუდიტორს შეუძლია წარმოადგინოს საკუთარი შეხედულებები შესაძლო ნაკლის ან დასახული მიზნების, გადაწყვეტილებების მომზადებისა და განხორციელების პროცესში მოულოდნელი ეფექტების შესახებ.

ფინანსების მენეჯმენტში არსებული მცირე პრობლემების უმრავლესობა შეიძლება მოგვარდეს საკონსულტაციო რეკომენდაციებით, რომლებიც შესულია აუდიტის ჩანაწერებში. დარღვევებისა ან ფულადი სახსრების არასწორად გამოყენების შემთხვევებს ფინეთის 348 მუნიციპალიტეტიდან ყოველწლიურად პოულობენ მხოლოდ 20-30 მუნიციპალიტეტში. მათგან დაახლოებით ათი შემთხვევა ყოველწლიურად გადაეცემა სასამართლოს.

ყოველ წელს ფინეთში დაახლოებით ათ მუნიციპალიტეტის მენეჯერს უწევს თანამდებობის დატოვება. როდესაც საბჭო ათავისუფლებს მუნიციპალიტეტის მენეჯერს, მან თავის გადაწყვეტილებაში უნდა მიუთითოს გათავისუფლების მიზეზები. მუნიციპალიტეტის მენეჯერის სამსახურიდან დათხოვნის მიზეზი შეიძლება იყოს სუსტი ფინანსური მენეჯმენტი ან მუნიციპალური ორგანიზაციის მართვაში კომპეტენტურობის ნაკლებობა.

კონცერნის აუდიტი. კანონი “ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ” არ შეიცავს დადგენილებებს კონცერნის აუდიტის შესახებ (მუნიციპალურ კონცერნში შედის მუნიციპალიტეტი და მუნიციპალური ორგანიზაციები, რომელთა აქტივების 50%-ზე მეტს ფლობს მუნიციპალიტეტი). ფინეთის მუნიციპალიტეტთა უმრავლესობა სარგებლობს კონცერნის წესდებებით, რომელთა მიხედვით მუნიციპალური ორგანიზაცია იყენებს იგივე აუდიტორს ან სააუდიტო ფირმას, რასაც მუნიციპალიტეტი. მუნიციპალიტეტის ფინანსური ანგარიშები უნდა შეიცავდეს მუნიციპალური კონცერნის ბალანსის უწყისს დანართებთან ერთად. აქედან გამომდინარე, მუნიციპალური საბჭო ფინანსური ანგარიშებისა და მუნიციპალური კონცერნის ბალანსის უწყისის დამტკიცებით ამავე დროს იღებს გადაწყვეტილებებს მუნიციპალური ორგანიზაციების ფინანსებთან დაკავშირებით.

ყველა მუნიციპალიტეტის მსგავსად მუნიციპალურ ორგანიზაციაშიც აუდიტი ტარდება ყოველწლიურად.

ინტერესთა კონფლიქტი. მუნიციპალიტეტის სანდოობა თავისი მოსახლეობის მიმართ გულისხმობს, რომ გადაწყვეტილებების მიმღებნი და თანამდებობის პირები საკუთარი მოვალეობის შესრულებაზე ნეიტრალურად ზრუნავენ მოსახლეობის სასარგებლოდ და არა საკუთარი კეთილდღეობისათვის. ეს ფაქტი უზრუნველყოფილია “ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონში”, მუხლებით დისკვალიფიკაციის შესახებ. **დისკვალიფიკაცია ან არაკომპეტენტურობა** ნიშნავს პიროვნებასა და დისკვალიფიკაციის საკითხს შორის ან პიროვნებებს შორის ისეთ დამოკიდებულებას, რომელიც საფრთხეს უქმნის ნეიტრალურობას განსაზღვრულ საკითხზე მუშაობის დროს. ფინეთში დისკვალიფიცირებული პიროვნება მონაწილეობას ვერ მიიღებს გადაწყვეტილების მიღების ან იმ საკითხის მომზადების პროცესში, რომელშიც მას მისცეს დისკვალიფიკაცია. თუ ასეთი პიროვნება მონაწილეობას მიიღებს საკითხის მომზადების ან გადაწყვეტილების მიღების პროცესში, გადაწყვეტილება არასწორი გზით იქნება მიღებული და ის შეიძლება გაუქმდეს რაიონულ სასამართლოში აპელაციის შეტანის შემდეგ. მუნიციპალიტეტის ნებისმიერ მცხოვრებს შეუძლია შეიტანოს ასეთი აპელაცია გადაწყვეტილების მიღებიდან ერთი თვის განმავლობაში.

მუნიციპალიტეტის საბჭოს წევრის, მუნიციპალიტეტში დასაქმებული პირისა და აუდიტორის გარდა სხვა არჩეული თანამდებობის პირის დისკვალიფიკაციის საკითხი რეგულირდება კანონით “საჯარო ადმინისტრაციის შესახებ”.

მუნიციპალური ორგანიზაციის წევრებს, რომლებიც ინიშნებიან როგორც მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები, დისკვალიფიკაცია ეძლევათ მუნიციპალური გადაწყვეტილებების გამოტანაში.

ქვემოთ ჩამოთვლილია რამდენიმე კანონდარღვევის მაგალითი, რომელიც შესაძლოა გახდეს დისკვალიფიკაციის მიზეზი:

- ქალაქის მერი ამზადებს და ხელს აწერს კონტრაქტს მუნიციპალიტეტის იმ მიწის ან შენობის გაყიდვაზე, რომელიც გაფორმებულია მერის მეუღლის სახელზე.
- მუნიციპალიტეტის საბინაო კომიტეტის წევრი მონაწილეობს ისეთი გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რომლის შედეგად მუნიციპალიტეტი ბინას ქირაობს ამ წევრის ვაჟიშვილისთვის.
- სამშენებლო კომპანიის მმართველი დირექტორი, როგორც მუნიციპალური საბჭოს წევრი, მონაწილეობს ისეთი გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რომლის შედეგად სამშენებლო პროექტი უნდა გადაეცეს მის მიერ მართულ კომპანიას.

დისკვალიფიცირებულ პიროვნებას არც საკითხის განხილვის პროცესში მონაწილეობის და არც ამ პროცესზე დასწრების უფლება აქვს. დისკვალიფიკაცია ეხება პროცესის ყველა ეტაპს. დისკვალიფიკაციის შესახებ **უწყების**, შეფასებისა და გადაწყვეტილების უფლება ეკუთვნის თავად ფიზიკურ პირს. თუ ეს შემთხვევა გაურკვეველია, უმჯობესია თავი აარიდონ საკითხის განხილვაში მონაწილეობას. თუ პიროვნებამ იცის, რომ ის დისკვალიფიცირებულია ან არ არის დარწმუნებული საკუთარ დისკვალიფიკაციაში, მან თავად უნდა მიაწოდოს ინფორმაცია საბჭოს ამ საკითხთან დაკავშირებით. საჯარო ადმინისტრაციის შესახებ კანონის თანახმად **ფიზიკურ პირთან დაახლოებულ პირებად** ითვლებიან:

1. მეუღლე, შვილი, შვილიშვილი, ღვიძლი და-ძმა, ბებია და ბაბუა ან მასთან განსაკუთრებით ახლოს მყოფი ადამიანი ან ამ პიროვნების მეუღლე.
2. მშობლების და ან ძმა, ან მათი მეუღლეები, დისშვილი ან ძმისშვილი და პირველი მეუღლე.
3. მეუღლის შვილი ან შვილიშვილი, ღვიძლი და-ძმა, მშობლები და ბებია-ბაბუა და მეუღლის დისშვილი ან ძმისშვილი.

დადგენილებები ფინანსური კონტროლისა და დისკვალიფიკაციისადმი დამორჩილების შესახებ მუნიციპალიტეტებში პერიოდულად დგება დღის წესრიგში. ზემოთაღნიშნული საკითხები ხშირად აღარ განიხილება და არც დიდი გამოწვევები შეინიშნება ამ სფეროში. ფინეთის მუნიციპალიტეტებმა

წარმატებით აიცილეს თავიდან მსგავსი სირთულეები, რადგან ხალხი ენდობა მუნიციპალიტეტებს და მუნიციპალურ მომსახურებებს. რასაკვირველია, კონსტრუქციული კრიტიკა დროდადრო თავს იჩენს, რაც აუცილებელია საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებისათვის.

საბიუჯეტო ორგანიზაციებში მატერიალური მარაგების აღრიცხვის თავისებურებები

საბიუჯეტო ორგანიზაციებში ბუღალტრული აღრიცხვის მოწესრიგება წარმოებს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის M¹1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის @ "ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ" მოთხოვნების შესაბამისად. ადრე მოქმედი ინსტრუქციისაგან განსხვავებით მატერიალური მარაგები დაჯგუფდება სტრატეგიულ და სხვა მატერიალურ მარაგებად. მატერიალური მარაგები მოიცავს ორგანიზაციის მფლობელობაში არსებულ ისეთ მარაგებს, რომლებიც: ა) გამოხატულია საქონლის, ან მარაგის ფორმით და იხარჯება საწარმოო პროცესში, ბ) გამოხატულია საქონლის, ან მარაგის ფორმით და იხარჯება ან ნაწილდება მომსახურების გაწევის პროცესში, გ) ინახება გასაყიდად ან გასანაწილებლად სამეურნეო საქმიანობის პროცესის ნორმალური მიმდინარეობისას, ან დ) გამოიყენება გასაყიდი ან გასანაწილებელი პროდუქციის წარმოების პროცესში. ინსტრუქციის შესაბამისად მატერიალური მარაგები მიეკუთვნება წარმოებულ აქტივებს და გაერთიანებული არაფინანსურ აქტივებში.

საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფ ორგანიზაციებში სტრატეგიული მარაგები არის სტრატეგიული მნიშვნელობის რესურსები, რომლებსაც ქვეყნისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, ინახება სტრატეგიული მიზნებისა და საგან-გებო შემთხვევებისათვის; ასევე საქონელი, რომელიც ინახება ბაზრის მარ-ეგულირებელი ორგანოების მიერ, დეფიციტის აღმოსაფხვრელად. სხვა მატერიალურ მარაგებს მიეკუთვნება: ნედლეული და მასალები, დაუმთავრებელი წარმოება, მზა პროდუქცია, შემდგომი რეალიზაციისათვის შექმნილი საქონელი, ფულადი დოკუმენტები, სათადარიგო ნაწილები (მიუხედავად მათი ღირ-ებულებისა), მცირეფასიანი და სწავცვეთადი საგნები (მატერიალურ-ნივთობრივი ფასეულობები, რომლებიც ორგანიზაციების მიერ ერთ წელზე მეტი ვადით გამო-იყენებიან მრავალჯერადად ან განუწყვეტლივ, მხოლოდ 500 ლარზე ნაკლები ღირებულების) და სხვა დანარჩენი მატერიალური მარაგები.

მატერიალური მარაგების მიღება აისახება მაშინ, როდესაც ადგილი აქვს მატ-ერიალური მარაგების შემენას, წარმოებას ან სხვა ფორმით მიღებას. მატ-ერიალური მარაგების მიღებაზე,შენახვასა და გაცემაზე პასუხისმგებლობა ეკის-რებათ მატერიალურად პასუხისმგებელ პირებს.

მატერიალური მარაგები უნდა ინახებოდეს სპეციალურად მოწყობილ საწყობებში, რომელშიც მარაგების განლაგება საშუალებას უნდა იძლეოდეს მათი მიღების, გაცემისა და ინ-ვეტარიზაციის ჩატარების ოპერაციების შეუფერხებელი შესრულებისათვის. მატერიალურად პასუხისმგებელი პირის შეცვლისას ტარდება მარაგების ინვეტარიზაცია და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე მოხდება გად-აბარება ახლად დანიშნულ მატერიალურ პასუხისმგებელ პირზე. მატერიალური მარაგები შემოსავალში აიღება მიღება-ჩაბარების აქტის, ან მარაგების მიღების სამეურნეო მოვლენის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტების საფუძველზე. მომ-წოდებლის საბუთების მონაცემებთან განსხვავების შემთხვევაში შედგება მხოლ-ოდ მიღება-ჩაბარების აქტი ორ ეგზემპლარად, საწყობში მიღებაზე პასუხის-მგებელი პირისა და მიმწოდებლის ან დაინტერესებული ორგანიზაციის წარ-მომადგენლის მონაწილეობით. აქტის ერთი ეგზემპლარი გამოიყენება მიღებული მარაგების აღრიცხვისათვის, ხოლო მეორე_საპრეტენზიო წერილების გასაგზავ-ნად მომწოდებელზე.

საწყობში არსებული მატერიალური მარაგები ბუღალტერიაში აისახება დასახელებისა და მატერიალურად პასუხისმგებელი პირების მიხ-ედვით, რაოდენობრივად და თანხობრივად. საწყობიდან მარაგების გაცემა წარ-მოებს ფირმის ხელმძღვანელის მიერ დამოწმებული შემდეგი დოკუმენტებით:

ა) ზედღებული (მოთხოვნა)_საწყობიდან მასალების გაცემისას და ორგანიზაც-იის შიგნით მასალების გადასადგილებლად;

ბ) მენიუ_მოთხოვნა_ გამოიყენება საწყობიდან კვების პროდუქტების გასაცემ-ად. მენიუ_მოთხოვნა დგება ყოველდღიურად, კვების პროდუქტების დადგენილი ნორმებისა და კვებაზე მყოფთა რაოდენობის შესახებ მონაცემების საფუძველზე. მენიუ_მოთხოვნა კვების პროდუქტების გაცემასა და მიღებაზე შესაბამისი პირის ხელმოწერით გადაეცემა ბუღალტერიას გრაფიკით დადგენილ ვადებში.

გ) მასალების გაცემის უწყისი_გამოიყენება სამეურნეო, სასწავლო და სხვა მიზნებისათვის მარაგების გასაცემად;

დ) საგზურის ფურცელი_გამოიყენება ავტომანქანის ბენზინის ხარჯებში ჩამ-ოწერისათვის. ბენზინი ჩამოიწერება ფაქტობრივი ხარჯვის მიხედვით, მაგრამ არა უმეტეს იმ ნორმებისა, რომელიც დამტკიცებულია ცალკეული მარკის ავტო-მანქანისათვის;

ე) სასაქონლო ზედნადები_წარმოადგენს აღრიცხვის დოკუმენტს, რომლითაც დასტურდება ქვეყნის შიგნით საქონლის მიწოდების ფაქტი და რომლის გარეშე აკრძალულია საქონლის ტრანსპორტირება, შენახვა და რეალიზაცია.

მატერიალური მარაგების მიღება ხდება ღირებულებით, რომელიც მოიცავს მათ შემენასთან, წარმოებასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს. მარაგების შემენის დანახარჯები მოიცავს: მათი შემენის ფასს, საბ-აჟო გადასახადს იმპორტზე, დაუბრუნებადი გადასახადების ჩათვლით, სატრანს-პორტო, დამზადების ხარჯებს და ყველა იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული ნედლეულის და მასალების, დაუმთავრებელი წარმოების, მზა პროდუქციის, შემდგომი რეალიზაციისათვის შემენილი საქონლის, ფულადი დოკუმენტების, სათადარიგო ნაწილების და სხვა მატერიალური მარაგების შემ-ენასთან.

სავაჭრო დათმობა, სავაჭრო დანამატი არ ჩაირთვება მატერიალური მარაგების შემენის დანახარჯების განგარიშებაში.

საბიუჯეტო ორგანიზაციებში ბუღალტერია სისტემატურ კონტროლს ახორციელებს საწყობში მატერიალური მარაგების შემოსავალსა და ხარჯვაზე, რისთვისაც მარაგების ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემებს ადარებს საწყობში წარმოებულ ჩანაწერებს.

მატერიალური მარაგებით განხორციელებულ ოპერაციებს წარმოადგენს:

- 1) მიღების ოპერაციები_კერძოდ, მათი შემენა, უსასყიდლოდ გადმოცემა და ადგილზე წარმოება;
- 2) გასვლის ოპერაციები_მატერიალური მარაგების გაყიდვა, უსასყიდლოდ გადაცემა და მოხმარება.

საბიუჯეტო ორგანიზაციებში მატერიალური მარაგების შემენა ხდება როგორც ნაღდი, ისე უნაღდო ანგარიშსწორებით, ნებაყოფლობითი ტრანსფერებით-უსასყიდლოდ, გრანტებით და ასევე სხვა კრედიტორული დავალიანებებით. მატ-ერიალური მარაგების გასვლაც ხდება როგორც ნაღდი ისე უნაღდო ანგარიშს-წორებით, ნებაყოფლობითი ტრანსფერებით_უსასყიდლოდ, გრანტებით და ასევე სხვა დებიტორული დავალიანებებით, მატერიალური მარაგების საკუთარი მოხ-მარებისათვის გამოყენებით.

მატერიალური მარაგების აღრიცხვისათვის გამოიყენება სინთეზური ანგარიში 2200 ჯგუფი_"მატერიალური მარაგების"_ანგარიშები. მოცემულ ჯგუფში მატერი-ალური მარაგების სახეებისა და დანიშნულებიდან გამომდინარე გათვალისწინებ-ულია შემდეგი ანგარიშები:

2210_სტრატეგიული მარაგები;

2220_სხვა მატერიალური მარაგები;

2221_ნედლეული და მასალები;

2222_დაუმთავრებელი წარმოება (მომსახურება);

2223_მზა პროდუქცია;

2224_შემდგომი რეალიზაციისათვის შექმნილი საქონელი;

2225_ფულადი დოკუმენტები;

2226_სათადარიგო ნაწილები;

2227_სხვა დანარჩენი მატერიალური მარაგები.

ეს ანგარიშები არის აქტიური, საბალანსო, ძირითადი ანგარიშები. რომელზეც აღირიცხება ორგანიზაციების საკუთრებაში მყოფი მატერიალური მარაგები. ამ ანგარიშების დებეტში ჩაიწერება მათი მიღება, ხოლო კრედიტში გასვლა.

თვალსაჩინოებისათვის მოვიტანოთ პრაქტიკული მაგალითები და რომლებიც ნათლად გვიჩვენებს მატერიალური მარაგების აღრიცხვის თავისებურებებს.

1. საჯარო სამართლის იურდიულმა პირმა შეიძინა ხის მასალა, რომლითაც წარმოებული უნდა იქნას მაგიდები, შემდგომი გადახდის პირობით. ბუღალტრულად გატარდება შემდეგნაირად:

დებეტი_2221 _"წედლეული და მასალა"

კრედიტი -3210 _"ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან"

2. საჯარო სამართლის იურდიულმა პირმა დახარჯა ხის მასალა მაგიდების წარმოებაზე. ამ ოპერაციას ექნება შემდეგი ბუღალტრული გატარება:'

დებეტი_2222 _ "დაუმთავრებელი წარმოება (მომსახურება)

კრედიტი _2221_"წედლეული და მასალები"

3. საჯარო სამართლის იურდიულმა პირმა წარმოებული მაგიდები აიღო შემოსავალში. ბუღალტრულად გატარდება შემდეგნაირად:

' დებეტი_2223_"მზა პროდუქცია"

კრედიტი_2222_"დაუმთავრებელი წარმოება (მომსახურება)

4. არასამთავრობო ორგანიზაციისაგან სსიპ სკოლამ მიიღო სასწავლო დაფები. ეს ოპერაცია განიხილება ნებაყოფლობით ტრანსფერად და მიეცემა შემდეგი ბუღალტრული გატარება:

დებეტი_2227_"სხვა დანარჩენი მატერიალური მარაგები"

კრედიტი_6440_"ნებაყოფლობითი ტრანსფერები გარდა გრანტებისა".

5. სსიპ სკოლა სასწავლო დაფები, რომელთა ღირებულება - თითოეულის 180 ლარია გადასცა ექსპლოატაციაში. ამ ოპერაციით დაფები განეკუთვნება მცირ-ეფასიან და სწრაფცვეთად საგნებს და

მათი ექსპლოატაციაში გადაცემა აის-ახება ხარჯებში-საქონლისა და მომსახურების გამოყენების ანგარიშზე შემდეგი ბუღალტრული გატარებით:

დებეტი_7200_ "საქონლისა და მომსახურების გამოყენება"

კრედიტი_2227_ "სხვა დანარჩენი მატერიალური მარაგები"

აღნიშნულ გატარებასთან ერთად საჭიროა ექსპლოატაციაში გადაცემული სასწავლო დაფები გატანილ იქნას ბალანსგარეშე ანგარიშზე გატარებით:

დებეტი_04_ "ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექსპლოატაციაში", ამ ანგარ-იმის დახურვა მოხდება, როდესაც აღნიშნული სასწავლო დაფები ჩამოიწერება ექსპლოატაციიდან.

6. საჯარო სამართლის იურდიულმა პირმა გაყიდა სტრატეგიული მარაგები. აღნიშნული ოპერაცია ჩაითვლება როგორც არასაფინანსო აქტივის გასვლა და აისახება შემდეგი ბუღალტრული გატარებით:

დებეტი_1100_ "ნაღდი ფული სალაროში"

დებეტი_1200_ "ფულადი ანგარიშები და დეპოზიტები"

დებეტი_1446_ "სხვა დანარჩენი დებიტორული დავალიანებები"

კრედიტი_2210_ "სტრატეგიული მარაგები"

7. სსიპ უნივერსიტეტმა დახარჯა შეძენილი საკანცელარიო ნივთები ამ ოპერ-აციით ორგანიზაცია მატერიალური მარაგები გამოიყენა საკუთარი მოხმარების-ათვის და აისახება საქონლისა და მომსახურების გამოყენების ანგარიშზე და შედგება ბუღალტრული გატარება:

დებეტი_7200_ "საქონლისა და მომსახურების გამოყენება"

კრედიტი_2227_ "სხვა დანარჩენი მატერიალური მარაგები"

8. სსიპ უნივერსიტეტმა გაყიდა სამეურნეო მასალები. გაყიდვა აისახება გატარებით:

დებეტი_1100_ "ნაღდი ფული სალაროში"

დებეტი_1200_ "ფულადი ანგარიშები და დეპოზიტები"

დებეტი_1400_ "სხვა დებიტორული დავალიანებები"

კრედიტი_6420_ "საქონლისა და მომსახურების გაყიდვები", აქვე საჭიროა გაყიდული

მატერიალური მარაგების ღირებულების ასახვა ხარჯად შემდეგი ბუღალტრული გატარებით:

დებეტი_7200_ "საქონლისა და მომსახურების გამოყენება"

კრედიტი_2220_ "სხვა მატერიალური მარაგები".

თუ მატერიალურ მარაგების ცალკეულ ოპერაციათა შეფასება შეუძლებელია, ამ მარაგებში განხორციელებული ცვლილებების განაშთვისას ორგანიზაცია იყენებს მატერიალური მარაგების შეფასების სამი მეთოდიდან ერთ-ერთს:

- ა) ინდივიდუალურად გაწეული დანახარჯების მიხედვით შეფასების მეთოდი;
- ბ) ფიფო (FFIFO) მეთოდი _ პირველი შემოსული პირველი გადის;
- გ) საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდი.

ანტიკრიზისული პროგრამის მაკროეკონომიკური ორიენტირები

მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური კრიზისის შედეგად ყველაზე მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ მსხვილი ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნები, რომლებიც მსოფლიო გლობალიზაციის მასშტაბებს და ძირითად მიმართულებებს განსაზღვრავენ. პატარა სახელმწიფოები, რომლებიც შედარებით ნაკლებად ინტეგრირებულნი არიან მსოფლიო ეკონომიკაში, ჯერჯერობით მთელი სიმწვავეით არ გრძნობენ გლობალური კრიზისის გავლენას, თუმცა ბოლო დროს ამ ჯგუფის ბევრი განვითარებული ქვეყანა დეფოლტის ზღვარზე აღმოჩნდა. საქართველოში ფინანსური საფრთხეები მსოფლიო კრიზისამდე დაფიქსირდა, თუმცა იგი მნიშვნელოვნად გაღრმავდა აგვისტოს ცნობილი მოვლენების შემდეგ. ქვეყნის ხელისუფლებამ მოგვიანებით, მაგრამ მაინც აღიარა, რომ «ერთი წლის წინ ბევრად უფრო ადვილი ცხოვრება გვექონდა», შექმნილი ვითარების ობიექტური შეფასება მაინც არ ხდება. ფაქტობრივი მდგომარეობა საგანგაშოა: საკრედიტო ბაზარი თითქმის პარალიზებულია, კომერციული ბანკების უმეტესობას ლიკვიდურობის პრობლემა გააჩნია, იზრდება გადახდისუნარო კრედიტორთა რიცხვი, გარედან თანხების მოზიდვა გართულებულია, სამუშაოდან დათხოვნილია ათასობით თანამშრომელი და ეს პროცესი კვლავაც გაგრძელდება, თუ არ იქნა გატარებული გააზრებული ანტიკრიზისული ღონისძიებები.

საბანკო სექტორში მიმდინარე ნეგატიურმა პროცესებმა პრობლემები შეუქმნა ქვეყნის ეკონომიკის თითქმის ყველა სფეროს, განსაკუთრებით კი მშენებლობის სექტორს. ახალი მშენებლობები თითქმის გაჩერდა, აშენებული ბინების რეალიზაციის მაჩვენებელი მკვეთრად დაეცა, დეველოპერულ კომპანიებს სერიოზული ფინანსური პრობლემები შეექმნათ, დაიწყო უძრავ ქონებაზე ფასების დაცემის პროცესი, ამ სფეროში კრიზისმა აშკარად გამოკვეთილი სახე მიიღო. რთული მდგომარეობაა ტურიზმის სფეროში. გლობალურმა კრიზისმა აღნიშნული სფერო მთელს მსოფლიოში დააზარალა. მათ შორის, საქართველოშიც. პრობლემები შეექმნა მატერიალური წარმოებისა და არასაწარმო სფეროს

თითქმის ყველა დარგს. უცხოეთიდან ფიზიკურ პირთა მიერ გადმორიცხული თანხის მოცულობა (დახმარება) მნიშვნელოვნად შემცირდა, უმუშევართა რიცხოვნობა იზრდება, შემცირდა გაყიდვების მოცულობა თითქმის ყველა სფეროში, სავაჭრო ობიექტების საკმაოდ დიდი ნაწილი დაიხურა ან დახურვის პირასაა. ყველაფერი ეს სამწუხარო რეალობაა, რომლის მაკროეკონომიკური ციფრებით და მახასიათებლებით შელამაზება მხოლოდ ზიანის მომტანი იქნება.

საგულისხმოა, რომ ქვეყანაში დაიწყო ფიქრი და მოქმედება ანტიკრიზისული პროგრამის შემუშავების მიმართულებით. პარლამენტში შეიქმნა ანტიკრიზისული საბჭო, მთავრობამაც გააკეთა განცხადება ანტიკრიზისული პროგრამის შემუშავების შესახებ, მაგრამ დღემდე ოფიციალური ფორმით შედგენილი არანაირი სახის სახელისუფლო ანტიკრიზისული პროგრამა ბუნებაში არ არსებობს და თუ არსებობს, იგი საზოგადოებისათვის უცნობია. მეცნიერულად დასაბუთებული კომპლექსური ანტიკრიზისული პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობა უნდა მიიღოს როგორც სახელისუფლებო სტრუქტურებმა, ასევე ბიზნეს წრეებმა, მეცნიერებმა, ექსპერტებმა, არასამთავრობო სტრუქტურებმა, მასმედია და ა.შ. სწორედ ამ მიზანს ემსახურება ქვემოთ მოყვანილი ჩვენი მოკრძალებული წინადადებები.

ანტიკრიზისული პროგრამის შედგენას წინ უნდა უძღოდეს მისი რეალიზაციის უზრუნველმყოფელი თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლების გააზრება. იგი უნდა იყოს გაბედული, აგრესიული და უკომპრომისო, რაც ნიშნავს დადგენილი საბაზრო ნორმებიდან გადახვევას და საჭიროების შემთხვევაში ნებისმიერი ეკონომიკური ურთიერთობების დონეზე სახელმწიფოს ჩარევას. ყველა დროის ეკონომიკური კრიზისი ყველა ქვეყანაში მხოლოდ სახელმწიფოს აქტიური ჩარევის შედეგად იქნა დაძლეული. ამას ადასტურებს ამჟამად მსოფლიოში მიმდინარე კრიზისის დაძლევის მიმართულებით შექმნილი ანტიკრიზისული პროგრამები. მათში ეკონომიკის მართვასა და რეგულირებაში წამყვანი როლი მთავრობებს განეკუთვნება.

ანტიკრიზისული პროგრამის შედგენას წინ უნდა უძღოდეს, ასევე, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თანამედროვე მდგომარეობის სიღრმისეული ანალიზი. თუ დაფიქსირდა ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება (ეკონომიკის მკვეთრი დაცემა), ჩამოყალიბებული ეკონომიკური ურთიერთობების მოშლა, საწარმოთა გაკოტრება, უმუშევრობის ზრდა და საბოლოო ჯამში მოსახლეობის ცხოვრების დონისა და ხარისხის გაუარესება, მაშინ აშკარაა, რომ საქმე გვაქვს ეკონომიკურ კრიზისთან. მაგრამ, თუ გამოვლინდა წარმოების შედარებით ზომიერი დაცემა ან ეკონომიკური ზრდის ტემპების შენელება, მთლიანი შიდა პროდუქტის შემცირება

ზედიზედ ორი კვარტლის განმავლობაში (ევროპული მიდგომა), ან ეკონომიკური ზრდის 1-2%-მდე დაცემა (ამერიკული მიდგომა), მაშინ ასეთი მოვლენა უნდა შეფასდეს ეკონომიკურ რეცესიად.

ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ ფინანსური კრიზისი, როგორც წესი, ეკონომიკურ კრიზისში გადაიზრდება. რაც შეეხება ეკონომიკურ რეცესიას, ის თავისი ბუნებით და ეკონომიკის ციკლური განვითარების პრინციპებიდან გამომდინარე კანონზომიერი პროცესია, მაგრამ გასათვალისწინებელია ისიც, რომ იგი ხშირად გამოდის კონტროლიდან და შეუმჩნევლად გადაიზრდება კრიზისში.

ამგვარი ანალიტიკური ანალიზის შემდგომ ეტაპზე უნდა დადგინდეს ფინანსური, ეკონომიკური კრიზისების და რეცესიის გამომწვევი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები (მიზეზები). ისინი შეიძლება იყოს გამოწვეული საგარეო (გლობალური კრიზისი, ომები და ა.შ.) და საშინაო (შიდა კონფლიქტები, არასწორი მენეჯმენტი და ა.შ.) ფაქტორებით. ანტიკრიზისული პროგრამის შინაარსი ბევრადაა დამოკიდებული კრიზისის ბუნება-ხასიათთან – მსუბუქი, ღრმა, მოკლევადიანი, გრძელვადიანი, ლოკალური, ზოგადი, ფარული, ღია კრიზისი. კვლევას უნდა დაექვემდებაროს აგრეთვე ეკონომიკური ხასიათის კრიზისები რა ვადაში შეიძლება გადაიზარდოს მწვავე სოციალურ კრიზისში და არის თუ არა ამ უკანასკნელის პოლიტიკურ კრიზისში გადაზრდის წინაპირობები.

მიმდინარე ეტაპზე საქართველოში შექმნილი და უახლოეს პერიოდში მოსალოდნელი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზისა და შეფასების საფუძველზე შეიძლება გამოიკვეთოს ის ძირითადი ფაქტორები, პირობები და პრობლემური სფეროები, რომლებიც მაღალი ალბათობით შეიძლება იქნან ასახულნი ანტიკრიზისულ პროგრამაში. კერძოდ, მსოფლიო ფინანსური კრიზისის საქართველოს ეკონომიკაზე გავლენის, აგრეთვე აგვისტოს მოვლენებისა და ეკონომიკის სახელმწიფო მენეჯმენტის უარყოფითი შედეგების ნიველირების მიზნით ანტიკრიზისულ პროგრამაში უნდა აისახოს როგორც მაკროეკონომიკური, ისე მიკროეკონომიკური, ორგანიზაციულ-მმართველობითი, და ზოგადად ქვეყნის ეკონომიკური მოწყობის ტრანსფორმაციული ღონისძიებები.

ანტიკრიზისულ პროგრამაში, მსოფლიო გლობალური კრიზისის გავლენის თავიდან აცილების ან შერბილების მიზნით, პრიორიტეტული ადგილი უნდა მიენიჭოს, ქვეყნის ეკონომიკური დამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლებას. გლობალური კრიზისის პირობებში, ბუნებრივია, რომ თითოეული ქვეყანა თავის ეკონომიკურ ურთიერთობებში უპირატესობას ანიჭებს საერთო ეროვნულ ინტერესებს და საჭიროების შემთხვევაში ზღუდავს სხვა ქვეყნებთან ტრადიციულ საფინანსო-ეკონომიკურ ურთიერთობებს.

როგორც ცნობილია, საქართველოში დღევანდელ ეტაპზე მოხმარებული პროდუქციის დაახლოებით 70-75 პროცენტი იმპორტულია ანუ საქართველო ცალმხრივად მჭიდროდაა ინტეგრირებული მსოფლიო ეკონომიკასთან. ცალმხრივად იმიტომ, რომ ექსპორტი იმპორტს 4-5-ჯერ ჩამორჩება. უფრო მეტიც, საქართველო გარესამყაროსთან მეტწილად დაკავშირებულია სტრატეგიული პროდუქციის (ხორბალი, ნავთობპროდუქტები, გაზი და ა.შ.) იმპორტირების კუთხით, ხოლო ექსპორტის პოზიციებიდან ჩვენი ქვეყნის პროდუქცია არაა პირველადი, აუცილებელი მოხმარების, განსაკუთრებით კრიზისულ სიტუაციაში (ღვინო, ხილი, ციტრუსი და ა.შ.).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ანტიკრიზისულ პროგრამაში პრიორიტეტული ადგილი უნდა დაეთმოს ადგილობრივი წარმოების შენარჩუნება-განვითარებას. უფრო მეტიც, სახელმწიფომ უნდა შექმნას ხელსაყრელი მაკროეკონომიკური და ბიზნეს-გარემო იმ პროდუქციის საწარმოებლად, რომელიც დღეისათვის უცხოეთიდან შემოდის და მისი ადგილზე წარმოებისთვის არსებობს სათანადო ბუნებრივი პირობები და რესურსები. ასეთი სფეროა აგროსაწარმოო კომპლექსი _ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება, დამზადება და საწარმოო გადამამუშავება. მიუხედავად ამისა, სხვა ქვეყნებიდან საქართველოში შემოტანილი აგროპროდუქტის პროდუქცია თითქმის 2-ჯერ აღემატება ადგილზე წარმოებულს. ამით საქართველო ხელს უწყობს უცხოეთის ქვეყნებში სამუშაო ძალის დასაქმებას და შესაბამისად, ადგილზე უმუშევრობის ზრდას. ანტიკრიზისულმა პროგრამამ ამ მხრივ რადიკალურად უნდა შეცვალოს სიტუაცია საქართველოს ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე.

გარდა ამისა, ანტიკრიზისულ პროგრამაში პრიორიტეტული ადგილი უნდა მიეკუთვნოს ადგილობრივი რეალური სექტორის აღორძინება-გადარჩენა-განვითარებას, კერძოდ სამრეწველო წარმოებას, მშენებლობას, მომპოვებელ დარგებს, გადამამუშავებელ მრეწველობას და ა.შ. პროგრამაში წამყვანი ადგილი უნდა დაეთმოს ინვესტიციური პოლიტიკის ეფექტიან გამოყენებასაც. კრიზისის დროს ყველაზე სწრაფად ეცემა ინვესტორების ბიზნეს-აქტივობა. ამ დროს ფულის მოძრაობა ნელდება და შესაბამისად სუსტდება ეკონომიკური აქტივობა. კრიზისისადმი განსაკუთრებით მგრძობიარენი ხდებიან უცხოელი ინვესტორები რისკ-ფაქტორების ზრდის გამო და ეს ბუნებრივი პროცესია. საქართველო არ იყო განებივრებული უცხოური ინვესტიციებით (2007 წელს მან 1,7 მლრდ ლარი შეადგინა), მაგრამ აგვისტოს მოვლენებისა და გლობალური ფინანსური კრიზისის შედეგად იგი მნიშვნელოვნად შემცირდა და პროგნოზებიც პესიმისტურია. დღეისათვის საინვესტიციო შიშშილმა დაისადგურა. არის გარკვეული გამოწვევებიც. მაგალითად გასული წლის მიწურულს საქართველოს მთავრობამ არაბულ კომპანია «რაკ ინვესტმენტს» 65 მილიონ აშშ დოლარი

ინვესტიციის საფასურად გადასცა ფოთის ნავსადგური (სახელმწიფოს მფლობელობაში დარჩენილი 49 პროცენტი), რითაც მთლიანად დაკარგა კონტროლის მექანიზმი.

განსაკუთრებით საშიშია კრიზისის დროს უცხოური ინვესტიციის მოძალემა. კეთილსინდისიერი ინვესტორი მაღალი რისკის პირობებში თავს არიდებს საკუთარი სახსრების უცხო ქვეყნებში გადაადგილებას. არაკეთილსინდისიერი ინვესტორი კი სარგებლობს რა კრიზისის დროს ინვესტიციური შიმშილით, თავის სახსრებს თავისუფლად მიმართავს არაკეთილსინდისიერი მიზნების სარეალიზაციოდ. გამომდინარე აღნიშნულიდან, ანტიკრიზისულმა პროგრამამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ინვესტიციების წარმომავლობას, მის დივერსიფიკაციას და არ უნდა დაუშვას ერთი ქვეყნისგან ან ქვეყანათა ერთი ჯგუფისგან ინვესტიციების უპირატესი მოზიდვა. ინვესტიციურმა პოლიტიკამ კრიზისის პირობებში გარკვეული, თავდაცვითი სახე უნდა მიიღოს. ამასთან მთავარი აქცენტი უნდა გაკეთდეს საკუთარ, შიდა კერძო და სახელმწიფო ინვესტიციებზე, განსაკუთრებით, იმ სფეროებში, რომლებსაც ქვეყნისათვის სტრატეგიული მნიშვნელობა გააჩნიათ.

ანტიკრიზისული პროგრამის ერთ-ერთი მთავარი ქვაკუთხედი უნდა გახდეს სახელმწიფო ბიუჯეტი და საერთოდ, ქვეყნის საბიუჯეტო სისტემა. კრიზისი და ბიუჯეტი ერთმანეთთან კაზუალურ ურთიერთქმედებაში იმყოფებიან. ერთის მხრივ, ეკონომიკური კრიზისი ამცირებს საბიუჯეტო, განსაკუთრებით საგადასახადო შემოსავლებს, ხოლო, მეორეს მხრივ, საბიუჯეტო ხარჯების გონივრული მანევრირება ეკონომიკური კრიზისის ნეგატიური სოციალურ-ეკონომიკური შედეგების შერბილების საშუალებას იძლევა. მთავარია სწორი ხარჯვითი პოლიტიკის გატარება, რომელიც თავისუფალი იქნება პოლიტიკური იდეოლოგიისგან და ოპტიმალურად იქნება მიმართული როგორც საზოგადოების სოციალური სტანდარტების უზრუნველყოფის, ასევე ეკონომიკის განვითარების სტიმულირებისკენ.

როგორც დღევანდელი მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის პრაქტიკა გვიჩვენებს, ყველა ქვეყნის მთავრობის მთავარი ეკონომიკური ბერკეტი კრიზისის წინააღმდეგ საბრძოლველად საბიუჯეტო სახსრები აღმოჩნდა. საბოლოო ჯამში კრიზისის დასაძლევად სხვადასხვა ქვეყნების ბიუჯეტიდან დღეისათვის გამოყოფილია თითქმის 8 ტრილიონამდე დოლარი, განსაკუთრებით საბანკო, სადაზღვევო და სამშენებლო სექტორების გადასარჩენად.

საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი თავისი სტრუქტურით და შინაარსით არსებითად არ განსხვავდება წინა წლის ბიუჯეტისაგან და მას არც შიდა და არც გარე ეკონომიკური კრიზისის კვალი არ ამჩნევია. შემოსავლები 2008 წელთან შედარებით უმნიშვნელოდ 46,5 მლნ ლარით

შემცირდა, ხარჯები კი – 285 მლნ ლარით, მაგრამ მნიშვნელოვნად გაიზარდა დეფიციტი და მან 660 მლნ ლარი შეადგინა. უმნიშვნელოდ შემცირდა ხარჯები საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაზე. ყოველგვარ არგუმენტს სცილდება კრიზისის პირობებში ხარჯების ზრდა დასვენებაზე (30,8 მლნ ლარით), გარემოს დაცვაზე (15,5 მლნ ლარით). მართალია, ეკონომიკურ საქმიანობაზე ხარჯების გეგმა 734 მლნ ლარამდე გაიზარდა, მაგრამ იგი ძალიან დაბალია. ასევე გაუგებარია, რითაა გამოწვეული «იაფი კრედიტის» პროგრამისათვის თანხის 20 მლნ-მდე შემცირება (2008 წელს იყო 49,5 მლნ), მაშინ როდესაც პრეზიდენტის ფონდი და მთავრობის ფონდი 10-10 მლნ-ით გაიზარდა და 50-50 მილიონი ლარი შეადგინა. მოგვაჩნია, რომ 2009 წლის ბიუჯეტს ანტიკრიზისული სახე ნამდვილად არ გააჩნია.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია სახელმწიფო ბიუჯეტის ხელახალი «გადაწერა», იმ მიმართულებით, რომ არსებითად შემცირდეს სახელმწიფო მმართველობაზე და სხვა არამნიშვნელოვან პროგრამებზე გამოყოფილი ასიგნებები და დაახლოებით 2 მილიარდამდე ლარი გამოიყოს რეალური სექტორის მხარდასაჭერად. ამ მიზნით უნდა შეიქმნას «კრიზისის დაძლევის ფონდი», საიდანაც დაბალი საპროცენტო განაკვეთებით სესხები გაიცემა ეკონომიკის სისტემაწარმომქმნელ სფეროებზე (საბანკო სექტორი, სამშენებლო სექტორი, ტურიზმი, მოპოვებითი და გადამამუშავებელი მრეწველობა და ა.შ.). ამ ღონისძიების განხორციელების საკითხი დამოკიდებულია ანალიზის შედეგად გამოვლენილი კრიზისის სიმწვავეზე. ხაზი უნდა გაესვას ერთ გარემოებას. დღეს მსოფლიოში კრიზისის პირველი ტალღის ჩასაქრობად ძირითადად საბიუჯეტო სახსრები გამოიყენება. საქართველოში კი საბიუჯეტო დახმარების შესახებ სამშენებლო სექტორის მიერ მოთხოვნილმა დახმარებამ ადგილობრივი ხელისუფლების უკმაყოფილება გამოიწვია, რაც ყოვლად უსაფუძვლოა. თუ ბიზნესს კრიზისის პერიოდში ფინანსური დახმარება არ გაეწია, ეს ნიშნავს, რომ ბიუჯეტის შესრულებას პრობლემა შეექმნება და შესაბამისად ჯაჭვური რეაქცია ახალ, თვისობრივად უფრო ღრმა კრიზისამდე მიგვიყვანს. ამიტომაც, სახელმწიფო და ბაზარი კი არ უნდა დაუპირისპირდეს ერთმანეთს, არამედ, პირიქით, ერთობლივი ძალისხმევით უნდა იბრძოლონ კრიზისის დასაძლევად. მშენებლებს და რეალური სექტორის სხვა დარგებს სახელმწიფომ უნდა გამოუყოს საბიუჯეტო დახმარება რაღაც პირობებით (პროცენტები, საკონტროლო პაკეტი, ნაწილობრივი ცენტრალიზაცია და ა.შ.), რათა ეკონომიკა არ მივიდეს კოლაფსამდე და საფრთხე არ შეექმნას ქვეყნის მომავალს.

გასული წლის ოქტომბერში დონორთა საერთაშორისო კონფერენციაზე, საქართველოსთვის გამოყოფილი 4,5 მლრდ დოლარის (2 მლრდ-გრანტი და 2,5 მლრდ სესხი) უმეტესი ნაწილი უნდა

წარმართოს ქვეყნის რეალურ სექტორში, აგრეთვე ინფრასტრუქტურის (მათ შორის საწარმო ინფრასტრუქტურის) აღდგენა-განვითარებაზე (ენერგეტიკა, გზები, საბიუჯეტო დახმარება). პროგრამაში უნდა გაიწეროს ამ თანხის რეციპიენტების ჩამონათვალი, თანხის მიღების სავარაუდო ვადები და მოსალოდნელი შედეგები. თანხის ხარჯვის კანონიერებაზე, მიზნობრიობაზე და ეფექტიანობაზე ევროკავშირთან ერთად კონტროლი უნდა დააწესოს ქვეყნის მაკონტროლებელმა უწყებებმა და სამოქალაქო საზოგადოებამ.

უნდა აღინიშნოს, რომ საკმაოდ დიდი მოცულობის საერთაშორისო ფინანსური დახმარება, ეკონომიკასთან ერთად დიდი დადებითი ფსიქოლოგიური მუხტის შემცველია, თუმცა იგი გარკვეულ რისკსაც შეიცავს, რამეთუ მომავალი 3 წლის განმავლობაში ამ თანხის ტრანშებად მიღება-არმიღების საკითხი ბევრადაა დამოკიდებული, თუ როგორ სახეს მიიღებს გლობალური ფინანსური კრიზისი.

კრიზისის პირობებში რეალური სექტორის სტიმულირებისთვის მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული საგადასახადო სისტემა. ამასთან აქცენტი უნდა იქნას აღებული არა მხოლოდ საგადასახადო განაკვეთების შემცირებაზე, არამედ აგრეთვე საგადასახადო ტვირთის ოპტიმალურ გადანაწილებაზე მწარმოებლებს, მომხმარებლებს და კაპიტალს შორის, პირდაპირ და ირიბ გადასახადებს შორის.

ეკონომიკური კრიზისის პირობებში დღევანდელ ეტაპზე თითქმის ყველა ქვეყანამ მიმართა გადასახადების შედარებით ლიბერალიზაციას. არც საქართველოა გამონაკლისი. საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი 25 პროცენტიდან შემცირდა 20 პროცენტამდე, რაც, რა თქმა უნდა ანტიკრიზისული კუთხით წინგადადგმული ნაბიჯია, მაგრამ აქ ერთ გარემოებას უნდა გაესვას ხაზი. ხელისუფლების განცხადება იმის შესახებ, რომ საშემოსავლო გადასახადების შემცირების შედეგად 250 მილიონი ლარი ეკონომიკას დარჩა და ინვესტიციურ აქტივობას შეუწყობს ხელს, გაუაზრებელი და უსაფუძვლოა. აღნიშნული თანხა დასაქმებულთა პირად ფულად შემოსავალს ემატება და თითოეულ დასაქმებულზე იგი იმდენად მცირეა, რომ მისი ინვესტიციასთან დაკავშირება აზრს მოკლებულია.

ანტიკრიზისულ პროგრამაში სრულად უნდა აისახოს საგადასახადო სისტემის შესაძლებლობანი კრიზისის დამლევის საქმეში. ეკონომიკური კრიზისის დამლევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საგადასახადო მექანიზმის ოპტიმიზაციას, გადასახადების ფისკალურ და მასტიმულირებელ ფუნქციებს შორის რაციონალური თანაფარდობის დამყარებას.

კრიზისის პირობებში საგადასახადო განაკვეთების ოპტიმიზაციის პარალელურად დიდ მნიშვნელობას იძენს საგადასახადო პრეფერენციების სისტემის შემუშავება და პრაქტიკული

რეალიზაცია. საგადასახადო შეღავათებიდან შეიძლება გამოყენებული იქნას შემდეგი მექანიზმები: საგადასახადო ამნისტია; საგადასახადო შეღავათი; ზედმეტად გადახდილი საგადასახადო თანხის დაბრუნება; საგადასახადო არდადეგები; საგადასახადო განაკვეთების შემცირება; ინვესტიციური პრემია და ა.შ.

ანტიკრიზისული რეგულირების ერთ-ერთი სტრატეგიული მექანიზმია ფულად-საკრედიტო პოლიტიკა. მართალია, ეროვნული ბანკის ფუნქციები მნიშვნელოვნად იქნა შეზღუდული და მისი საქმიანობა ძირითადად ფასების სტაბილურობის შენარჩუნებამდე იქნა დაყვანილი, მაგრამ იგი მაინც ვერ გაექცევა ეკონომიკის სტიმულირების ფუნქციას, რომელიც ლოგიკურადაა მასთან მიბმული. კრიზისის პირობებში მონეტარული პოლიტიკა სახელმწიფო ჩარევისაგან არ იქნება თავისუფალი და ეს ობიექტური აუცილებლობაა, მაგრამ აქ საჭიროა გარკვეული დისტანციის დაცვა და კრიტიკული ზღვრის დადგენა, რომლის იქით ჩარევა დაუშვებელია. მონეტარული პოლიტიკა უნდა გახდეს მაქსიმალურად გამჭვირვალე საზოგადოებისა და ბიზნესისათვის. არ უნდა იქნას დაშვებული ეროვნული ვალუტის კურსის არც მყისიერად ხელოვნურად გამყარება და არც გაუფასურება. ეროვნულმა ბანკმა უნდა განსაზღვროს ის «ოქროს შუალედი», რომელიც უზრუნველყოფს ერთის მხრივ, ფასების სტაბილურობას (დაბალ ფასებს), ხოლო მეორეს მხრივ, დაასტიმულირებს კომერციულ ბანკებს ხელი შეუწყონ ეკონომიკის, განსაკუთრებით კი რეალური სექტორის აღორძინება-განვითარებას.

ანტიკრიზისულ პროგრამაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ფისკალურ და მონეტარულ პოლიტიკებს შორის ოპტიმალური წონასწორობის მიღწევას. დაუშვებელია ფისკალური პოლიტიკის «დიქტატურა» მონეტარული პოლიტიკის მიმართ. ეროვნულ ბანკს უნდა მიენიჭოს ბიუჯეტზე «ზემოქმედების» ფუნქცია, მას უნდა შეეძლოს მონეტარული ინტერესების საზიანოდ შედგენილი სახელმწიფო ბიუჯეტის დაბლოკვა, როგორც მისი შედგენის, ასევე საბიუჯეტო პროცესის ნებისმიერ ეტაპზე, თანაც არა ფორმალურად, არამედ რეალურად, ფაქტობრივად. დღის წესრიგში რჩება ინფლაციის პრობლემაც. ამ მხრივ საჭიროა მეცნიერული არგუმენტირებული მეთოდის შექმნა და ინფლაციის შეულამაზებელი მაჩვენებლების გაანგარიშება.

ეროვნულმა ბანკმა საბაზო (სააღრიცხვო) განაკვეთების რეგულირებით დადებითი როლი ითამაშა კომერციული ბანკების ლიკვიდურობის შენარჩუნებაში. ამ მიმართულებით (მისი შემცირების) მუშაობა კვლავაც უნდა გაგრძელდეს. ამასთან, სახელმწიფო ეროვნული ბანკის მეშვეობით კრიზისის პერიოდში პირდაპირ უნდა ჩაერიოს საკრედიტო განაკვეთების ფორმირებაში, გამომდინარე იქიდან, რომ კომერციული ბანკები გამოდევნებული არიან რა ზემოეგების მიღებას,

მიუხედავად ქვეყანაში შექმნილი მძიმე მდგომარეობისა, კრედიტებზე ინარჩუნებენ გაუმართლებლად მაღალ განაკვეთებს. კომერციულმა ბანკებმა უნდა გააცნობიერონ, რომ მათი მდგომარეობის და გადარჩენის ერთადერთი საფუძველია ეკონომიკის განვითარება და შესაბამისად, დასაქმების ზრდა.

მისაღებია კანონი საბანკო დეპოზიტების დაზღვევის შესახებ. კომერციულმა ბანკებმა კრიზისის პერიოდში უნდა დათმონ მოგების (რომლის მარჯა საკმაოდ მაღალია) გარკვეული ნაწილი, შეამცირონ საკრედიტო განაკვეთები (ზოგიერთ ქვეყანაში სახელმწიფომ იძულების წესით მოახდინა) და პირველ რიგში უზრუნველყონ იპოთეკურ და რეალურ სექტორზე ინვესტირების კუთხით გაცემული კრედიტების რესტრუქტურირაცია და მათი გადახდის ვადების გადაწევა და საჯარიმო სანქციების განულება.

პროგრამაში საჭიროა ისეთი მექანიზმის შემუშავება, რომელიც მოაწესრიგებს ქვეყანაში შრომის ანაზღაურების სისტემას. ხელფასების ოპტიმიზაციას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კრიზისის პირობებში. არასამართლიანია, რომ სამეურნეო სუბიექტებიდან ახდენდნენ მუშაკთა დათხოვნას, ხოლო იმავდროულად ხელმძღვანელ მუშაკთა და დარჩენილ თანამშრომელთა ხელფასები იზრდებოდა. საყურადღებოა აშშ-ს პრეზიდენტის ბარაკ ობამას წინადადება. მან ამერიკული კომპანიების ხელმძღვანელებს ურჩია, რომ მუშაკთა დათხოვნისას შესაბამისად საკუთრივ შეიმცირონ ხელფასები და ბონუსები.

საქართველოს საბიუჯეტო სექტორში სახელფასო სისტემა სრულიად უსისტემო და ქაოტურია. არაფერს ვამბობთ იმაზე, რომ სხვადასხვა თითქმის უსაქმურ მარეგულირებლებს ქვეყნის პრეზიდენტზე რამდენიმეჯერ მაღალი ანაზღაურება აქვთ.

საბიუჯეტო ხარჯების ოპტიმიზაცია, როგორც კრიზისის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი ეფექტიანი მეთოდი, ფართოდ გამოიყენება მთელ რიგ ქვეყნებში. მაგალითად, ლატვიამ, რომელიც 90-იანი წლებიდან ეკონომიკური ზრდის მიხედვით ყველაზე წარმატებულ ქვეყნად ითვლებოდა, 2009 წლის ბიუჯეტში შეიტანა ცვლილებები და ხარჯები შეამცირა 10 პროცენტით (დაახლოებით 1,2 მილიარდი დოლარით). ხარჯების შემცირება შეეხო ძირითადად მმართველობით სფეროს და გამოთავისუფლებული სახსრები გადასროლილ იქნა კრიზისის დასარეგულირებლად. საბიუჯეტო სფეროს მუშაკებს ხელფასები შეუმცირდათ ევროპის განვითარებულ ქვეყნებშიც, რაც სამართლიანობისა და დემოკრატიის თვალსაჩინო ნიშნულია. საქართველოში კი პირიქით – სახელისუფლებო სტრუქტურებში ხელფასები გაიზარდა, რაც ალბათ უფრო გამოუცდელია ან კიდევ კრიზისის მასშტაბების გაუცნობიერებლობის გამო მოხდა.

პროგრამაში ასახვა უნდა ჰქონდეს სახელმწიფო კანონების შესრულებაზე საკონტროლო-საზედამხედველო სისტემის ტრანსფორმაციის საკითხებმა. დღევანდელ სახელმწიფო და საფინანსო კონტროლის სისტემა არაეფექტიანია. გაუმართავია კონტროლის ფორმები და მეთოდები, სუსტია მომთხოვნელობა და პრინციპულობა.

რადიკალურადაა შესაცვლელი საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს საქმიანობა. უპირველეს ყოვლისა იგი უნდა დაუბრუნდეს ეროვნულ ბანკს. რაც შეეხება საბიუჯეტო სახსრების ხარჯვაზე და სახელმწიფო ქონების გამოყენებაზე ფინანსური კონტროლის სისტემას, რომელიც ჯერ კიდევ კრიზისულ სიტუაციაშია, საჭიროებს რადიკალურ ტრანსფორმაციას.

ანტიკრიზისულ პროგრამაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას. როგორც ცნობილია, ეკონომიკური კრიზისის ნებისმიერი ფორმით გამოვლენის დროს იზრდება კორუფციული გარიგებების რაოდენობა და მასშტაბები. ხშირად კი კრიზისის გამომწვევი მიზეზი ფინანსური აფიორა და კორუფცია ხდება. ამჟამინდელი მსოფლიო კრიზისის გამომწვევ ერთ-ერთ მიზეზად სწორედ მას თვლიან, რის გამოც აშშ-ში და დიდ ბრიტანეთში ასობით «თეთრსაყელოიანი» დაპატიმრებულია. საქართველო კორუფციის აღქმის ინდექსის მიხედვით ერთ-ერთ საუკეთესო ადგილას იმყოფებოდა სულ ორიოდ წლის უკან, მაგრამ 2007 წლის მონაცემებით იგი 180 ქვეყანას შორის 79 ადგილზე აღმოჩნდა, რასაც ადასტურებს Transparency International-ის ბოლო გამოკვლევები.

ზემოაღნიშნულის გარდა, ანტიკრიზისულ პროგრამაში უნდა აისახოს ისეთი პრობლემური ეკონომიკური საკითხების დარეგულირების მექანიზმები, როგორცაა ექსპორტ-იმპორტის თანაფარდობის ოპტიმიზაცია, რეგიონული განვითარების გამოთანაბრება, მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა ანტიმონოპოლიური მექანიზმის ამოქმედება, სტატისტიკური ინფორმაციის საიმედოობისა და გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება, ეკონომიკური პროგნოზირებისა და პროგრამების პრაქტიკის დანერგვა, სოციალური დახმარების სისტემის სრულყოფა და ა.შ.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების
სისტემის რეფორმირების ძირითადი მიმართულები

გარდამავალი ქვეყნების სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი ამოცანა მდგომარეობს მეწარმეობის ყოველმხრივი ხელშეწყობის საფუძველზე სახელმწიფოებრივი და სოციალ-ეკონომიკური განვითარების გადაუდებელი პროგრამების დაფინანსების უზრუნველყოფაში. ამიტომ საბიუჯეტო პოლიტიკა მიზანშეწონილია წარიმართოს იმ მიმართულებით, რომელიც უზრუნველყოფს შემოსავლების მატებას იმ დონემდე, რაც მოგვცემს იმის შესაძლებლობას, რომ დაფინანსდეს სახელმწიფო ხარჯების უმეტესობა. გარდამავალი ეპოქის საწყის ეტაპზე ბიუჯეტის ხარჯების მოცულობა და სტრუქტურა ყალიბდება არა ქვეყნის რეალური მოთხოვნილებების საფუძველზე, არამედ საფინანსო შესაძლებლობებიდან გამომდინარე. მიუხედავად ამისა, აუცილებელია ბიუჯეტის შედგენისას ძირითადი ყურადღება გამახვილდეს აქტიური და ქმედითი სოციალური პოლიტიკის გატარებაზე. რამაც თავისი გამოხატულება უნდა ჰპოვოს სოციალურად ორიენტირებული ბიუჯეტის კონცეფციისა და პარამეტრების შედგენაში.

სახელმწიფო შემოსავლებისა და, კერძოდ, საგადასახადო შემოსავლების მობილიზაციის მაღალი დონის მიღწევა შესაძლებელია საგადასახადო პოლიტიკის სრულყოფის საფუძველზე. საგადასახადო პოლიტიკამ უნდა შეუწყოს ხელი მეწარმეთა დაინტერესებას წარმოების ამოქმედებაში, მან რეალურად უნდა მოახდინოს გავლენა ეროვნულ მეურნეობაში საბაზრო ურთიერთობების განმტკიცებაზე. ამ მიზნით ღონისძიებები უნდა წარიმართოს პროდუქციის გამოშვებისა და ინვესტიციების გაძლიერების მიმართულებით.

გარდამავალ ეტაპზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სწორად განხორციელდეს საგადასახადო სისტემის ორი უმნიშვნელოვანესი ფუნქცია: 1. საერთო საჭიროებათა დასაფინანსებლად სახელმწიფოს მიერ სახსრების აკუმულაცია, 2. საწარმოთა, ორგანიზაციათა და მოქალაქეთა მოქმედებისათვის მასტიმულირებელი პირობების შექმნა. პირველი ფუნქცია ლოგიკურად მართლაც პირველია, მაგრამ ეკონომიკური ზრდის პროცესში ვლინდება მეორე ფუნქციის პრიორიტეტულობა.

ცნობილია, რომ გარკვეულ ზღვარს ზემოთ გადასახადების ზრდა იწვევს წარმოების გაჩანაგებას, დაგროვებისაკენ სწრაფვის შესუსტებას და შემოსავლის დამალვისაკენ მისწრაფების გაძლიერებას. საბოლოო ანგარიშით კი გადასახადების წყაროს დაშრეტას და ამ გზით მობილიზებული სახსრების შემცირებას. მეორე მხრივ, კი საგადასახადო განაკვეთების მოქნილი მანევრირებით სახელმწიფოს შეუძლია ბიძგი მისცეს წარმოების ზრდას საჭირო მიმართულებით, რასაც საბოლოო ანგარიშით სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების ზრდა მოჰყვება. ამიტომ მასტიმულირებელ ფუნქციას უპირატესობა უნდა მიენიჭოს მამობილიზებელ-ფისკალურთან შედარებით. მან უნდა უზრუნველყოს ბიუჯეტის შემოსავლების ზრდა დაბეგვრის ბაზის გაფართოებისა და გადამხდელთა სრული მოცვის შედეგად. ამასთან საგადასახადო კანონმდებლობამ უნდა დაიცვას მეწარმეთა ინტერესები და ხელი შეუწყოს მეწარმეობის განვითარებას.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებს სახელმწიფო შემოსავლების ზრდისათვის მნიშვნელოვანი გამოუყენებელი რეზერვები აქვთ. არსებობს სამეწარმეო საქმიანობის ისეთი სფეროები, სადაც

წარმოებული პროდუქციიდან და მომსახურებიდან მიღებული შემოსავლების დაბეგვრის ხარისხი ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, საერთოდ გამოუყენებელი რჩება. ამასთან აღრიცხვისა და ანგარიშგების სისტემის მოუწესრიგებლობის გამო სამეურნეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილი საგადასახადო სამსახურების თვალთახედვის მიღმა რჩება და ამგვარი შემოსავლების საგადასახადო ბაზაში მოქცევა ვერ ხერხდება.

გარდამავალი პერიოდის საწყის ეტაპზე მოუწესრიგებელია ვაჭრობიდან და ფასიანი მომსახურებიდან შემოსავლების აღრიცხვა-ანგარიშგება, რის გამოც დიდია საბიუჯეტო შემოსავლების დანაკარგები. ამ სფეროში მცირე ობიექტების დონეზე დაქუცმაცებული ათასობით ინდივიდუალური გადამხდელი თავს არიდებს აღრიცხვის მექანიზმის გამოყენებას და ფარული ეკონომიკის მთავარ საკვებ წყაროდ გვევლინებიან. ეს, თავის მხრივ, აღრმავებს წინააღმდეგობას ორგანიზებულ და არაორგანიზებულ საცალო ვაჭრობას შორის. ამის უგულვებელსაყოფად კი საჭიროა მათი ერთიან საგადასახადო რეჟიმში ჩაყენება. რაც მხოლოდ მოქნილი აღრიცხვის მექანიზმის შემუშავებით, საგადასახადო სამსახურების გააქტიურებით და მათ მიერ ქმედითი ღონისძიებების გატარების შედეგად იქნება შესაძლებელი.

სახელმწიფო შემოსავლების ზრდისა და მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობისათვის ძალზე მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს საბაჟო სამსახურის მუშაობის ხარისხის ამაღლება. ვინაიდან ამ სფეროში არსებობს ნმიშვნელოვანი აუმოქმედებელი რეზერვები. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს არაორგანიზებული ექსპორტ-იმპორტის მოცულობების დადგენას და კონტრაბანდისტული საქონლის გამოვლენას.

საგადასახადო შემოსავლების მობილიზაციის მიზნით აუცილებელია საგადასახადო პოლიტიკის გატარება იმ მიმართულებით, რომელიც მაქსიმალურად შეუწყობს ხელს ეკონომიკის ე.წ. «ჩრდილოვანი» სექტორის ხვედრითი წილის შემცირებას და მის ლეგალიზაციას საგადასახადო სისტემაში მოქცევის გზით.

აღსანიშნავია, რომ დაფარული რეზერვების გამოვლენისათვის საფინანსო კონტროლის ეფექტიანობის ამაღლებასთან ერთად დიდ მნიშვნელობას იძენს არსებული საგადასახადო კანონმდებლობის სრულყოფა, რათა მაქსიმალურად გამოირიცხოს მისი გვერდის ავლით სამეწარმეო საქმიანობის შესაძლებლობა და დასაბეგრი თანხის დამალვის პრაქტიკა.

სახელმწიფო ბიუჯეტის წარმატებით შესრულების უზრუნველსაყოფად აუცილებელია მიღწეულ იქნეს საგადასახადო განაკვეთების სტაბილურობა. გადასახადების შესახებ საკანონმდებლო აქტების მოქმედების ვადები ხანგრძლივი უნდა იყოს. საგადასახადო კანონმდებლობაში ხშირი ცვლილებების შეტანა გადასახადების გადამხდელთა შორის უნდობლობას იწვევს, თანაც იგი სამეწარმეო საქმის განვითარებისათვის საზიანო და მიუღებელია.

საგადასახადო სისტემა უნდა ითვალისწინებდეს საგადასახადო განაკვეთების სიდიდის განსაზღვრისადმი მეცნიერულ მიდგომას. ე.ი. უნდა დასაბუთდეს ისეთი ამოსაღები წილი, რომელიც შესაძლებელს გახდის, რომ საწარმოს დარჩეს შემოსავალი ნორმალური განვითარების უზრუნველსაყოფად.

საგადასახადო სისტემის მოწესრიგების მიზნით, აუცილებელია დაცული იქნეს დაბეგვრის ერთჯერადობის პრინციპი. რაც ისაა, რომ ერთი და იგივე ობიექტი შეიძლება დაიბეგროს ერთი სახეობის გადასახადით მხოლოდ ერთჯერ, კანონით განსაზღვრული ორმაგი დაბეგვრა.

საგადასახადო პოლიტიკის სრულყოფა უნდა წარიმართოს ფინანსური სანქციების გამკაცრების მიმართულებით. ფინანსურმა სანქციამ უნდა აიძულოს გადამხდელი უზრუნველყოს ბიუჯეტში გადასახდელი თანხების სწორი გაანგარიშება და დროული გადახდა. საჯარიმო სანქციები უშეღავათო და სამართლიანი უნდა იყოს. ასეთ პირობებში, ცხადია, არც ერთი მეწარმე თავისი ნებითსაგადასახადო კანონმდებლობას იმგვარად არ დაარღვევს, რომ ეს დარღვევა მისთვის გაკოტრების ტოლფასი აღმოჩნდეს.

აუცილებელია საგადასახადო შეღავათების ისეთი სისტემის გამოყენება, რომელიც რეალურად დაასტიმულირებს სამეწარმეო საქმიანობაში სახსრების ინვესტირების პროცესს.

საგადასახადო სისტემის სრულყოფის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა მისი სიმარტივე. რაც გულისხმობს გადასახადების გაანგარიშება-გაკონტროლების სიადვილესა და მათი ამოღების მექანიზმის სიმარტივეს. განსაკუთრებით კი იმას, რომ ყოველი გადამხდელი ნათლად ხედავდეს რისთვის იბეგრება ან რატომ იღებს შეღავათებს. აღსანიშნავია, რომ ამ პირობის უგულვებლყოფის გამო სამეწარმეო საქმიანობის მესვეურთა აბსოლუტური უმრავლესობა ძნელად ერკვევა საგადასახადო კანონმდებლობაში, რის გამოც ზარალდება ბიუჯეტი და უშუალოდ მეწარმეც.

გარდამავალი ეკონომიკის პირობებში უზრუნველყოფილ უნდა იქნეს საგადასახადო მართვის ორგანოების სტრუქტურული გარდაქმნა. მის გასამლიერებლად შესაძლებელია ზოგიერთი გადამწყვეტი ნაბიჯების გადადგმა. აუცილებელია კონტროლის უფრო ეფექტიანი სისტემის შექმნა იმ ვაკუუმის შესავსებად, რომელიც რჩება ცენტრალიზებული დაგეგმვის სისტემის შეცვლის შემდეგ. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სახელმწიფო საწარმოებისათვის, რომლებიც ახალ ვითარებაში მოიპოვებენ დიდ ავტონომიას და მონოპოლიური ძალაუფლების პირობებში შესაძლებლობა ექნებათ ლიბერალიზაციის პროცესი გამოიყენონ თავისი მიზნებისათვის. აუცილებელია ასევე სახელმწიფო მოხელეთა სტიმულირების ადეკვატური სისტემის შექმნა. არსებობს იმის ალბათობა, რომ ფასების საწყისი კორექტირება მიგვიყვანს რეალური ხელფასის დონის მნიშვნელოვან შემცირებამდე.

საბიუჯეტო პოლიტიკის ერთ-ერთი მიმართულებაა ბიუჯეტიდან ხარჯების დაფინანსების პრიორიტეტულობის დადგენა. ცხადია, საწელმწიფო საზოგადოებრივ-ეკონომიკური საქმიანობის ყველა სფეროს ერთნაირად ვერ დააფინანსებს. რისთვისაც აუცილებელია მკაფიოდ განისაზღვროს, დასაბუთდეს და გარკვეული პერიოდის მანძილზე უნდა გასწიოს სახელმწიფომ. გარდამავალ ქვეყნებში უპირატესობა უნდა მიენიჭოს ისეთი სფეროების დაფინანსებას, როგორცაა ეკონომიკური სექტორი, სახელმწიფო ინვესტიციები, თავდაცვა, სოციალური ინფრასტრუქტურის დარგები, განათლება და მეცნიერება. ამასთან მიზანშეწონილია შემცირდეს ხარჯები საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების შენახვაზე.

საბიუჯეტო ორგანოებმა უნდა შეიმუშაონ ცალკეული მექანიზმები საბიუჯეტო ხარჯების პროგრამების შესახებ და არ დაეყრდნონ საგეგმო გადაწყვეტილებებს. რამდენადაც მისი შემუშავებისათვის საჭიროა, გარკვეული დრო რაც კვლავ შესაძლებელს გახდის რესურსების არარაციონალურ გამოყენებას. საწყის ეტაპზე აუცილებელია კონტროლის გაძლიერება ხარჯებზე და მათ ანგარიშგებაზე. იმის გამო, რომ ბიუროკრატიულ აპარატს რამდენადმე სხვა წარმოდგენა აქვს თავის მოვალეობებზე, შესაძლებელია მნიშვნელოვანი ქაოსის წარმოქმნა, რომელსაც შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს საბიუჯეტო ხარჯების პოლიტიკაზე ისეთ გადამწყვეტ სფეროებში, როგორცაა ექსპლუატაციის, მომსახურების და სოციალური უზრუნველყოფის სფეროებში. სოციალური დაცვის შესაბამისი სისტემის ამოქმედება შესაძლო სიძნელეთა წარმოქმნის წინააღმდეგ მოითხოვს სოციალური უზრუნველყოფის და სოციალური დახმარების არსებული სისტემის რეორგანიზაციას, მოსახლეობისათვის ახალი შესაძლებლობების შექმნას და მათი პროფესიული გამოცდილების განვითარებას. ბიუჯეტის მიერ გათვალისწინებულმა შეზღუდვებმა და ხელფასის დონის განსაზღვრის საბაზრო პრინციპებმა უნდა გაანალიზონ დახმარებების გადანაწილება ძირითადად მოსახლეობის ხელმოკლე და გაჭირვებული ფენების სასარგებლოდ. რაც გამოიწვევს არსებული ადმინისტრაციული მექანიზმის არსებითი რეორგანიზაციის აუცილებლობას და იგი ორიენტირებული უნდა იყოს დახმარებების გაცემაზე ფართო მასშტაბით.

გარდაქმნის პროცესის შემაფერხებელი ფაქტორების აღმოფხვრისათვის, როგორცაა, მაგალითად, ეკონომიკის და მმართველობის ინფრასტრუქტურის განვითარება, შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვა საბიუჯეტო ხარჯები, რომლებიც მიმართულია ექსპორტის გაზრდაზე და უცხოური ინვესტიციების მოზიდვაზე. მეტად სასურველია სახსრების ინვესტირება «ადამიანური»

კაპიტალის განვითარების მნიშვნელოვან სფეროებში, როგორცაა ვაჭრობისა და სამეურნეო საქმიანობის შესწავლა. კიდევ ერთ ძირითად მომენტს წარმოადგენს საბანკო და სხვა საკრედიტო დაწესწებულებების გარდაქმნა ინსტიტუტებად, რომლებიც პასუხობენ საწარმოო სფეროს მოთხოვნებს, განსაკუთრებით კი ახლადშექმნილი კერძო კომერციული საწარმოებისას. ეს მოითხოვს 1. ამ ორგანიზაციების პერსონალის სწავლებას და გადამზადებას და 2. ბანკის საბალანსო ანგარიშების მოწესრიგებას, რომლის გარეშე საბანკო საქმიანობა უწინდებურად არ იქნება აქტივიზირებული, ხოლო უცხოეთის მონაწილეობა და საფინანსო ინსტიტუტების პრივატიზაცია იქნება ძალზე გართულებული. დანახარჯების მნიშვნელოვანი ნაწილი უნდა დაიფაროს ბიუჯეტის ხარჯზე, მაგალითად, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების სვოპი-ს სახით საბანკო სისტემის უმოქმედო აქტივებზე, რაც მოგვიყვანს საბიუჯეტო ხარჯების გადადებამდე პროცენტების გასანაღდებლად. მაგრამ, იმის გამო, რომ საწარმოთა ფინანსურ მდგომარეობას განსაზღვრავს ბანკების «სიჯანსაღე», საფინანსო სექტორის სტრუქტურის რეორგანიზაცია და კონკურენტუნარიანი, სიცოცხლისუნარიანი საბანკო სისტემის შექმნა თან უნდა ახლდეს საწარმოთა გარდაქმნას, ფასების რეფორმის გატარებას და არა წინ უსწრებდეს მათ.

გარდამავალ პერიოდში გაიზრდილია ხარჯები სოციალური დაზღვევის ხაზით, კერძოდ, უმუშევართა დახმარება და დახმარება სოციალური უზრუნველყოფის ხაზით გადაიხდება მოსახლეობის ბევრად უფრო მნიშვნელოვანი ჯგუფებისათვის. საშუალოვადიან პერსპექტივაში სოციალური უზრუნველყოფისა და სოციალური დახმარების სისტემა უნდა გარდაიქმნას საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნების შესაბამისად, რომლის დროსაც 1. გაიზრდება სხვაობა შემოსავლებში, იგულისხმება, რომ მოსახლეობის ცალკეული ჯგუფები შეძლებენ თავის უკეთ უზრუნველყოფას და 2. გაიზრდება ეკონომიკური განუსაზღვრელობა, რაც გამოიწვევს იმის აუცილებლობას, რომ მეტი ყურადღება დაეთმოს სოციალურ დაზღვევას და სიღარიბესთან ბრძოლას. პირველი ითვალისწინებს სოციალური საჭიროებისათვის ხარჯების გარკვეულ ეკონომიას უნივერსალური ხასიათის მრავალი დახმარების გაუქმების ხარჯზე, რომლებიც არსებობდნენ გეგმიანი ეკონომიკის დროს _ ისეთების, როგორცაა დახმარება ბავშვებსა და დედაზე, და ამ სახსრების უფრო მიზანმიმართულ გამოყენებას. ნათელია, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში სოციალური დაცვის სისტემა და გადანაწილების მექანიზმები არ უნდა იყვნენ მოკლებულნი მწარმოებლურ რისკზე წასვლის მზადყოფნის სტიმულებს.

ამრიგად, ბიუჯეტმა სტიმული უნდა მისცეს ეკონომიკური საქმიანობის გამოცოცხლებას, განსაკუთრებით კერძო სექტორის ზრდას და ზემოქმედება მოახდინოს ეკონომიკური და ადმინისტრაციული ინფრასტრუქტურის სრულყოფაზე. რამდენადაც გარდამავალი პერიოდის საწყის ეტაპზე ერთბაშად წარმოდგენილია საბიუჯეტო ორგანოების საქმიანობის რეფორმირება, განსაკუთრებით კი საგადასახადო სისტემის მუშაობისა და ბიუჯეტის შედგენის პრაქტიკის თვალსაზრისით, საბიუჯეტო პოლიტიკის ფორმირებისას ეს გარემოება აუცილებლად უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული. უფრო მეტიც, ბიუჯეტის სტრუქტურული გარდაქმნა უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად, იმგვარად, რომ არ შეწყდეს საბიუჯეტო შემოსულობანი და შენარჩუნებულ იქნეს მათი უმნიშვნელოვანესი ფუნქციები.

საერთაშორისო შედარებებში ინდექსების გამოყენების საკითხისათვის

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი ცალკეული ქვეყნისთვის, ან რეგიონისათვის მნიშვნელოვანი ამოცანაა მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევა. ამ პროცესის დინამიკური ანალიზი საშუალებას მოგვცემს ნათლად დავინახოთ მოცემულ ქვეყნებსა, თუ რეგიონში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და განვსაზღვროთ რა დადებითი და უარყოფითი ფაქტორები მოქმედებენ მასზე, რა ეკონომიკური პოტენციალი გააჩნიათ ერთი ეკონომიკური სისტემიდან სხვა უფრო მაღალ მდგომარეობაზე გადასასვლელად. ამ თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს მაკროეკონომიკური პოტენციალის შესწავლას და მის შედარებით დახასიათებას სამხრეთ კავკასიის გარდამავალი სოციალურ-ეკონომიკური სისტემის მქონე მეზობელ (სომხეთისა და აზერბაიჯანის) სახელმწიფოებთან.

სამხრეთ კავკასიის რეგიონის უნიკალური სტრატეგიული მდგომარეობა, როგორც ეკონომიკური, ისე გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, განსაზღვრავს მის განსაკუთრებულ როლს მსოფლიო ინტეგრაციის პროცესში. ამასთან, სამივე ქვეყანა წარმოადგენს „შავი ზღვის აუზის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის“ წევრ ქვეყნებს.

ამ ქვეყნების ეკონომიკური პოტენციალის შედარებითი დინამიკური ანალიზი საშუალებას მოგვცემს დავინახოთ მოცემულ რეგიონში მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის მიმდინარეობის რეალური სურათი. მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის პროცესი ხანგრძლივი და მრავალმხრივია. მათი სრულყოფილად გაშუქება სტატიის ფარგლებში შეუძლებელია, თუმცა იგი წარმოადგენს მცდელობას დახასიათდეს სამხრეთ კავკასიის ქვეყნები ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლის - მ.შ.პ.-ს დინამიკა 1 სულ მოსახლეზე - გაანგარიშებით, მოსახლეობის რიცხოვნობის ცვლილების კვალდაკვალ.

აღნიშნული პარამეტრები მნიშვნელოვანი კუთხით ახასიათებენ მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის პროცესს გარდამავალ პერიოდში და, შესაბამისად, წარმატებით შეიძლება იქნას გამოყენებული სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ეკონომიკური განვითარების შედარებით ანალიზში.

ამ ქვეყნებში მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების დინამიკური ანალიზისათვის გამოიყენოთ საინდექსო მეთოდი, რომელიც საშუალებას იძლევა დავახასიათოთ ტენდენციები როგორც ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, ისე ტერიტორიულ ჭრილში. დროში მოვლენათა ცვლილების დასახასიათებლად გამოვიყენოთ დინამიკური და ტერიტორიული ინდექსები.

ინდექსები სტატისტიკური მეთოდოლოგიის შემადგენელი მნიშვნელოვანი ნაწილია და სოციალურ-ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების ამსახველი მძლავრი განზოგადებული მაჩვენებელია. მათი საშუალებით შესაძლებელია ვაწარმოოთ სხვადასხვა ტერიტორიული ერთეულების (რეგიონების, ქვეყნების, რაიონების) დამახასიათებელი ეკონომიკური მაჩვენებლების ურთიერთშედარებითი ანალიზი.

ცხრილი №1

მ.შ.პ.-ის დინამიკა ამიერკავკასიის ქვეყნების მიხედვით
1990–2007 წწ. (%-ში 2005 წლის მიმართ)

წლები	საქართველო	სომხეთი	აზერბაიჯანი
1990	187,2	81,5	–
1991	147,6	72,0	89,7
1995	52,9	43,1	37,8
2000	70,2	55,3	53,2
2001	73,2	60,6	58,4
2002	27,6	69,7	64,6
2003	86,2	79,5	71,8
2004	91,2	87,8	79,1
2005	100,0	100,0	100,0
2006	109,4	113,2	134,5
2007	123,0	128,8	168,1

მთლიანი შიდა პროდუქტი, რომელიც საბაზრო ფასებში გამოხატავს ქვეყნის მოცემულ ტერიტორიაზე წარმოებული პროდუქციისა და მომსახურების ღირებულებას (შუალედური მოხმარების გარეშე) მოსახლეობის ერთ სულზე, რომელიც ზოგადად კარგად ახასიათებს ცხოვრების დონეს.

სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში მ.შ.პ.-ის დინამიკა წარმოდგენილია ცხრილი №1-ის ბაზაზე. ცხრილში მოტანილი მონაცემები საშუალებას გვაძლევს ერთმანეთს შევადაროთ მშპ-ის დინამიკა

ცალკეული ქვეყნების მიხედვით. მ.შ.პ.-ის ზრდის ტემპი საქართველოსთან მიმართებით გაცილებით უკეთესი აქვთ სომხეთსა და აზერბაიჯანს.

შედარებითი ანალიზი გვიჩვენებს, რომ 2007 წელს საქართველომ ვერ მიაღწია 1990-1991 წლების დონესაც კი. საქართველოში ეკონომიკური რეფორმების პირველი შედეგები გამოვლინდა 2005 წელს, შესაბამისად, შესადარ ბაზადაც ავიღეთ იგი. 1990 წელს მ.შ.პ.-ის მოცულობამ 2005 წელთან შედარებით შეადგენდა 187,2 პროცენტი, 1991 წელს - 147,6%, ხოლო 2007 წელს - 123,0%.

ცხრილი №2

მოსახლეობის რიცხოვნობისა და მ.შ.პ.-ს დინამიკა 2003-2007 წწ.

წლები	მოსახლეობის რიცხოვნობა		მ.შ.პ. საბაზრო ფასებში		მ.შ.პ. 1 სულ მოსახლეზე	
	მლნ. კაცი	%-ში	მლნ. \$	%-ში	მლნ. \$	%-ში
საქართველო						
2003	4,3426	100,0	4127,3	100,0	950,2	100,0
2004	4,3152	99,4	5383,2	130,4	1247,5	131,2
2005	4,3215	99,5	6483,1	157,1	1500,2	157,8
2006	4,4013	101,4	8040,8	194,8	1826,9	192,2
2007	4,3947	101,2	10677,2	258,6	2429,6	255,7
სომხეთი						
2003	3,2122	100,0	3016,3	100,0	939,0	100,0
2004	3,2158	100,1	3602,4	119,4	1120,2	119,3
2005	3,2192	100,2	4942,6	163,8	1535,3	163,5
2006	3,2299	100,6	6441,7	213,5	1998,7	212,8
2007	3,2301	100,6	9294,9	308,1	2877,6	306,4
აზერბაიჯანი						
2003	8,2025	100,0	7185,4	100,0	876,0	100,0
2004	8,2657	100,8	7633,3	106,2	923,5	105,4
2005	8,3473	101,8	8948,3	124,5	1072,0	122,3
2006	8,4364	102,9	10656,8	148,3	1263,2	144,2
2007	8,5327	104,2	15497,1	215,7	1816,2	207,3


საწინააღმდეგო სურათი გვაქვს აზერბაიჯანში. კერძოდ, 1991 წელს მ.შ.პ.-ს მოცულობა 2005 წელთან შედარებით შეადგინა 89,7%, ხოლო 2007 წელს გაიზარდა 168,1%-ით და მნიშვნელოვნად გაუსწრო საანალიზო პერიოდის ყველა წლის მაჩვენებელს.

თითქმის იგივე დინამიკური სურათი გვაქვს სომხეთისათვის. 1991 წელს მ.შ.პ.-ის მოცულობამ 2005 წლის იგივე მაჩვენებელის მიმართ შეადგინა მხოლოდ 72%, ხოლო 2007 წელს იმავე წელთან შედარებით გაიზარდა 128,8%-ით, რაც საქართველოს ანალოგიურ მაჩვენებელს 5,8 პუნქტით აღემატება.

სომხეთში მ.შ.პ.-ის 2007 წლის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად აღემატება საანალიზო პერიოდის ყოველი წლის შესაბამის მაჩვენებელს. იმავე წელს აზერბაიჯანის მ.შ.პ.-ის მოცულობა 1,5-ჯერ აღემატება 1991 წლის დონეს. 1991 წელთან შედარებით მ.შ.პ.-ს მოცულობის აღნიშნული ცვლილება განპირობებულია მთელი რიგი ფაქტორებით. ჩვენი აზრით, იგი ძირითადად გამოიწვია საბჭოთა კავშირის დაშლამ და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის „ხანგრძლივმა პროცესმა“, რამაც მოშალა პოსტსაბჭოურ რესპუბლიკებს შორის მანამდე არსებული სამეურნეო-ეკონომიკური კავშირები და მინიმუმამდე შეამცირა იგი.

ნახ. 1

მ.შ.პ.-ს დინამიკა 1 სულზე გაანგარიშებით 2003-2007 წწ.



საჭირო გახდა მთელი რიგი მმართველობითი და ეკონომიკური რეფორმების გატარება, რის გამოც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებთან ახალი სამეურნეო-ეკონომიკური კავშირების დამყარებას დიდი დრო დასჭირდა, ამასთან, მოიშალა იმ დარგების მუშაობის მექანიზმიც, რომლებიც უშუალოდ მნიშვნელოვან წილად მონაწილეობდნენ მ.შ.პ.-ის შექმნაში და ა.შ.

მ.შ.პ.-ის საერთო დინამიკურ მაჩვენებლებთან შედარებით გაცილებით საინტერესოა 1 სულ მოსახლეზე გაანგარიშებული მ.შ.პ.-ის მოცულობის დინამიკა 2003-2007 წლებში (იხილეთ ცხრილი №2 და გრაფიკი №1. AZ-აზერბაიჯანი, AAM-სომხეთი, GE-საქართველო).


ნახაზიდან ჩანს, რომ მოსახლეობის 1 სულზე გაანგარიშებით მ.შ.პ.-ს მოცულობის ცვლილება შედარებით ზრდადი ტემპით ხასიათდება სომხეთი (იხ. ნახ. 1), კერძოდ 2007 წელს 2003 წელთან მიმართ იგი გაზარდა 3,1-ჯერ. შემდეგ მოდის საქართველო (2,6-ჯერ) და აზერბაიჯანი (2,1-ჯერ).

1 სულ მოსახლეზე გაანგარიშებით მ.შ.პ.-ის დინამიკის კვალდაკვალ საინტერესოა რამდენად ადეკვატურად ეთანხმებოდა მისი ცვლილება მოსახლეობის რიცხოვნობის დინამიკას 2003-2007

წლებში. მე-2 ნახაზიდან ჩანს, რომ მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდა გაცილებით მაღალი ტემპით მიმდინარეობდა აზერბაიჯანში (4,2%), ვიდრე საქართველოსა (1,2%) და სომხეთში (0,6%).

ჩვენს მიერ გაანგარიშებული მაჩვენებლებიდან ჩანს, რომ 2003-2007 წწ. აზერბაიჯანში 1 სულ მოსახლეზე გაანგარიშებული მ.შ.პ.-ს მოცულობა 2-ჯერ მეტი ტემპით მიმდინარეობდა, ვიდრე მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდა. იგივე მაჩვენებელმა საქართველოსთვის შეადგინა 2,5-ჯერ, ხოლო სომხეთისათვის – 3-ჯერ.

ნახ. 1



შედარებით ანალიზმა ცხადყო, რომ სომხეთში, მოსახლეობის აღწარმოების საერთო ტემპებთან შედარებით, გაცილებით სწრაფად იზრდება მ.შ.პ.-ის მოცულობის დინამიკა როგორც მთლიანად, ისე ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით, უკეთესი გეოპოლიტიკური და რესურსების მქონე საქართველოსა და აზერბაიჯანთან მიმართებით.

წყაროები:

1. www.ecsocman.edu.ru
2. www.corruption.rsuh.ru
3. www.statistics.ge
4. www.polis.ge
5. www.aemstat.ar
6. www.azstat.org